თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

ელექტრონული ჟურნალი მიზნად ისახავს ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნეების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და მათ მიერ განხორციელებული სამუშაოების ელექტრონული სახით გამოქვეყნებას.

ახალგაზრდა მკვლევრების მიერ გამოყენებული და დამუშავებულია სახვადასხვა სახის მასალები როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ენებზე. მათ სამეცნიერო საქმიანობას წარმართავენ ინსტიტუტის უფროსი თაობის წარმომადგენლები.

ჟურნალში ქვეყნდება ანალიტიკური მიმოხილვები და სამეცნიერო სტატიები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების, ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ურთიერთობების შესახებ.

რედაქტორები:	გიორგი სანიკიძე
	ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:	მირანდა ბაშელეიშვილი
	თამთა ბოკუჩავა
	მარიამ გურეშიძე
	სიმონ გურეშიძე
	ინგა ინასარიძე
	თინათინ კუპატაძე
	ნოდარ ხონელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ–ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
http://www.iliauni.edu.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

ინგა ინასარიძე
კატარის დიპლომატიური კრიზისი 5

ინგა ინასარიძე
საუდის არაბეთისა და ირანის დაპირისპირება რეგიონული გავლენისათვის 15

ფერდინანდ თავაძე
ჩრდილოკავკასიური ექსტრემისტული ჯგუფები სირიის კონფლიქტში 21

სიმონ გურეშიძე
ექსტრემიზმი სირიაში - ოპოზიციის არჩევანი თუ
ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? 30

სიმონ გურეშიძე
სირიის სამოქალაქო ომის მთავარი აქტორები 36

მარიამ გურეშიძე
გოლანის მაღლობები და ახალი გამოწვევები 41

მარიამ გურეშიძე
„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები დსთ-ის ქვეყნებიდან 45

მირანდა ბაშელეიშვილი
კასპიის ზღვის სამიტი და ირანის ინტერესები 48

თინათინ კუპატაძე
კიბერფემინიზმი ირანში 51

თინათინ კუპატაძე
ქალთა სახე ირანულ კინოში თუ ფემინისტური კინო? 59

თამთა ბოკუჩავა
ცვლილებები თურქეთის განათლების სისტემაში 67

ჯაბა მესხიშვილი
იაპონია-რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულება და
კურილიის კუნძულების პრობლემა 71

ინგა ინასარიძე

კატარის დიპლომატიური კრიზისი

ქრონოლოგია

2017 წლის 5 ივნისს არაბული ქვეყნების ნაწილმა კატართან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა და ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქცია. საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ბაჰრეინმა კატარი საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულეს და მასთან საზღვრები ჩაკეტეს. ბლოკადის მოსახსნელად ერ-რიადმა 13 წინაპირობა დააყენა, რომელთა შესრულებაზეც კატარმა უარი განაცხადა. საუდის არაბეთის მცდელობა, ბლოკადით გავლენა მოეხდინა კატარის საგარეო პოლიტიკაზე, უშედეგო აღმოჩნდა. კრიზისის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აშშ-მა, რომლიც როგორც საუდის არაბეთის, ისე კატარის სტარტეგიული პარტნიორია.

სპარსეთის ყურის ქვეყნების შემდეგ კატარის ბლოკადას შეუერთდნენ ქვეყნები, რომლებიც პოლიტიკურად ან ეკონომიკურად გარკვეულწილად დამოკიდებულნი არიან მათზე: ეგვიპტე, ჩადი,[1] კომორის კუნძულები, მავრიტანია, სენეგალი, მალდივები, იემენი (პრეზიდენტ ჰადის მთავრობა). რიგმა ქვეყნებმა კი (იორდანია, ჯიბუტი, ნიგერია) კატართან დიპლომატიური ურთიერთობის დონე დაწიეს. სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ომანმა და ქუვეითმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს. დაპირისპირებულ მხარეს შორის შუამავლობა სწორედ ქუვეითმა იკისრა.

საუდის არაბეთისა და მისი მოკავშირეების მიერ წაყენებული პირობები მოიცავდა კატარის მიერ:

- ტერორიზმის დაფინანსებისა და ისეთი ტერორისტული ორგანიზაციებისთვის დახმარების შეწყვეტას, როგორებიცაა „ჰამასი“, „ძმები მუსლიმი“, „ალ-ქაიდა“, „ისლამური სახელმწიფო“, „ჰეზბოლა“;
- ირანთან თანამშრომლობის შეწყვეტას;
- კატარში არსებული თურქული სამხედრო ბაზის დახურვას;
- ტელეკომპანია „ალ-ჯაზირასა“ და კატარის მიერ კონტროლირებადი სხვა მედია საშუალებების დახურვას;
- კატარის მხრიდან მეზობელი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შეწყვეტას;
- ამ ქვეყნებისთვის მიყენებული ზარალის კომპენსირებას;
- 10 წლის მანძილზე კატარზე მონიტორინგის დაშვებას.

მათ შესასრულებლად დაწესებული ვადის ამოწურვის მიუხედავად, პირობები ამ დრომდე ძალაში რჩება. კატარმა, რომელმაც უარი განაცხადა წამოყენებული პირობების შესრულებაზე, მზადყოფნა გამოთქვა მოლაპარაკებების დაწყებაზე. დაწესებულმა შეზღუდვებმა რეალურად უკუშედეგი გამოიღო და ირანისა და თურქეთისგან კატარის დისტანცირების ნაცვლად, მათ დაახლოებას შეუწყო ხელი. თუმცა, თურქეთისგან განსხვავებით, კატარი, სავარაუდოდ, ზომიერ ურთიერთობას შეინარჩუნებს ირანთან, აშშ-ის ინტერესების გათვალისწინებით.

სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების ჩაკეტვის გარდა, ბლოკადის დაწყებისთანავე საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ბაჰრეინმა და ეგვიპტემ კატარელ ვიზიტორებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს ქვეყნის დასატოვებლად ორკვირიანი ვადა მისცეს, თავიანთ მოქალაქეებს კი, რომლებიც კატარში იმყოფებოდნენ, დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებისკენ მოუწოდეს.

[1] 2018 წლის თებერვალში კატარმა და ჩადმა დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინეს.

ბლოკადის ერთი წლისთავზე კატარმა, თავისი მოქალაქეების დისკრიმინაციის გამო, არაბთა გაერთიანებული საამიროების წინააღმდეგ გაეროში სარჩელი შეიტანა. აღნიშნულის თანახმად, აბუ-დაბიმ საერთაშორისო სამართალის ნორმები დაარღვია, როდესაც ქვეყნიდან ათასობით კატარელი გააძევა, რომელთაც ადგილზე ოჯახები და კერძო საკუთრება დარჩათ.

2018 წლის აგვისტოში, საუდის არაბეთის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, დაგეგმილია კატართან არსებულ სახმელეთო საზღვარზე არხის გაჭრა და კატარის კუნძულად გადაქცევა.

წარმოქმნილი გამოწვევები და კატარის მთავრობის საპასუხო ნაბიჯები

მეზობელი ქვეყნების მიერ ყველა სახის კავშირის გაწყვეტამ, კატარში საკვები პროდუქტების, სასმელი წყლისა და მედიკამენტების დეფიციტის საშიშროება შექმნა, რადგან კატარის საკვები პროდუქტების 80% იმპორტზე მოდის.[2] ბლოკადის გამოცხადების დღეს კატარის მოსახლეობამ, საკვები პროდუქტების მომარაგების შედეგად, მაღაზიები ფაქტობრივად დააცარიელეს. პრობლემის გადაჭრა მალევე მოხერხდა, როდესაც თურქეთმა და ირანმა სასმელი წყალი, ბოსტნეული და სხვა საკვები პროდუქტები დაუყოვნებლივ გაგზავნეს კატარშიდა მისთვის ალტერნატიულ იმპორტიორებად იქცნენ.

არაბული ქვეყნების მიერ დაწყებული ბლოკადის საპასუხოდ, 2018 წლის მაისში, კატარის ეკონომიკის სამინისტრომ დირექტივა გამოსცა, რომელიც მაღაზიებში ოთხივე მოწინააღმდეგე ქვეყნის მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვას კრძალავდა. ასევე აიკრძალა,ამ პროდუქტების მესამე ქვეყნის ტერიტორიიდანკატარში შეტანა.

საკვების მომარაგების გარდა, პოლიტიკური და სავაჭრო იზოლაციის პირობებში პრობლემები შეიქმნა საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის კუთხითაც. ისეთმა ავიაკომპანიებმა, როგორიცაა Gulf Air, FlyDubai; Air Arabia; Egypt Air; Etihad airways; Saudi Arabian Airlines კატარის მიმართულებით ფრენები შეაჩერეს. ჩაკეტილი საჰაერო სივრცის გამო, კატარის ეროვნულ ავიახაზებს (Qatar Airwais) 18 რეგიონულ ქალაქში ფრენების შეწყვეტა, ხოლო სხვა მიმართულებებისთვის ახალ მარშრუტებზე გადაწყობა მოუხდა.

ახალმა და შედარებით გრძელმა მარშრუტებმა საკვები პროდუქტების ფასების 4.5%-ით გაზრდა გამოიწვია. მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა უძრავი ქონების სექტორს, სადაც ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დიდი, 3.6%-იანი ვარდნა აღინიშნა. თავდაპირველად გაიზარდა და თითქმის გაათმაგდა სატვირთო გადაზიდვების საფასური, თუმცა შემდეგ არაბთა გაერთიანებული საამიროების პორტები კატარმა პაკისტანითა და ომანით ჩაანაცვლა. ომანში გადაიტანა ასევე რე-ექსპორტის ბიზნესის უმეტესობა.

კრიზისის დაწყებისთანავე ოთხივე არაბული ქვეყნის ბანკებმა კატარიდან გრძელავდიანი დეპოზიტების გატანა დაიწყეს. დოჰამ მდიდარი რეზერვის მეშვეობით, სტაბილურობის შენარჩუნება შეძლო. პირველი ნაბიჯი, რაც ხელისუფლებამ განახორციელა იყო ქვეყნის 340 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის სახელმწიფო რეზერვიდან თითქმის 40 მლრდ. აშშ დოლარის საფინანსო სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად (დაცარიელებული დეპოზიტების შესავსებად) და ადგილობრივი ფირმების მხარდასაჭერად გამოყოფა. შედეგად, ქვეყნის საბანკო სისტემამ შეძლო იმ ფინანსური გადინებების გადალახვა, რომელსაც ბლოკადის დაწყებისას ჰქონდა ადგილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო კრედიტორებს კატართან თანამშორომლობა არ შეუწყვეტიათ.

ადგილობრივი მრეწველობის განვითარების კუთხით, წარმატებულ პროექტად ითვლება კომპანია BALADNA-ის მიერ რძის პროდუქტების წარმოების დაწყება. რძის ნაწარმის მოთხოვნის

[2] აქედან დაახლოებით 40%-ის მიღება საუდის არაბეთთან არსებული ერთადერთი სახმელეთო გზით ხდებოდა.

დასაკმაყოფილებლად, რომელიც მანამდე მთლიანად საუდის არაბეთისგან ივსებოდა, კატარმა ათასობით მსხვილფეხა საქონელი შეიძინა უნგრეთიდან, ჰოლანდიიდან, აშშ-სა და ავსტრალიიდან.

2018 წლის თებერვალში, კატარის ცენტრალურმა ბანკმა აშშ-ის ხაზინას მიმართა და ამერიკელ რეგულატორებს კატარის წინააღმდეგ არაბთა გაერთიანებული საამიროების თაღლითური ქმედებების გამოძიება სთხოვა. კერძოდ, დოჰას ინფორმაციით, გაერთიანებული საამიროების უმსხვილესი First Abu Dhabi Bank (FAB)-ის ამერიკული შვილობილი ბანკი „NBAD Americas"ხელოვნურ სავალუტო გარიგებებს აფორმებდა, რითაც ზიანს აყენებდა კატარის ეკონომიკას. წერილში ასევე საუბარი იყო საამიროების მიერ კატარის ეროვნული ვალუტის (კატარული რიალი) გაუფასურების მიზანმიმართულ მანიპულაციებზე.

კრიზისის დაწყებიდან ერთ თვეში კატარის საფონდო ბირჟამ დაახლოებით 15 მლრდ. აშშ დოლარის ზარალი განიცადა (10%). თუმცა, ვინაიდან ქვეყნის შემოსავლების ძირითად წყაროს - გათხევადებული გაზის ექსპორტს - შეზღუდვები არ შეხებია, ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა გაუმჯობესება მალევე დაიწყო და კრიზისამდე არსებულ ნიშნულს მიუახლოვდა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, კატარის სახელმწიფო ნავთობკომპანია (Qatar Petroleum) არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან საზიარო ალ-ბუნდუქის საბადოზე ნავთობის მოპოვებას განაგრძობს. 2018 წლის მარტში მხარეებმა, იაპონურ კონსორციუმთან ერთად, მოქმედი ხელშეკრულების განახლებას მოაწერს ხელი. კატარი ასევე განაგრძობს ბუნებრივი აირის მიწოდებას არაბთა გაერთიანებული საამიროებისთვის დოლფინის გაზსადენის მეშვეობით. არ შეწყვეტილა საამიროების გავლით ბუნებრივი აირის მიწოდება ომანისთვისაც. ენერგორესურსების ექსპორტის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კატარისთვის, რადგან მსოფლიოში გათხევადებული გაზის პირველი მწარმოებელია, ხოლო, ბუნებრივი აირის რეზერვის ოდენობით მესამე ადგილს იკავებს. მისი სახელმწიფო შემოსავლების 60% სწორედ ენერგორსურსებზე მოდის.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, კატარის ეკონომიკაზე ბოიკოტის შედეგად გამოწვეული ნეგატიური ეფექტი სწრაფად იკლებს. ანგარიშის თანახმად, მიმდინარე წლისთვის ქვეყნის ეკონომიკა 2.6%-იან ზრდას ელის.

გამოხმაურებები კატარის იზოლაციაზე

<u>ირანი</u>

ბლოკადის გამოცხადებისთანავე ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ ღიად დაუჭირა მხარი კატარის მთავრობას და დაგმო არაბული ქვეყნების იზოლაციის პოლიტიკა. მალევე, კატარმა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა და თეირანში ელჩი დანიშნა. ბლოკადის პირობებში ირანი კატარს ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ამარაგებს. ორი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა 200 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა. 2018 წლის თებერვალში დაფუძნდა ირან-კატარის ერთობლივი სავაჭრო პალატა.

<u>თურქეთი</u>

განსაკუთრებით გააქტიურდა თანაშრომლობა თურქეთთან, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და თავდაცვის სექტორში. თურქეთმა დაგმო არაბული ქვეყნების მიერ კატარისთვის გამოცხადებული ბლოკადა და კატართან თანამშრომლობის გაღრმავების გეგმებზე განაცხადა. კრიზისის დაწყებიდან დაახლოებით ერთ თვეში რეჯეფ თაიფ ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით დოჰას ეწვია. თურქეთის პრეზიდენტმა სამხედრო კონტინგენტის გაზრდაზე ისაუბრა. იმავე წლის ნოემბერში ერდოღანი მეორე ოფიციალური ვიზიტით ეწვია კატარს და თურქული სამხედრო ბაზა მოინახულა. პრეზიდენტის განცხადებით, თურქი სამხედროების რაოდენობა კატარში იმ დროისთვის უკვე 250-ს შეადგენდა. 2018 წლის თებერვალში, კატარში თურქეთის ელჩის ფიქჰეთ

ოზერის განცხადებით, დაგეგმილია სამხედრო კონტინგენტის 300-მდე გაზრდა, თუმცა კონკრეტული დეტალები მას არ დაუსახელებია. 2018 წლის მარტში მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, თურქეთს კატარის ჩრდილოეთით საზღვაო ბაზის გახსნის საშუალება მიეცემა, რომელსაც ასევე ექნება საწვრთნელი დანიშნულება/აღჭურვილობა.

2018 წლის აგვისტოში, კატარმა თურქული ლირის გაუფასურების პირობებში, თურქეთში 15 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების შესახებ განაცხადა. კატარის დაინტერესების სფეროს სოფლის მეურნეობა, ენერგოსექტორი, ტრანსპორტი, ტურიზმი და უძრავი ქონება წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ კატარში 2022 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს სწორედ თურქული კომპანიები აწარმოებენ.

კრიზისის დაწყებიდან 3 თვის მონაცემებით, თურქეთიდან კატარში განხორციელებული ექსპორტი 84%-ით გაიზარდა და 165 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

<u>აშშ</u>

კრიზისის დაწყების მომენტში არაერთსულოვანი იყო პოზიციები ვაშინგტონში. ბოკადის გამოცხადებას პირველი დონალდ ტრამპი გამოეხმაურა სოციალურ ქსელ Twitter-ის მეშვეობით. მან მხარი დაუჭირა ერ-რიადს და კატარი, ფაქტობრივად, რადიკალური იდეოლოგის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ტრამპის განცხადებებს მალევე მოჰყვა პენტაგონის განცხადება, რომელიც პრეზიდენტის განცხადებისგან განსხვავებით, აშშ-ის მიერ კატარისთვის მხარდაჭერასგამოხატავდა. მასში ხაზგასმული იყო რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებაშიკატარის წვლილი და ძალისხმევა.

ბლოკადის დაწყებიდან დაახლოებით ერთ თვეში, 2017 წლის 10 ივლისს აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა და კატარის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ ბინ აბდულრაჰმან ალ-თანიმ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საბრძოლველად თანამშრომლობას გულისხმობს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კატარი ერთადერთი ქვეყანაა სპარსეთის ყურეში, რომელთანაც მსგავსი შეთანხმება გაფორმდა, თან მას შემდეგ რაც კატარი ტერორიზმის მხარდაჭერაში იქნა დადანაშაულებული, მკაფიოდ მიანიშნებდა შექმნილ კრიზისში აშშ-ის პოზიციაზე. დოკუმენტთან დაკავშირებით საუდის არაბეთმა, გაერთიანებულმა საამიროებმა, ბაჰრეინმა და ეგვიპტემ ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომლის თანახმად, ისინი პატივს სცემენ აშშ-ის ძალისხმევას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა დააკვირდებიან კატარის მოქმედებებს.

კატარის იზოლაციის სავარაუდო მიზეზები

ბლოკადის დაწყებას წინ უსწრებდა მხარეებს შორის რიგ საკითხებზე აზრთა სხვაობა და უთანხმოება. წლების განმავლობაში საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები უკმაყოფილოები იყვნენ კატარის აქტიური საგარეო პოლიტიკის გამო. ბაჰრეინისგან განსხვავებით, რომელიც დიდწილად საუდის არაბეთის პოლიტიკურ კურსს მისდევს, კატარი თავისი გეოგრაფიული მასშტაბების მიუხედავად, შედარებით დამოუკიდებლად მოქმედებდა. მდიდარი მატერიალური შესაძლებლობები მას საშუალებას აძლევდა სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებისგან განსხვავებული, საკუთარი პოლიტიკური კურსი გაეტარებინა. ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ აქტიურ ინსტრუმენტად გამოყენებისა და სხვებთან შედარებით, ირანთან გახსნილი ურთიერთობის გამო, კატარი ხშირად ხდებოდა სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს დანარჩენი წევრების კრიტიკის ობიექტი. 2002 წელს საუდის არაბეთმა კატარიდან ელჩი გაიწვია, (2008 წლამდე), რათა დოჰას პოლიტიკურ მოქმედებებზე გავლენა მოეხდინა, თუმცა უშედეგოდ.

კატარი ამბოხებული მებრძოლების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იყო სირიასა და ლიბიაში. მეზობელი ქვეყნების განცხადებით, ამ კურსმა დოჰა ისეთი ისლამისტური

დაჯგუფებების მხარდაჭერამდე მიიყვანა, როგორებიც არიან „ჰამასი“ და „ალ-ქაიდას“ მოკაშირე მებრძოლები სირიაში. თავის მხრივ საუდის არაბეთიც და გაერთიანებული საამიროებიც ამბოხებული და ისლამისტური დაჯგუფებების მხარდამჭერებს წარმოადგენდენ რეგიონის კონფლიქტებში, თუმცა მათი ხედვები/პოზიციები პოლიტიკური ისლამის კონტექსტში განსხვავდება კატარისგან.

უკმაყოფილების მიზეზს ასევე წარმოადგენდა კატარის დამოკიდებულება „მუსლიმ ძმებთან“ მიმართებით. იმ დროს, როცა კატარი თურქეთთან ერთად „მუსლიმ ძმებს“ უჭერდა მხარს, არაბთა გაერთიანებული საამიროები და საუდის არაბეთი ძალისმხევას არ ზოგავდენენ ორგანიზაციის წინააღმდეგ სამოქმედოდ. აბუ-დაბისთვის ამ წინააღმდეგობას ისტორიული საფუძვლები ჰქონდა: 1960-იანი წლებიდან, ეგვიპტის მაშინელი პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის ხელისუფლების დროს „მუსლიმი ძმების“ ეგვიპტელი სწავლულები სამუშაოდ და საცხოვრებლად არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გადავიდნენ. წლების განმავლობაში „მუსლიმმა ძმებმა“ მოახერხეს პოზიციების შექმნა აბუ-დაბიში. მათი მზარდი გავლენის შესაჩერებლად 1990-იან წლებში საამიროების ხელისუფლებამ მათთან დაკავშირებული/აფილირებული ისლამისტური ორგანიზაცია „ალ-ისლაჰი“ დახურა. საამიროების გაღიზიანებას იწვევდა ისიც, რომ კატარი იფარებდა ეგვიპტელ სასულიერო პირს, „ძმები მუსლიმების“ ე.წ. სულიერ ლიდერს იუსუფ ალ-ქარდავის, რომელიც კატარში 1960-იანი წლებიდან ცხოვრობდა და არაბული მონარქიების ღია კრიტიკით გამოირჩეოდა. „არაბული გაზაფხულის“ ტალღის შემდეგ, კატარი აქტიურად უჭერდა მხარს „მუსლიმ ძმებს“ ეგვიპტეში. 2013 წელს გენერალმა აბდელ ფათაჰ ალ-სისიმ „მუსლიმი ძმების“ მთავრობა გადატრიალებით დაამხო. ახალი პრეზიდენტის ღია მხარდამჭერი იყო საუდის არაბეთი. ეგვიპტის ხელისუფლებაში სისის მოსვლის შემდეგ ერ-რიადმა და აბუ-დაბიმ მილიარდობით აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელეს ეგვიპტის სამხედროს სფეროს გასავითარებლად.

ლიბიაში, როგორც კატარმა, ისე გაერთიანებულმა საამიროებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კადაფის წინააღმდეგ ამბოხებულების დაფინანსებაში. თუმცა, კადაფის ჩამოგდების შემდეგ, ისინი დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ. 2014 წელს ისლამისტურმა კოალიციამ („ლიბიის განთიადი“) დედაქალაქი ტრიპოლი დაიკავა და მანამდე მოქმედი მთავრობა აიძულა ქ. ტობრუკში გადასულიყო. ზოგიერთი ქვეყნის განცხადებით, ისლამისტების კოალიციას კავშირი ჰქონდა „მუსლიმ ძმებთან“. აღნიშნულ ძალებს მხარს უჭერდა კატარიც, მაშინ, როცა ე.წ. ტობრუკის მთავრობის მხარდამჭერი, ეგვიპტესთან ერთად, არაბთა გაერთიანებული საამიროებია. „ალ-ჯაზირას“ ინფორმაციით, აბუ-დაბი ლიბიაში გაეროს ემბარგოს მიუხედავად, ზოგიერთ საბრძოლო დანაყოფს შეიარაღებითაც უწევდა დახმარებას.

სირიის შემთხვევაში არაბული ქვეყნების გაღიზიანება გამოიწვია კატარის მიერ 28 კატარელი ტყვის გასათავისუფლებლად, ისლამისტური ჯგუფების, ჯამში, 1 მლრდ. აშშ დოლარამდე გამოსასყიდის გადახდამ. კატარის მოქალაქეები, მათ შორის მმართველი საგვარეული დინასტიის წევრები, ერაყის სამხრეთით ნადირობისას მძევლად 2015 წელს აიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, გამტაცებლები პროირანული „კათა’იბ ჰეზბოლას“ დაჯგუფებიდან იყვნენ. ორწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ მძევლების გათავისუფლება მოხერხდა. გარდა იმისა, რომ კატარმა გამტაცებლებს გამოსასყიდის სახით 700 მლნ. აშშ დოლარი გადაუხადა, მან ასევე სირიაში მოქმედ ისლამისტურ დაჯგუფებებს „აჰრარ აშ-შამსა“ და „ჯაბჰათ ფათეჰ აშ-შამს“ მილიონობით აშშ დოლარი გადაუხადა იმისთვის, რომ მათ სირიის ორი შიიტური სოფლიდან მოსახლეობის ევაკუაციის ნება დაერთოთ. გაჩნდა ეჭვი, რომ მძევლების გატაცების მოტივი თავიდანვე კატარზე გავლენის მოხდენა იყო, რათა შემდეგ კატარს ისალამისტური ჯგუფები კონკრეტულ საკითხზე დაეყოლიებინა. ისლამისტებისთვის და, ირიბად, ირანისთვის გადახდილი თანხა გახდა მოგვიანებით კატარის ტერორიზმის მხარდაჭერაში დადანაშაულებისა და ბლოკადის დაწყების მიზეზი.

სხვა ვერსიით, კატარის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის მიზეზი ფინანსური დაინტერესება იყო. კატარის თავდაცვის მინისტრის, ხალიდ ბინ მუჰამედ ალ-ატაიას განცხადებით, კრიზისის დაწყების პერიოდში საუდის არაბეთსა და გაერთიანებულ საამიროებს კატარის ინტერვენცია ჰქონდათ განზრახული. საუდის არაბეთის შემოსავლები დიდწილად დამოკიდებულია ნავთობის ექსპორტზე. შესაბამისად, 2014 წლიდან ნავთობის საერთაშორისო ფასის ვარდნის შედეგად,ზიანი მიადგა სამეფოს ბიუჯეტს. 2015 წლიდან მოყოლებული, საუდის არაბეთმა მისი 737 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის რეზერვების თითქმის მესამედი უკვე გახარჯა. შედეგად, გასულ წელს სამეფოს ეკონომიკამ რეცესია განიცადა. ხელისუფლებამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გზების ძიება დაიწყო, მათ შორის იყო სახელმწიფოს კუთვნილი ნავთობკომპანიის (ARAMCO) აქციების გაყიდვა. კატარის სამხედრო ინტერვენციისა და დოჰას დაკავების შემთხვევაში, საუდის არაბეთი დაახლოებით, 320 მლრდ დოლარის სიმდიდრეს მიიღებდა. ამავე ვერსიის თანახმად, მას შემდეგ რაც ერ-რიადს კატარის ინტერვენციის გეგმა ჩაუვარდა, 2017 წლის ნოემბერში კრონ-პრინცმა ბინ სალმანმა სამეფოში მდიდარი პრინცებისა და ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების კამპანია დაიწყო. გარდა იმისა, რომ ამ გზით მან, ფაქტობრივად, ჩამოიცილა თავისი ამბიციური პოლიტიკის პოტენციური ოპონენტები, კორუფციის ბრალდებით დაკავებული ბიზნესმენებისა და პრინცებისგან მან მილიარდობით აშშ დოლარი მიიღო.

ალ-უბეიდას ბაზა

კატარის აშშ-თან პარტნიორობის შენარჩუნებაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო ალ-უბეიდას სამხედრო ბაზა.[3] ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი აშშ-ს სწორედ აღნიშნულ ბაზაზე ჰყავს განთავსებული. 2017 წლის მონაცემებით, ადგილზე 11 000 ამერიკელი სამხედროა ბაზირებული. კატარმა 1990-იან წლებში 1 მლრდ. აშშ დოლარი დახარჯა აღნიშნული ბაზის მშენებლობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის თავად მცირერიცხოვანი საჰაერო ძალების მქონე ქვეყანას არ ესაჭიროებოდა მსგავსი მასშტაბების ბაზა. აშშ-მა ალ-უბეიდას ბაზა პირველად 2001 წელს გამოიყენა ავღანეთში მიმდინარე ოპერაციის ფარგლებში.

ალ უბეიდას ბაზაზე ასევე მოქმედებს აშშ-ის გაერთიანებული საჰაერო ოპერაციების ცენტრი (CAOC), რომელიც მართავს ამერიკული სამხედრო დანაყოფების მოქმედებებს სირიაში, ერაყში, ავღანეთსა და 17 სხვა ქვეყანაში.

ერთ-ერთი ვერსიით, განიხილებოდა ერ-რიადისა და აბუ-დაბის მიერ თეთრი სახლის ადმინისტრაციისთვის კატარში მდებარე ალ-უბეიდას სამხედრო ბაზიდან ამერიკული სამხედრო კონტინგეტის საუდის არაბეთის ან გაერთიანებული საამიროების ტერიტორიაზე გადატანის შეთავაზებაც. მაგრამ ბლოკადის დაწყების მომენტში Twitter-ში ტრამპის მხარდამჭერი განცხადებების მიუხედავად, თეთრი სახლისგან განსხვავებული იყო აშშ-ის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უწყებების პოზიცია. სტრატეგიული პარტნიორობის მიუხედავად,საუდის არაბეთი გარკვეულ უნდობლობას იწვევდა ვაშინგტონში სხვადასხვა მიზეზების გამო:

- იემენში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისის და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის გამო, ერ-რიადი მუდმივად საერთაშორისო საზოგადოებს კრიტიკის ობიექტია;
- დაანონსებული რეფორმებისა მიუხედავად,ქვეყანაშიმუდმივად ირღვევაადამიანის უფლებები, რასაც დაემატა მასშტაბური „ანტიკორუციული“ დაკავებები სამეფოში. „Associated press“-ის ინფორმაციით, საამიერობის მოქმედებები იემენში არანაკლებ დანაშაულებრივი იყო.

გარდა აღნიშნული გარემოებებისა, აშშ-სთვის კატარი საიმედო პარტნიორად ითვლება. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, დოჰა, გარდა იმისა, რომ ამერიკული სამხედრო კონტინგენტისთვის

[3] ამერიკელების გარდა, ბაზას, ასევე, იყენებენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

მხოლოდ მინიმალურ შეზღუდვებს აწესებს, ის საკუთარი სურვილითა და ხარჯებით ბაზის გაფართოებაზეც მუშაობს.

კატარში სამხედრო ინტერვენციის გეგმა

იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ კატარი აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე და ამერიკული სამხედრო ბაზის დისლოკაციის ადგილია, კატარზე ინტერვენციის განსახორციელებლად, ერ-რიადისა და აბუ-დაბისთვის, აშშ-გან თანხმობის მიღება აუცილებელი იყო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ტერორიზმის მხარდაჭერის გარდა, კატარის ირანთან თანამშრომლობის ბრალდება კარგად გათვლილი იყო აშშ-ის ანტიირანულ მიდგომების თვალსაზრით.

ორივე არაბულ ქვეყანას თავდაჯერებულობას მატებდა ის ფაქტიც, რომ 2017 წლის მაისში პრეზიდენტის რანგში პირველი ოფიციალური ტურნეს ფარგლებში ტრამპი სწორედ საუდის არაბეთს ეწვია. ვიზიტის დროს მხარეებმა უმსხვილეს სამხედრო გარიგებას (110 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობით) მიაღწიეს. შეთანხმება, მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ახალ, „ისტორიულ“ განვითარებად შეფასდა.

კატარის წინააღმდეგ მოქმედებისთვის, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები თავდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურებთან კონსულტაციების ნაცვლად, პირდაპირ პრეზიდენტ ტრამპთან შეეცადა საკითხის მოგვარებას. აღნიშნულს ისინი პრეზიდენტის სიძისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ტრამპის მთავარი მრჩევლის ჯარედ კუშნერის საშუალებით იმედოვნებდნენ. კუშნერს ახლო ურთიერთობა ჰქონდა როგორც საუდის არაბეთის, ისე აბუ-დაბის ტახტის მემკვიდრე პრინცებან, რომლებიც კატარის ბლოკადის მთავარ ინიციატორებად ითვლებიან. სწორედ მუჰამად ბინ სალმანი და მუჰამად ბინ ზაიედ ალ-ნაჰაიანი ითვლებიან ანტიკატარული კამპანიის ხელმძღვანელებად. 2017 წლის ოქტომბერში კუშნერი დაუგეგმავი ვიზიტით საუდის არაბეთს ეწვია. მალევე, ნოემბერში, კორუფციის ბრალდებით ბინ სალმანმა სამეფოს მდიდარი პრინცებისა და ბიზნესმენების დაპატიმრებები დაიწყო. 2018 წლის თებერვალში ცნობილი გახდა, რომ ჯარედ კუშნერს, როგორც ახლო აღმოსავლეთის საკითხებში პრეზიდენტის მთავარ მრჩეველს, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა შეუჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური განცხადებით, შეზღუდვა არა კონკრეტულად კუშნერს, არამედ მთლიანად საშტატო შემადგენლობას შეეხო, მედიაში გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიით, კუშნერისთვის სადაზვერვო ინფორმაციებზე დაშვება ბინ სალმანისთვის საიდუმლო ინფორმაციების გადაცემის გამო შეეზღუდა. კერძოდ, ერ-რიადში ვიზიტის დროს მან პრინცს, რომელიც მოულოდნელად ტახტის მემკვიდრე გახდა და ამბიციური საგარეო პოლიტიკური კურსის მომხრეა, მისი ოპონენტების სია გააცნო, რასაც „ანტიკოპრუფციული“ დაპატიმრებების სერია მოჰყვა.[4]

კატარის ინტერვენციის კატეგორიული წინააღმდეგი იყო აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი. ერთ-ერთი ვერსიით, 2018 წლის მარტში ტილერსონის გადაყენების მიზეზი სწორედ კატარის კრიზისში მისი პოზიცია გახდა. ტილერსონი ამ საკითხზე ინტენსიურად ხვდებოდა თავდაცვის მდივანს ჯიმს მატისს. ტილერსონის შემდეგ, საუდის არაბეთსა და საამიროებს მათ გეგმის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო შედეგებზე გაფრთხილება მატისმაც მისცა. ინტერვენციის შემთხვევაში, აშშ-თან პარტნიორული ურთიერთობის გაფუჭების საშიშორების გამო, საუდის არაბეთის კრონ-პრინცს, სამეფოს დე-ფაქტო მმართველს გეგმაზე უარის თქმა მოუწია, თუმცა მის გაღიზიანებას კატარის დამცველი ტილერსონი იწვევდა. „The New York Times“-ის ინფორმაციით,2017 წლის შემოდგომით საუდის არაბეთმა და გაერთიანებულმა საამიროებმა ტილერსონის გადასაყენებლად აქტიური ლობირება დაიწყეს.ტილერსონის

[4] ჯარედ კუშნერს საიდუმლო დოკუმენტაციაზე დაშვების უფლება მაისში აღუდგა.

გადაყენების საკითხზე, ისევე როგორც მანამდე ჯარედ კუშნერთან კრონ-პრინცების დაახლოებაზე,აქტიურად მუშაობდა აშშ-ში არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩი იუსეფ ალ-ოტაიბა.[5]

ლობისტური საქმიანობა

კატარის ბლოკადის გამოცხადებას წის უსწრებდა ერ-რიადისა და აბუ-დაბის აქტიური ლობისტური კამპანია ვაშინგტონში. 2015-2017 წლების პერიოდში მხოლოდ ერ-რიადმა ვაშინგტონში პოზიციების შესაქმნელად ლობიზმში 18 მლნ. აშშ დოლარზე მეტი დახარჯა და დაქირავებული უცხოური აგენტების/სუბიექტების რაოდენობა 25-დან 145-მდე გაზარდა. ის ასევე აქტიურად აფინანსებდა რელიგიურ ინსტიტუტებსა და ამერიკული უნივერსიტეტების ახლო აღმოსავლეთის შესწავლის განყოფილებებს. 2017 წელს შეიქმნა The Arabian Foundation, რომელიც ერ-რიადთანაა დაკავშირებული, ხოლო მანამდე, 2015 წელს The Arab Gulf Institute, რომელიც საამიროების ხელისუფლებასთანაა დაახლოებული. 2017 წელს ერ-რიადისა და აბუ-დაბის მიერ დაფინანსებული რამდენიმე მილიონიანი ანტიკატარული საინფორმციო კამპანია კატარის იმიჯის შელახვასა და ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოდ მის წარმოჩენას გულისხმობდა.

„The Washington Post"-ის მიხედვით, ასევე დადასტურდა, რომ 2017 წლის მაისში კატარის სამთავრობო საინფორმაციო ვებ-გვერდებზე ჰაკერული თავდასხმა არაბთა გაერთიანებული საამიროების შეკვეთით განხორციელდა.

დოჰას მტკიცებით, კრონ-პრინცებისთვის თეთრ სახლში კავშირების შექმნასა და ანტიკატარული კამპანიაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვითრესპუბლიკელ ფანდრაიზერსა და ტრამპთან დაახლოებულ პირს, ელიოტ ბროიდის და მის ბიზნეს პარტნიორს, ლიბანელ-ამერიკელ ჯორჯ ნადერს.

ბლოკადის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე, 2017 წლის მაისში ბროიდის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია, რომელიც კატარსა და „მუსლიმ ძმებს" ეხებოდა. კონფერენციის ორგანიზატორი იყო ამერიკული კვლევითი ცენტრი (think-tank) „დემოკრატიის თავდაცვის ფოდნი", რომლის თავმჯდომარე, მარკ დუბოვიცი „მუსლიმ ძმებს" ტერორისტულ ორგანიზაციად, ხოლო კატარს, შესაბამისად, ტერორიზმის მხარდამჭერად აცხადებდა. აღნიშნულ კონფერენციაზე აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ედ როისიმ სამომავლო კანონპროეტზე ისაუბრა, რომლის თანახმადაც, კატარი ტერორიზმის მხარდამჭერად საკანონმდებლო დონეზე უნდა გამოცხადებულიყო. კატარის მიერ გააქტიურებული ლობისტური საქმიანობის შედეგად, კანონპროექტი შეჩერდა.

2018 წლის მაისში „Associated Press"-მა ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გაავრცელა ბროიდისა და ნადერის ელექტრონული მიმოწერა, სადაც ისინი აღნიშნულ კავშირებსა და საქმიანობაზე საუბრობენ. არც ბროიდის და არც ნადერს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტში ლობირებისთვის სავალდებულო სარეგისტრაციო ფორმა არ შეუვსიათ, თუმცა გამოცემის თანახმად, გაწეული სამსახურისა და ლობიზმისთვის საუდის არაბეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროებისგან მატერიალური ანაზღაურება ირიბად მიიღეს.

2018 წელს ბროიდიმ სასამართლოში კატარის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, რომლის მიხედვითაც არაბულ სახელმწიფოს აშშ-ში მისი რეპუტაციის შელახვის მცდელობასა და ელექტრონული ფოსტის გატეხვაში ადანაშაულებდა. ბროიდის განცხადებით, კატარმა ჰაკერული თავდასხმით მოპოვებული მისი საქმიანი და პირადი წერილები მიზანიმართულად გადასცამედიასაშუალებებს.

[5] ოტაიბა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან ელჩად ითვლება აშშ-ში. დიპლომატიური სამსახურის დაწყებამდე იყო აბუ-დაბის ტახტის მემკვიდრე პრინც მუჰამედ ბინ ზაიედ ალ-ნაჰაიანის მრჩეველი. ოტაიბას მამა, რეკორდული მაჩვენებლით, ექვსჯერ ხელმძღვანელობდა OPEC-ს.

ბლოკადის დაწყებისთანავე ლობისტური საქმიანობა გააქტიურა კატარმაც. 2017 წლის ივნისიდან, მან არაერთი PR კომპანია და საკონსულტაციო თუ იურიდიული ფირმა დაიქირავა ვაშინგტონში ხელისუფლებასთან კავშირების გასამყარებლად და იზოლაციის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის გასატარებლად. 2018 წლის 1 თებერვალს აშშ-კატარის სტრატეგიული ყოველწლიური დიალოგის ფარგლებში, ახალი კვლევითი ცენტრი „სპარსეთის ყურის საერთაშორისო ფორუმი“ (Gulf International Forum) დაფუძნდა. მის გახსნას ორივე ქვეყნის მაღალი რანგის ოფიციალური წარმომადგენლები ესწრებოდნენ.[6]

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემებით, 2017 წლიდან დოჰამ ვაშინგტონში ტრამპის ახლო გარემოცვასა და კონგრესში ლობიზმზე თითქმის 24 მლნ. აშშ დოლარი დახარჯა, რაც თითქმის 3-ჯერ მეტი იყო, კატარის მიერ 2015-2016 წლებშიამ მიმართულებითგაწეულ დანახარჯებზე (დაახლ. 8.5 მლნ აშშ დოლარი). კატარის მიერ დაქირავებულ ლობისტებს შორის იყო ნიუ-იორკის ყოფილი მერი და ტრამპის პირადი ადვოკატი რუდი ჯულიანი.

შედეგები

2018 წელს აშშ-კატარის სტრატეგიული დიალოგის ფარგლებში, რომელსაც აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი და თავდაცვის მდივანი ჯეიმს მეტისი ესწრებდნენ, ხელმოწერილ იქნა რიგი ორმხრივი შეთანხმებები, მათ შორის ავიაციის, კონტრტერორიზმისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. სავარაუდოდ, კატართან დაკავშირებით აშშ-ის პოზიცია გახდა მიზეზი, რის გამოც საუდის არაბეთმა ტრამპის მოწოდების მიუხედავად უარი განაცხადა ნავთობის წარმოების გაზრდაზე. სა და ამგვარად ნავთობის დაბალი ფასების შენარჩუნებაზე. ირანის წინააღმდეგ სანქციების სრული პაკეტის ამოქმედებისა (2018 წლის ნოემბერი) და ნავთობის ექსპორტის შეზღუდვის შედეგად შექმნილი ვაკუუმის შევსებას აშშ საუდის არაბეთის მეშვეობით იმედოვნებს. აშშ-ის თხოვნაზე ერ-რიადის გაჭიანურებულ პასუხს მოჰყვა ტრამპის განცხადება, რომლის მიხედვითაც 2017 წელს ერ-რიადში ვიზიტის დროს მან მეფეს შეახსენა, რომ აშშ-ის დაცვის გარეშე 2 კვირასაც ვერ გასტანდა ხელისუფლებაში, სამხედრო დახმარებისთვს კი აუცილებელი იყო გადახდა. მიუხედავად მინიშნებისა, ვაშინგტონის თხოვნას ოქტომბრის დასაწყისში, ბინ სალმანმა უარით უპასუხა. მისი თქმით, ირანული ნავთობის დანაკლისის შესავსებად საუდის არაბეთმა უკვე გაზარდა წარმოება, ხოლო ნავთობის ფასების ზრდა სხვა აქტორების (კანადა, მექსიკა, ლიბია) გამო ხდება. შესაბამისად, ნავთობის ფასის შესამცირებლად წარმოების კიდევ უფრო მეტად გაზრდა ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკას.



2018 წლის იანვარში უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ კატარისა და აშშ-ის ერთობლივ დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ამერიკული მხარე მზადაა დაიცვას კატარის ტერიტორიული ერთიანობა, მის წინააღმდეგ მომდინარე საგარეო საფრთხეებისგან. მარტში, აშშ-ის ცენტრალურმა სარდლობამ ოფიციალურად უარყო გავრცელებული ინფორმაცია ალ-უბეიდას ბაზის შესაძლო დახურვასთან დაკავშირებით.

[6] ცენტრის მრჩევლად კატარში აშშ-ის ყოფილი ელჩი პატრიკ თეროსი დაინიშნა.

გამოყენებული წყაროები:

1. https://www.dailysabah.com/economy/2017/09/07/turkeys-exports-to-qatar-have-seen-84-pct-increase-since-beginning-of-gulf-crisis
2. https://www.thenational.ae/world/mena/iran-and-qatar-reinforce-alliance-increasing-doha-s-isolation-1.713033
3. https://money.cnn.com/2017/09/14/news/economy/qatar-isolation-economy-reserves/index.html
4. https://www.aljazeera.com/news/2018/06/top-court-begins-hearing-qatar-lawsuit-uae-180627135404895.html
5. https://www.reuters.com/article/us-egypt-saudi-islands/egypts-sisi-ratifies-deal-ceding-red-sea-islands-to-saudi-arabia-idUSKBN19F0KE
6. https://www.washingtonpost.com/world/middle_east/saudi-arabia-releases-most-detainees-in-corruption-probe-after-settlements-totaling-nearly-107-billion/2018/01/30/969d4d5a-05cb-11e8-aa61-f3391373867e_story.html?utm_term=.0e7001671473
7. https://www.washingtonpost.com/world/national-security/uae-hacked-qatari-government-sites-sparking-regional-upheaval-according-to-us-intelligence-officials/2017/07/16/00c46e54-698f-11e7-8eb5-cbccc2e7bfbf_story.html?utm_term=.bbebbecd77f0
8. https://www.washingtonpost.com/world/national-security/trump-fundraiser-elliott-broidy-sues-qatar-alleging-cyber-smear-campaign/2018/03/26/29f1a962-3118-11e8-8bdd-cdb33a5eef83_story.html?utm_term=.da3fbfe84563
9. https://theintercept.com/2018/08/01/rex-tillerson-qatar-saudi-uae/
10. https://www.reuters.com/article/us-usa-qatar-lobbying-insight/inside-qatars-charm-offensive-to-win-over-washington-idUSKBN1JV0DB
11. https://foreignpolicy.com/2018/02/06/qatars-ramped-up-lobbying-efforts-find-success-in-washington/
12. https://www.opensecrets.org/news/2017/10/qatar-spent-5-million-on-influence/
13. http://www.chicagotribune.com/news/nationworld/ct-trump-saudi-uae-princes-20180521-story.html
14. https://www.state.gov/r/pa/prs/ps/2017/11/275409.htm
15. https://thepeninsulaqatar.com/article/11/02/2018/Saudi-established-anti-Qatar-online-platforms-through-US-firm
16. https://www.aljazeera.com/news/2017/10/qatar-crisis-developments-october-21-171022153053754.html
17. https://www.aljazeera.com/news/2017/06/qatar-diplomatic-crisis-latest-updates-170605105550769.html
18. https://www.aljazeera.com/news/2018/02/defence-minister-saudi-uae-intended-invade-qatar-180203091422735.html
19. https://www.reuters.com/article/us-usa-trump-kushner/trump-adviser-and-son-in-law-jared-kushner-gets-security-clearance-back-idUSKCN1IO3E5
20. https://theintercept.com/2018/03/21/jared-kushner-saudi-crown-prince-mohammed-bin-salman/
21. https://www.huffingtonpost.com/giorgio-cafiero/the-uae-and-qatar-wage-a-_b_8801602.html
22. https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2017/06/06/the-persian-gulf-crisis-over-qatar-explained/?utm_term=.47adb6d9231e
23. https://edition.cnn.com/2017/06/05/middleeast/qatar-us-largest-base-in-mideast/index.html
24. https://www.nytimes.com/2017/04/21/world/middleeast/big-ransom-and-syria-deals-win-release-of-royal-qatari-hunters.html?mcubz=2
25. https://www.bbc.com/news/world-middle-east-35977032

ინგა ინასარიძე

საუდის არაბეთისა და ირანის დაპირისპირება რეგიონული გავლენისათვის

(იემენი, ბაჰრენი, ერაყი, ლიბანი)

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებსა და ზოგადად რეგიონის უსაფრთხოებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ორი მნიშვნელოვანი რეგიონული მოთამაშის, საუდის არაბეთისა და ირანის დაპირისპირება და კონკურენცია გავლენისათვის. რეგიონში, სადაც რელიგია და პოლიტიკა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, ისლამის შიგნით რელიგიური სხვაობა მეტოქეების საგარეო პოლიტიკურ მიდგომებზე აისახება: რეგიონული მხარდაჭერის მობილიზებისთვის, საუდის არაბეთი სუნიტური საზოგადოების დამცველად წარმოდგება, შიიტური ირანი კი, თავის მხრივ, ცდილობს, მოკავშირეები იყოლიოს ლიბანში, სირიასა თუ იემენში.

ორ ქვეყანას შორის არსებული კონფესიური და პოლიტიკურ–იდეოლოგიური სხვაობის გამო, დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებენ.

კონფესიური დაპირისპირების მუდმივი ზრდა, რომელიც 1970-იან წლებში დაიწყო და ირანის რევოლუციისა და ავღანეთის ომის შემდეგ გამძაფრდა, დაკავშირებული იყო ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებასთან. პირველ რიგში, ეს ეხება ირანსა და არაბულ ქვეყნებს, გამოკვეთილად კი - საუდის არაბეთს. აღნიშნულმა კონკურენციამ ხელი შეუწყო რელიგიური დაძაბულობის მკვეთრ ზრდას რეგიონის სხვა ქვეყნებშიც.

გასული საუკუნის მანძილზე, ირანი მტკიცე, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ძლიერი ძალოვანი სტრუქტურითა და ისლამური კანონმდებლობით. 80 მილიონიანი ირანი, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით და სამხედრო-პოლიტიკური გავლენის ჯგუფებით, ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვან რეგიონულ ძალას წარმოადგენს. კულტურული ნიშან–თვისებები, იდეოლოგიური მისწრაფებები, ნაციონალისტური ნარატივი და ისლამური წარმომავლობა ის ფაქტორებია, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის მიმართ მის მიდგომას განსაზღვრავს.

საუდის არაბეთს, რომლის მოსახლეობაც, ირანთან შედარებით, გაცილებით მცირეა (დაახლოებით, 30 მილიონი), არაბულ სამყაროში დომინანტურ მდგომარეობაში ნავთობის მდიდარი რეზერვები და მის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმთა უწმინდესი ადგილები, მექა და მედინა, აყენებს.

მემარჯვენე კონსერვატიული საუდის არაბეთი ეჭვქვეშ აყენებს შიიტური რეჟიმის ლეგიტიმურობასა და ისლამურობას. საუდის არაბეთის ანტიირანულ განწყობას ხელს უწყობს ქვეყანაში ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენელთა პოზიციაც, რომლის თანახმად, შიიტები არ ითვლებიან მუსლიმებად. სუნიტი სწავლულებისთვის შიიზმი მიუღებელია იდეოლოგიურად და მის ზოგიერთ ჩვეულებას მრავალღმერთიანობად მიიჩნევენ, ხოლო შიიტურ თემს – "სოციალურ ანომალიად" და სამეფოსთვის მნიშვნელოვან საფრთხედ თვლიან.

თავის მხრივ, ირანის მოქმედი რეჟიმი არ აღიარებს მონარქიას და მას ისლამის საწინააღმდეგო სისტემად მიიჩნევს. ირანი საუდის არაბეთს ხშირად ადანაშაულებს, აშშ–სა და ისრაელთან თანამშრომლობით, მუსლიმების წინააღმდეგ მოქმედებაში.

საერთაშორისო პოლიტიკაში ირანისა და საუდის არაბეთის დაპირისპირების რეალურად მიზეზად რეგიონში დომიმანტური პოზიციისა დ გავლენისთვის კონკურენცია მიიჩნევა. მხარეები ერთმანეთს ღიად ადანაშაულებენ სპარსეთის ყურის, და ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის დესტაბილიზაციაში.

თეირანსა და ერ-რიადს რეგიონში გავლენის მოპოვების მრავალწლიანი კონკურენცია აკავშირებთ. მათი უპირატესობა, სხვადასხვა ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, იცვლებოდა.

უახლეს ისტორიაში, სირიის სამოქალაქო ომში მხარეების დაპირისპირებულ ბანაკებში ყოფნის გარდა, ირანი-საუდის არაბეთის უთანხმოება სხვა არაბული ქვეყნების ტერიტორიებზეც გრძელდება.

2011 წლის ბაჰრეინის საპროტესტო ტალღა ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, იემენის სამოქალაქო ომი, ურთიერთობათა ცვლა ლიბანის ხელისუფლებასთან, ერაყში არსებული ვითარება – იმ ცალკეულ კონფლიქტებსა და შემთხვევებს წარმოადგენს, რომელთა განვითარებაზეც აღნიშული ქვეყნების დაპირისპირებამ, რეგიონული ძალთა ბალანსის გადანაწილების მიზნით, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში, მათი წინააღმდეგობა სხვადასხვა ფორმითა და მეთოდებით გამოიხატებ(ოდ)ა.

<u>იემენი</u>

იემენში, ლეგიტიმურ ხელისუფლებასა და ჰუთიებს შორის მიმდინარე კონფლიქტი მიჩნეულია საუდის არაბეთისა და ირანის დაპირისპირების თვალსაჩინო მაგალითად. 2011 წელს, „არაბული გაზაფხულის“ დროს, დაწყებული საპროტესტო გამოსვლები თანდათან სამოქალაქო ომში გადაიზარდა. მიმდინარე კონფლიქტში მთავარ დაპირისპირებულ მხარეს წარმოადგენენ: იემენის ლეგიტიმური ხელისუფლება და პოლიტიკური გაერთიანება „ანსარ ალლაჰი“, რომელსაც შიიტური სექტის (ზაიდიზმი) მიმდევარი ტომობრივი გაერთიანება ჰუთიები შეადგენენ.

2015 წელს, პრეზიდენტ მანსურ ჰადის პოლიტიკით უკმაყოფილო ამბოხებულმა ჰუთიებმა დედაქალაქი სანა და პრეზიდენტის ადმინისტრაცია დაიკავეს, დაითხოვეს პარლამენტი. პრეზიდენტმა ჰადიმ ქვეყნის სამხრეთით, ქ. ადენში გაქცევა შეძლო, სადაც განთავსდა იემენის ე.წ. ლეგიტიმური მთავრობა, თავად ჰადი კი ერ-რიადში იმყოფება. დედაქალაქსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს დღემდე ჰუთიები მართავენ.

საუდის არაბეთი, ისევე როგორც აშშ, ჰუთიების ფინანსურ და სამხედრო დახმარებაში ირანს ადანაშაულებს. საუდის არაბეთის განცხადებით, ირანი ერითრეის კუნძულებზე არსებულ ბანაკებში ამზადებდა ჰუთიებს, ხოლო შეიარაღებას ერითრეის მთავრობის დახმარებით აწვდიდა. ირანის განცხადებით, ის პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს ჰუთიებს, მაგრამ არ უწევს მატერიალურ და სამხედრო დახმარებას.

გაეროს მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 2009 წლის დასაწყისში, ირანი ჰუთიებს, გარდა იმისა, რომ ფინანსურ დახმარებას უწევდა, შეიარაღებასაც აწვდიდა.

2015 წლის მარტში, საუდის არაბეთმა იემენში ჰუთიების წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენცია განახორციელა. საჰაერო იერიშების პარალელურად, ერ–რიადმა არაბული კოალიციაც შექმნა. საუდის არაბეთის ოპერაციებს - „გადამწყვეტი შტორმი“ და „იმედების აღდგენა“ - პირადად ხელმძღვანელობდა სამეფოს თავდაცვის მინისტრი, კრონ–პრინცი მუჰამად ბინ სალმანი. ამბიციური განაცხადების მიუხედავად, საუდის არაბეთმა ვერ შეძლო იემენში თავისი მოკავშირე რეჟიმის აღდგენა. ხოლო სამხედრო კამპანიის შედეგად შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის გამო არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი.

იემენთან მიმართებაში საუდის არაბეთის შეშფოთების საგანს რამდენიმე ფაქტორი წარმოადგენს. პირველ რიგში, საუდის არაბეთს, მეზობელ სახელმწიფოში, მისდამი ლოიალურად განწყობილი სუნიტური მთავრობა სურს. ასევე, ერ–რიადი ცდილობს, თავის საზღვრებთან არ დაუშვას პრო–ირანული ძალების მმართველობა, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იემენში მიმდინარე ომი საფრთხეს უქმნის თავად სამეფოს უსაფრთხოებას. საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით მოქმედი არაბული კოალიციის ქმედებებს ჰუთიები სარაკეტო თავდასხმებით პასუხობენ. ერ-რიადის განცახდებით, სარაკეტო სისტემებით ჰუთიებს თეირანი ამარაგებს. ამ

მოსაზრებას ასევე იზიარებს აშშ. 2017 წლის დეკემბერში, გაეროში აშშ-ის მაშინდელი ელჩმა, ნიკი ჰეილმა სპეციალური პრეზენტაცია გამართა და საუდის არაბეთში ჩამოგდებული ერთ-ერთი რაკეტა წარადგინა, როგორც ირანის დანაშაულის მტკიცებულება. აშშ-ის მიერ წარდგენილ მასალას არასაკმარისად თვლის რუსეთი, რომელმაც მორიგი ვეტო დაადო აღნიშნული ფაქტის გამო ირანის წინააღმდეგ შემუშავებულ რეზოლუციას.

ბაჰრეინი

ბაჰრეინს, რომლის დაახლოებით 1.5 მილიონიანი მოსახლეობის უმეტესობას შიიტები[1] შეადგენენ, სუნიტი ალ-ხალიფას საგვარეულო დინასტია მართავს. სუნიტი მმართველებით უკმაყოფილო შიიტი მოსახლეობა ხელისუფლებას სხვადასხვა სახის დისკრიმინაციაში ადანაშაულებს.

„არაბული გაზაფხულის“ დროს, 2011 წელს ბაჰრეინის მოსახლეობა საკონსტიტუციო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, საკონსტიტუციო ცვლილებისა და პრემიერ ხალიფა ბინ ისა ალ-ხალიფას გადადგომას ითხოვდნენ. მმართველი ალ-ხალიფას წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების ჩასახშობად, საუდის არაბეთმა სპარსეთის ყურის თანამშრომობის საბჭოს ეგიდით, შიიტი ამბოხებულების დასაშლელად ბაჰრეინში ჯარები შეიყვანა. იმის გამო, რომ ისტორიული თუ კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით ირანი გავლენა ბაჰრეინის შიიტ მოსახლეობაზე კვლავ მაღალია[2], მოსახლეობაში საპროტესტო ტალღის აგორებაში ბაჰრეინის ხელისუფლებამ ირანი დაადანაშაულა. თეირანმა ბრალდება კატეგორიულად უარყო.

ერაყი

ერაყის ისტორიაში ეთნოკონფესიური ფაქტორი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. 1932 წელს, დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ერაყის ხელისუფლებაში სუნიტი მმართველები აღმოჩნდნენ. იმ ხნის განმავლობაში, შეინიშნებოდა შიიტების დისკრიმინაცია, რასაც, შედეგად ათასობით შიიტის ირანში ემიგრაცია მოჰყვა. მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც 2003 წლის აშშ-ის ინტერვენციისა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასრულების შედეგად, ხელისუფლებაში შიიტები მოვიდნენ. შიიტური მთავრობა თანდათანობით მოექცა ირანის გავლენის ქვეშ. ეს მიუღებელი იყო, როგორც თავად ერაყში მცხოვრები სუნიტი უმცირესობისთვის, ისე რეგიონის სხვა სუნიტური ძალებისთვის, პირველ რიგში საუდის არაბეთისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ერაყის მოქმედი ხელისუფლება პრემიერ-მინისტრ ჰაიდარ ალ-აბადის ხელმძღვანელობით აქტიურად თანამშრომლობს აშშ-თან, მასზე ირანის გავლენა მაინც ძლიერია. მას შემდეგ, რაც ერაყში ირანის მიერ მხარდაჭერილი შიიტური რაზმების გამო, ქვეყანაში უკმაყოფილება გაჩნდა, 2016 წელს ალ-აბადიმ ისინი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ოფიციალურად შეიყვანა. პრემიერი ამ გადაწყვეტილებას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში მათი წვლილით ხსნიდა.

2018 წლის მაისში, ერაყის საპარლამენტო არჩევნებში შიიტი სასულიერო პირის მოქთადა ალ-სადრის გამარჯვება ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ერაყელი ნაციონალისტი ალ-სადრი აშშ-ის პოლიტიკის ცნობილი ოპონენტია, თუმცა ასევე ეწინააღმდეგება ერაყის საშინაო პოლიტიკაში სხვა რომელიმე ქვეყნის ჩარევას, მათ შორის ირანის. 2017 წელს მისმა ვიზიტებმა საუდის არაბეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გააჩინა მოსაზრება, რომ არაბული

[1] ბაჰრეინის მუსლიმი მოსახლეობის 70-75%.

[2] ირანის კონსერვატორი პოლიტიკოსები ბაჰრეინს ირანის „მეთოთხმეტე პროვინციადაც“ მოიხსენიებენ.

ქვეყნები გავლენიან სასულიერო პირს და მის მიმდევრებს გამოიყენებდნენ ერაყში ირანის გავლენის შესამცირებლად.

2018 წლის ზაფხულში დაწყებული საპროტესტო გამოსვლები ერაყის სამხრეთით, ქ. ბასრაში ირანისა და საუდის არაბეთის მხრიდან ერთმანეთის დადანაშაულების მორიგი მიზეზი გახდა. სოციალური პრობლემების გამო დაწყებულ გამოსვლებში დემონსტრანტები ერაყის საქმეებში ირანის ჩარევას აპროტესტებდნენ. კერძოდ, მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ მათი აზრით, ირანი კორუმპირებულ ერაყელ მაღალჩინოსნებს ეხმარება. თეირანის განცხადებით, ბასრაში ანტიირანული გაწყობების გაღვივებაში ბრალი საუდის არაბეთს მიუძღვის.

ლიბანი

არაბულ სახელმწიფოში ირანის პოლიტიკურ–იდეოლოგიური გავლენის საუკეთესო მაგალითს ლიბანი წარმოადგენს. 1982 წელს, ლიბანში ისრაელის ინტერვენციისა და სამხრეთ რეგიონის ოკუპირების შემდეგ, შიიტმა მუსლიმებმა შექმნეს წინააღმდეგობის მოძრაობა „ჰეზბოლა“, რომლის მიზანიც სამხრეთი რეგიონის გათავისუფლება და ისლამური სახელმწიფოს შექმნა იყო. „ჰეზბოლას“ ფინანსურად და ლოჯისტიკურად მუდმივად უზრუნველყოფდა თეირანი. ირანი მას განიხილავდა, როგორც ახლო აღმოსავლეთში გავლენის გავრცელების საშუალებას. მისი პირველი მებრძოლებიც ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა (IRGC) მოამზადა.

„ჰეზბოლას“ იდეოლოგია დაფუძნებული იყო აიათოლა ხომეინის 1979 წლის ირანული რევოლუციის პრინციპებზე. დროთა განმავლობაში, ორგანიზაცია წინააღმდეგობის მოძრაობიდან მემარცხენე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. დღემდე „ჰეზბოლა“ ირანის სულიერი ლიდერის წინაშე დადებულ „ერთგულების ფიცს“ იცავს. ამას ადასტურებს, არამხოლოდ მისი პროირანული საგარეო პოლიტიკა (ჩართულობა სირიის კონფლიქტში, ერაყის არმიისა და იემენელი ჰუთიების მხარდაჭერა), არამედ ლიბანის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონების ქუჩებში ორგანიზაციის ლიდერის, ჰასან ნასრალას პოსტერებთან ერთად, ირანის მოქმედი და წინა სულიერი ლიდერების სურათები.

ირანის მუდმივი მხარდაჭერის გარეშე, „ჰეზბოლა“ ვერ მოახერხებდა ლიბანის პოლიტიკურ სივრცეში დაწინაურებას და „სახელმწიფოში სახელმწიფოს“ შექმნას.

ქვეყნის პოლიტიკური სისტემაში „ჰეზბოლა“ 1992 წლიდან ჩაერთო, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. შემდგომ წლებში, პარლამენტში „ჰეზბოლას“ წარმომადგენლობა იზრდებოდა. ადგილობრივ მოსახლეობაში, ორგანიზაციის პოპულარობას ხელს უწყობდა ისიც, რომ „ჰეზბოლა“ წარმატებით სარგებლობდა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით და მოსახლეობას ისეთ სოციალურ პრობლემებს უგვარებდა, რასაც ქვეყნის მთავრობა ვერ უმკლავდებოდა. ასევე ირანის დახმარებით, ანხორციელებდა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საგანმანთლებლო პროექტებს. მაგალითად, ჰეზბოლას სამედიცინო დაზღვევის პროგრამა გაცილებით იაფი იყო მოსახლეობისთვის, ვიდრე სახელმწიფო პროგრამები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამები ძირითადად თავმოყრილი იყო შიიტურ არეალებში, ის ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი პირისთვის, მიუხედავად მისი რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებისა.

2010 წელს, ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ „ჰეზბოლა“ ირანს გარე საფრთხეებისგან დაიცავდა. ამის შემდეგ, ირანულ „ყოდსის“ ძალებთან შეთანხებით, „ჰეზბოლა“, ასადის ხელისუფლების დასახმარებლად, სირიის კონფლიქტში ჩაერთო, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი გავლენა რეგიონულ დონეზე. 2017 წლის აგვისტოში, „ჰეზბოლას“ მიერ მიღწეული შეთანხმებით, ლიბან–სირიის საზღვარი სრულად იქნა გაწმენდილი ტერორისტებისგან, რამაც სამხედრო–პოლიტიკური კუთხით, მისი პრესტიჟი კიდევ უფრო გაზარდა.

მაშ შემდეგ, რაც 2016 წელს ოფიციალურმა ბეირუთმა უარი განაცხადა სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს მოთხოვნაზე - „ჰეზბოლა“ ტერორისტულ ორგანიზაციად ეღიარებინა, საუდის არაბეთმა ლიბანს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა.

ლიბანზე „ჰეზბოლას“ და, შესაბამისად, ირანის გავლენის შესუსტებას ისახავდა მიზნად 2017 წლის ნოემბერში საუდის არაბეთიდან ლიბანის სუნიტი პრემიერ-მინისტრის, საად ჰარირის მიერ გაკეთებული მოულოდნელი განცხადება გადადგომის შესახებ. პრემიერმა თავის გამოსვლაში, ლიბანში დაბრუნების შემთხვევაში მისი შესაძლო ლიკვიდირების საშიშროებაზე ისაუბრა და „ჰეზბოლა“ და ირანი რეგიონის დესტაბილიზირებაში დაადანაშაულა. ჰარირის განცხადება მოულოდნელი იყო თავად მისი პოლიტიკური გუნდისთვისაც. ლიბანის პრეზიდენტის მიშელ ოუნის თქმით, ჰარირი, რომელსაც ოჯახი და დიდი ხნის ბიზნესსაქმიანობა აკავშირებს საუდის არაბეთთან, ერ-რიადში შინაპატიმრობაში იმყოფებოდა და აღნიშნული განცხადებაც ზეწოლის შედეგი იყო. ამიტომ პრეზიდენტმა გადადგომასთან დაკავშირებით მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. საუდის არაბეთი იმედოვნებდა, რომ ჰარირის განცხადებას ლიბანში მოსახლეობის მღელვარება და „ჰეზბოლას“ წინააღმდეგ პრემიერის მომხრეების საპროტესტო გამოსვლები მოჰყვებოდა. თუმცა, ქვეყანაში ერთსულოვნება იყო იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ჰარირი გადაწყვეტილება არ ყოფილა მის მიერ მიღებული, რასაც ამტკიცებდა გარემოებები და პრემიერისთვის უჩვეულო/უცხო საუბრის სტილი. აშშ-ისა და საფრანგეთის შუამავლობის შედეგად ჰარირი საუდის არაბეთიდან ლიბანში დაბრუნდა. დასავლელი დიპლომატების განცხადებით, ჰარირი იმ პირობით იქნა გათავისუფლებული, რომ „ჰეზბოლა“ იემენელ ჰუთიებთან კავშირს შეწყვეტდა და ლიბანში ანტისაუდური რიტორიკა შეწყდებოდა.

ლიბანელი პოლიტიკოსების განცხადებით, ჰარირის გარდა, ერ-რიადს ლიბანის დესტაბილიზაციის სხვა გეგმაც ჰქონდა, რაც პალესტინელი ლტოლვილების „ჰეზბოლასთან“ დაპირისპირას გულისხმობდა, თუმცა არც აღნიშნულმა გეგმამ იმუშავა თავად პალესტინელების პოზიციის გამო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mabon Simon, "*The Battle for Bahrain: Iranian-Saudi Rivalry"*. Middle east Policy council, Volume XIX, Number 2: https://www.mepc.org/battle-bahrain-iranian-saudi-rivalry
2. Czornik Ketarzyna, *"Bahrain as the area of Saudi-Iranian rivalry in the second decade of the 21st century",* 2017: file:///C:/Documents%20and%20Settings/LK/Desktop/6327-4471.pdf
3. Norton August Richard, *"Hezbollah: a short history",* Princeton university press, 2007;
4. https://www.telegraph.co.uk/news/wikileaks-files/8331615/BAHRAIN-AS-IRANS-FOURTEENTH-PROVINCE.html
5. https://www.reuters.com/article/us-lebanon-politics-hariri-exclusive/exclusive-how-saudi-arabia-turned-on-lebanons-hariri-idUSKBN1DB0QL
6. https://www.nytimes.com/2017/12/24/world/middleeast/saudi-arabia-saad-hariri-mohammed-bin-salman-lebanon.html
7. https://www.bbc.com/news/world-middle-east-41937439
8. https://www.bbc.com/news/world-middle-east-42239355
9. https://www.middleeastmonitor.com/20161126-iraq-parliament-passes-law-legalising-pmf-shia-militias/
10. https://www.theguardian.com/world/2018/may/14/iraq-elections-who-is-moqtadr-al-sadr
11. https://www.haaretz.com/middle-east-news/who-is-moqtada-al-sadr-iraq-s-anti-u-s-likely-next-pm-1.6092582
12. https://www.vox.com/2018/9/28/17915752/us-iran-iraq-basra-trump

13. https://www.middleeastmonitor.com/20180927-iraqi-shia-leader-accuses-us-saudi-arabia-of-planning-basra-protests/
14. https://www.ft.com/content/b4cb47b4-2d1c-11e8-9b4b-bc4b9f08f381
15. https://www.bbc.com/news/world-middle-east-29319423
16. https://www.nytimes.com/2018/02/26/world/middleeast/iran-yemen-security-council.html
17. https://thinkprogress.org/nikki-haley-unsc-iran-b7c861e4253e/
18. https://www.cbsnews.com/news/russia-us-iran-ballistic-missiles-saudi-arabia-yemen-nikki-haley-tehran/

ფერდინანდ თავაძე

ჩრდილოკავკასიური ექსტრემისტული ჯგუფები სირიის კონფლიქტში

შესავალი

კავკასიურმა ექსტრემისტულმა ჯგუფებმა სირიის კონფლიქტის საწყის ეტაპიდანვე შეიძინეს ერთ-ერთი ავტორიტეტული და წამყვანი ძალის იმიჯი ბაშარ ასადის მმართველობის წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფებს შორის. მათ კონფლიქტში ჩართვას ხელი შეუწყო იმ უახლოესმა ისტორიულმა კავშირებმა, რომელიც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ჩამოყალიბდა ერთის მხრივ ჩრდილოკავკასიურ ჯიჰადისტურ მოძრაობას და მეორეს მხრივ საერთაშორისო ექსტრემისტულ ორგანიზაციებს, ასევე ჯიჰადის მქადაგებელ ავტორიტეტულ მუსლიმ რელიგიურ სწავლულებს შორის.

კავკასიელები სირიაში ჯიჰადის მხარდაჭერას აღიქვამდნენ როგორც ერთგვარ გარდამავალ პერიოდს შემდგომში კავკასიაში საკუთარი მოძრაობის გასააქტიურებლად. სწორედ ამიტომ ბაშარ ასადის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა ერთიანი სულისკვეთებით იქნა მიღებული როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ექსტრემისტული ჯგუფების, ასევე რეგიონიდან ემიგრირებული მათი მხარდამჭერი კავკასიელების მიერ.

სირიის კონფლიქტში ჩართული კავკასიური ექსტრემისტული ჯგუფების რაოდენობა

სირია-ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი კავკასიელი მებრძოლების რაოდენობის შესახებ განსხვავებული ცნობები ვრცელდება. გამოცემა „სუფან ცენტრის“ მონაცემებით, სირიის კონფლიქტში მონაწილე რფ-ს მოქალაქეთა რაოდენობა შეადგენდა 3417 ადამიანს. 2018 წლის მაისში რფ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებული მონაცემებით, ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების 3000-მდე მოქალაქე გაემგზავრა სირიაში ტერორისტულ ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღების მიზნით. მათ შორის უმრავლესობას დაღესტნელები, ხოლო რაოდენობრივად მეორე ჯგუფს ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები წარმოადგენდნენ. აღნიშნულ ციფრს ემატება იმ კავკასიელთა რაოდენობაც, რომლებიც სირიის ტერიტორიაზე გაემგზავრნენ სხვა რეგიონებიდან.

დაღესტანის რესპუბლიკის მოქალაქეთა რაოდენობრივი უპირატესობა აღნიშნულ სეგმენტს აქცევს ჩრდილოკავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობის დომინანტ ძალად. თუმცა მეორე მხრივ, ჩეჩენი მებრძოლები ინარჩუნებენუპირატესობას, როგორც ავტორიტეტული და მაღალი ბრძოლისუნარიანობის მქონე ჯგუფი. აღნიშნული ფაქტორი ღიად არასდროს დასახელებულა რომელიმე შიდა უთანხმოების პირდაპირ საფუძვლად, თუმცა სხვადასხვა პერიოდში კავკასიური დაჯგუფებების შიდა დავების დროს ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაცცალკეულპირებს ბრალს დებდნენ ნაციონალისტურ განწყობილებებში. ამვარად არ არის გამორიცხული, რომ ახლო აღმოსავლეთში მოქმედ კავკასიურ ჯგუფებს შორის არსებობდეს გარკვეული კონკურენცია, რომელიც ეთნიკურ კუთვნილებას ეფუძნება.

კავკასიელი ექსტრემისტული ჯგუფების სირიაში მიგრაციის მიზეზები და მოტივები

ცნობები იმის შესახებ თუ როგორ მოხდა პირველი ჯგუფის სირიაში ჩასვლა და ბაშარ ასადის მმართველობის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა, საკმაოდ შეზღუდულად ვრცელდებოდა. თუმცა, ერთ-ერთი ვერსიით, მათი სირიის მიმართულებაზე კონცენტრირებაში

სავარაუდიდ დიდი წვლილი მიუძღვით იმ კავკასიელ ვეტერანებს, რომლებიც წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ საზღვარგარეთ და მოცემული მომენტისათვის ან წარსულში მაინც რაიმე ფორმით წარმოადგენდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ექსტრემისტული ორგანიზაციის „კავკასიის საემიროს“[1] ინტერესების გამტარებს.[2]

აღნიშნულმა ჯგუფებმა ემიგრაციაში მყოფ კავკასიელებს სირიის კონფლიქტში მონაწილეობა წარუდგინეს როგორც ერთგვარი გარდამავალი პერიოდი შემდგომში ჩრდილოეთ კავკასიაში ჯიჰადის მორიგი თეატრის გადასატანად. კავკასიელი მებრძოლები სირიის კონფლიქტში მონაწილეობას განიხილავდნენ საბრძოლო გამოცდილების (უეტესად ქალაქის პირობებში ბრძოლის წარმოების) მიღების და გლობალური ექსტრემისტული ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის გაღრმავების საშუალებად, რომლებიც შემდგომში ჩრდილოეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების წამოწყების შემთხვევაში უზრუნველყოფდნენ ჯიჰადისტური მოძრაობის ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანური რესურსებით მომარაგებას. თავის მხრივ, სირიის კონფლიქტში მონაწილეობის გაცხადებულ/ოფიციალურ მოტივს წარმოადგენდა რელიგიური ვალდებულებები, რომლებიც ჯიჰადის წარმოებასა და მუსლიმი ხალხის დაცვის აუცილებლობას მოიცავდა. აღნიშნულს მატერიალური ინტერესიც ემატებოდა, რაც თავდაპირველად სირიის კონფლიქტში ჩართულ კავკასიელებს საერთაშორისო საზოგადოების თვალში წარმოაჩენდა როგორც დაქირავებულ მებრძოლებს. კავკასიელი მებრძოლების შემდგომ ნაკადებში წინ წამოიწია რელიგიურ-იდეოლოგიურმა მოტივებმა და მატერიალურმა ინტერესებმა მეორე ხარისხოვანი ხასიათი მიიღო.

კავკასიელი მებრძოლების სირიაში მიგრაციის ეტაპები

კავკასიელი მებრძოლების პირველი ჯგუფი სირიის ტერიტორიაზე 2012 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა. მიუხედავად სირიაში ჩასული პირველი ჯგუფის შედარებით მცირე რაოდენობისა, მათი მნიშვნელობა კონფლიქტში ჩართულობის საწყისი ეტაპიდანვე საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ატარებდა მათი საბრძოლო გამოცდილების, ბრძოლისუნარიანობის და ახალი მებრძოლების მიზიდვის პერსპექტივის გათვალისწინებით.

მოგვიანებით, 2012 წლის ზაფხულიდან მოყოლებული იმატა კავკასიელი მებრძოლების ნაკადმა სირიის მიმართულებით. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ 1990-იანი წლების ბოლოდან და 2000-იანი წლების დასაწყისშიემიგრირებული რუსეთ-ჩეჩნეთის ომებისვეტერანებიან მათი შთამომავლები. შედეგად, სირიის კონფლიქტში მონაწილეობისაკენ მოწოდებები მათ მიერ მიღებულ იქნა როგორც შესაძლებლობა მოეხდინათ საკუთარი თავისა და საბრძოლო უნარ-ჩვევების რეალიზება. საყურადღებოა, რომ სწორედ 2012 წლის ზაფხული იქცა იმ გარდამტეხ მომენტად, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი მარშრუტები მაქსიმალურად შეიზღუდა და ჩაიკეტა, რამაც ემიგრირებულ კავკასიელებს უბიძგა ჯიჰადის ახალი თეატრების ძებნისკენ.

კავკასიელი მებრძოლების შემდგომი მსხვილი ნაკადი სირიის მიმართულებით 2013-2014 წლებში გაემგზავრა და მათ დიდ ნაწილს ამ შემთხვევაში უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები პირები შეადგენდნენ. აღნიშნული პროცესი დაემთხვა რუსეთის ფედერაციაში „2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადისათვის“ მზადების პერიოდს, სადაც ერთ-ერთ პრიორიტეტულ

---

[1] „იმარატ კავკაზი“; „Имарат Кавказ“; „Caucasus Emirate“.

[2] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიელ მებრძოლთა სირიის კონფლიქტში მიზიდვის საკითხი შესაძლოა სრულფასოვნად არ ყოფილიყო შეთანხმებული „კავკასიის საემიროს“ ხელმძღვანელობასთან და კავკასიელ მებრძოლთა პირველი ნაკადების რეკრუტირებასა და ტრანსპორტირებაზე სავარაუდოდ პასუხისმგებელი იყო ორგანიზაციის წარმომადგენლები საზღვარგარეთ. ორგანიზაციის იმ დროინდელი ლიდერი დოკუ უმაროვი ეწინააღმდეგებოდა ან ცდილობდა დაეცვა ბალანსი მებრძოლების გადინების პროცესში, რათა არ მომხდარიყო ჩრდილოეთ კავკასიაში ჯიჰადის ტემპის შემცირება.

ამოცანას რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. აღნიშნულ პერიოდში რუსული სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ მნიშვნელოვნად გამკაცრდა ქვეყნის ტერიტორიაზე არასასურველი ძალების მიერ შეღწევის მცდელობების კონტროლი; გაიზარდა ზეწოლა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებზე (ნეიტრალიზებულ იქნა რამდენიმე მაღალი რანგისა და ავტორიტეტის მქონე ადგილობრივი საველე მეთაური), რამაც გამოიწვია ხსენებული ჯგუფების დეზორგანიზება და კომუნიკაციის რღვევა; საბოლოოდ რუსულმა ძალოვანმა უწყებებმა ექსტრემისტულ ჯგუფებსსაშუალება მისცეს დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია და გამგზავრებულიყვნენ სირიის მიმართულებით. აღნიშნულმა გამოიწვია ჩრდილოკავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობის დაუძლურება და მისი ძირითადი რესურსების თავმოყრა ახლო აღმოსავლეთში.

კავკასიელი მებრძოლების ნაკადი სირიის მიმართულებით გრძელდებოდა 2014-2016 წლებშიც, როდესაც სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე ტერორისტულმა ორგანიზაციამ „ისლამურმა სახელმწიფომ“ გამოაცხადა ე.წ. „სახალიფოს“ ფორმირება და მოუწოდა მუსლიმ მოსახლეობას სხვადასხვა რეგიონიდან გადასახლებულიყვნენ „სახალიფოში“. აღნიშნული მოვლენა იქცა მორიგ ძლიერ მოტივატორად კავკასიელი ექსტრემისტებისათვის, რომელთა დიდმა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება სირია-ერაყის ტერიტორიაზე ოჯახებთან ერთად გადასულიყვნენ საცხოვრებლად.

2017 წლიდან მოყოლებული კავკასიის რეგიონიდან ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით მებრძოლთა მიგრაცია საგრძნობლად შემცირდა, რაც განაპირობა ხსენებული პერიოდიდან სირიასა და ერაყში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების წარუმატებლობებმა.

კავკასიური ექსტრემისტული ჯგუფები სირიაში 2012-2014 წლებში

სირიის კონფლიქტში მონაწილე უცხოელი მებრძოლების პირველ ნაკადებს არ ეძლეოდათ საშუალება გაერთიანებულიყვნენ ეთნიკური ან სხვა რაიმე ნიშნით დაკომპლექტებულ ცალკეულ დაჯგუფებებში.უცხოელი მებრძოლები მოკლევადიანი საბრძოლო წვრთნების გავლის შემდეგ ნაწილდებოდნენ სირიის ოპოზიციური ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფში. მიუხედავად ამისა, პირველი კავასიელი მებრძოლები სირიაში ხასიათდებოდნენ როგორც მაღალი ბრძოლისუნარიანობის მქონე ჯგუფები, რომლებიც იშვიათი გამონაკლისის გარდა თავს არიდებდნენ სხვა უცხოელ ან ადგილობრივ მებრძოლებთან მჭიდრო კომუნიკაციას პირადი უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის შენარჩუნების მიზნით. საბრძოლო მომზადების პერიოდიდანვე უპირატესობას ანიჭებდნენ ცალკეულ ჯგუფებად ყოფნას.

2012 წლის ზაფხულში ჩამოყალიბდა ერთ-ერთი პირველი არასირიული წარმოშობის მებრძოლებით დაკომპლექტებული დაჯგუფება „ქათა’იბა ალ-მუჰაჯირინ ვალ-ანსარი“ აბუ უმარ ალ-შიშანის ხელმძღვანელობით. დაჯგუფების ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ კავკასიელი და საუდელი მებრძოლები.

ხსენებული დაჯგუფების ფორმირების მომენტისათვის უკვე დაწყებული იყო სირიაში კავკასიელ მებრძოლთა შემდგომი ნაკადების შედინება. მათი დიდი ნაწილი სწორედ „ქათა’იბა ალ-მუჰაჯირინის“ რიგებში წევრიანდებოდა. თუმცა ცალკეული ინდივიდები სხვა ჯგუფებსაც უერთდებოდნენ, მათ შორის ადგილობრივი სირიელებით დაკომპლექტებულ ფორმირებებს, სადაც ხშირად წამყვანი პოზიციებიც ეკავათ. კონფლიქტის შემდგომ ეტაპებზე კავკასიელმა მუჰაჯირებმა სხვა მსხვილი და დამოუკიდებელი ფორმირებების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომლებიც ამ დრომდე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სირიის კონფლიქტში.

ამგვარად, 2012 წლის შემოდგომისათვის კავკასიელი მებრძოლების ავტორიტეტმა საკმაოდ იმატა. აბუ უმარ ალ-შიშანის ხელმძღვანელობით, კავკასიელებმა სირიის ოპოზიციურ ძალებთან კოორდინაციაშიმონაწილეობა მიიღეს და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ალეპოს პროვინციაში არსებული რამდენიმე სამხედრო ბაზის დაკავებაში.

2013 წლის მარტში „ქათა'იბა ალ-მუჰაჯირინს“ შეუართდა რამდენიმე შეიარაღებული ფორმირება (მათ შორის „ქათა'იბ ხატაბი“ და „ჯაიშ მუჰამადი“). შედეგად ახალ გაერთიანებას ეწოდა „ჯაიშ ალ-მუჰაჯირინ ვალ-ანსარი“ და იქცა სირიის ტერიტორიაზე მოქმედ უცხოელი მებრძოლებით დაკომპლექტებულ ერთ-ერთ უმსხვილეს და ავტორიტეტულ ფორმირებად. მის ძირითად ბირთვს კვლავ კავკასიელები წარმოადგენდნენ, თუმცა „ჯაიში“ ასევე აერთიანებდა მებრძოლებს საუდის არაბეთიდან, ცენტრალური აზიიდან, ყირიმიდან და ევროპიდან.

ნიშანდობლივია, რომ „ჯაიშის“ და მისი კავკასიელი ლიდერების დამოუკიდებლობაზე ან მათ ერთგულებაზე მსხილი ორგანიზაციების მიმართ საკმაოდ დიდი დავა მიმდინარეობდა. მიიჩნეოდა, რომ კაკასიელი მებრძოლები სირიაში „კავკასიის საემიროს“ სახელით მოქმედებდნენ და რეალურადაც მათი დიდი ნაწილი ჩრდილოკავკასიური ექსტრემისტული ორგანიზაციის ერთგულები რჩებოდნენ. თუმცა თავად აბუ უმარ ალ-შიშანი და სხვა წამყვანი მეთაურები უარყოფდნენ „საემიროს“ იმდროინდელი ლიდერის დოკუ უმაროვის წინაშე ერთგულების ფიცის დადების ფაქტს. ამასთან, ინარჩუნებდა მის მიმართ პატივისცემასა და კეთილგანწყობას. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სირიის კონფლიქტის საწყის ეტაპზე „კავკასიის საემიროს“ საბრძოლო წარმომადგენლობა სირიაში სალაჰუდინ შიშანის ხელმძღვანელობით, სწორედ მისი ფრთის ქვეშ, „ჯაიშის“ შემადგენლობაში ცალკეული დანაყოფის სახით მოქმედებდა.

„ჯაიშის“ ფორმირების პერიოდშივე, 2013 წლის მარტში დაჯგუფებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქ.ალეპოს ჩრდილოეთით მდებარე ჰანდარატის ავიაბაზის დაკავებაში, თუმცა ფორმირების და განსაკუთრებით მისი ლიდერის აბუ უმარ ალ-შიშანის უმთავრეს წარმატებად მიიჩნევა 2013 წლის აგვისტოში აფრინის მახლობლად არსებული მინაღის ავიაბაზის დაკავება, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ალყაში და ოპოზიციური ძალები ვერ ახერხებდნენ მის აღებას. აღნიშნულმა ოპერაციამ აღიარება მოუტანა პირადად აბუ უმარ ალ-შიშანის, რომელიც შემდგომ პერიოდში ჩრდილოეთ სირიის სამხედრო ამირად მოიხსენიებოდა.

2013 წლის ზაფხულშივე დაფიქსირდა პირველი უთანხმოებები „ჯაიშის“ კავკასიელ საველე მეთაურებს შორის. კერძოდ, აბუ უმარ ალ-შიშანის ბრალდებები წუყენა ასევე მაღალი ავტორიტეტის მქონე სეიფულა შიშანმა, რომელიც მანამდე დაჯგუფების მედია სახედ და აბუ უმარის უახლოეს პირად მიიჩნეოდა. დაჯგუფებაში არსებული უთანხმოება დასრულდა 2013 წლის აგვისტოს დასაწყისში სეიფულას რამდენიმე ათეულ მებრძოლთან ერთად გამოყოფით, რომელიც შეუერთდა კავკასიელი მებრძოლებით დაკომპლექტებულ მცირერიცხოვან დაჯგუფებას. მათი შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა ბრიგადა „მუჰაჯირინ კავკაზ ვალ-შამ“. მოგვიანებით უშუალოდ სეიფულას დანაყოფი მოიხსენიებოდა როგორც „ჯაიშ ხილაფა ალ-ისლამია“, რომელიც 2013 წლის დეკემბერში გაწევრიანდა იმ დროისათვის სირიაში ალ-ქაიდას ოფიციალური წარმომადგენლობის „ჯაბჰატ ალ-ნუსრას“ რიგებში, თუმცა მოქმედებდა დამოუკიდებელ ჯამაათად. 2014 წლის თებერვალში სეიფულა დაიღუპა ქ.ალეპოს ციხის აღების წარუმატებელი ოპერაციის დროს. აღნიშნულის შემდეგ მის დაჯგუფებას სათავეში ჩაუდგნენ ცენტრალური აზიელები და დაჯგუფებას ეწოდა „სეიფულას ჯამაათი“.[3]

2013 წლიდან სირიაში გამოჩნდნენ სხვა კავკასიური შეიარაღებული ფორმირებებიც, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ სხვადასხვა მსხვილ ოპოზიციურ თუ ისლამისტურ დაჯგუფებასთან კოორდინაციაში. დღეისათვის ხსენებული ჯგუფები რჩებიან იდლიბის პროვინციაში ბაზირებულ წამყვან კავკასიურ ფორმირებებად, რომლებიც საკუთარ რიგებში აერთიანებენ სირიაში დარჩენილი კავკასიელი მებრძოლების დიდ ნაწილს.

2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოხდა მორიგი მსხვილი გარდაქმნები „ჯაიშის“ რიგებში, რამაც გავლენა იქონია სირიაში მოქმედ კავკასიელებზე. 2013 წლიდან მოყოლებული უთანხმოება ღვივდებოდა სირიაში მოქმედ ორ უმსხვილეს ექსტრემისტულ-ტერორისტულ დაჯგუფებას შორის,

[3] დამოუკიდებლად იარსება 2015 წლის ოქტომბრამდე.

რომლებიც „ალ-ქაიდას“ ფრთის ქვეშ მოქმედებდნენ - „ჯაბჰატ ალ-ნუსრასა“ და „ერაყის ისლამურ სახელმწიფოს“ (შემდგომში „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო“ - ISIS) შორის.[4]

აღნიშნული უთანხმოების პროცესში, ორივე დაპირისპირებული მხარე ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა მოეპოვებინა სხვადასხვა ექსტრემისტული ჯგუფის მხრიდან. ამგვარად კავკასიელები, როგორც ერთ-ერთი ბრძოლისუნარიანი და ავტორიტეტული ძალა, ორივე მხარის ყურადღების ქვეშ მოექცნენ. კავკასიელი მებრძოლების მიერ საკუთარი პოზიციების განსაზღვრაზე დიდი ალბათობით გავლენა იქონია 2013 წლის სექტემბერში ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ „კავკასიის საემიროს“ ლიდერის დოკუ უმაროვის დაღუპვის ფაქტმა.[5] კეროდ, სირიაში მოქმედი კავკასიელი საველე მეთაურები ფორმალურად გათავისუფლდნენ დ.უმაროვის წინაშე დადებული პირადი ერთგულების ფიცის ვალდებულებისგან და სავარაუდოდ თავს უფლება მისცეს, თავად განესაზღვრათ საკუთარი მომავალი და როლი გლობალურ ჯიჰადისტურ მოძრაობაში.

კავკასიელი მებრძოლების დიდმა ნაწილმა აბუ უმარ ალ-შიშანის მეთაურობით მხარი დაუჭირა ISIS-ს. მეორე ნაწილმა დამოუკიდებლად განაგრძო არსებობა და თავად წამოიწყო საკუთარი ურთიერთობების ფორმირება სირიის ოპოზიციურ და ჯიჰადისტურ ორგანიზაციებთან, მათ შორის „ჯაბჰატ ალ-ნუსრასთან“. კავკასიელ მებრძოლთა დარჩენილმა ნაწილმა შეინარჩუნა „კავკასიის საემიროს“ მიმართ ერთგულება და 2014 წელს განაახლეს ფიცი ორგანიზაციის ახალი ლიდერის წინაშე.

კავკასიური ექსტრემისტული ჯგუფები სირიაში 2014-2017 წლებში

ISIS-ის რიგებში კავკასიელები იქცნენ კავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობის ყველაზე ცნობად სახედ, რომლებმაც პროპაგანდისტული ტექნოლოგიების გამოყენებით საინფორმაციო სივრცეში თითქმის სრულად გადაფარეს სხვა კავკასიური ჯიჰადისტური გაერთიანებების აქტივობები. შედეგად, ბოლო დრომდე კავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობა საერთაშორისო საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ ასოცირდება ISIS-ის კავკასიურ ფრთასთან. რეალურად კი სირია-ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი კავკასიური ჯგუფები შესაძლოა ორ, ან ზოგიერთი შეფასებებით სამ ჯგუფად დაიყოს.

პირველ და ყველაზე რეზონანსულ ჯგუფს ISIS-ის კავკასიელი მებრძოლები წარმოადგენენ. ხსენებულმა ჯგუფმა 2014 წლიდან მოყოლებული საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია - 2014 წლის მაისი-ივნისის პერიოდშიმათ გადამწყვეტი როლი შეასრულა ქ.მოსულის აღების დასკვნით ეტაპზე.

---

[4] ხსენებული დაპირისპირება პასუხისმგებლობის ზონებისა და სამოქმედო არეალების გადანაწილებას ეხებოდა. კერძოდ „ჯაბჰატ ალ-ნუსრა“ მოითხოვდა ISIS-გან შეეწყვიტა მოქმედებები სირიის ტერიტორიაზე და შემოფარგლულიყო ერაყში ოპერაციების წარმოებით, რომელიც მის პირველად სამოქმედო ზონას წარმოადგენდა. თავის მხრივ ISIS-ი, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო „ჯაბჰატ ალ-ნუსრას“ ფორმირებასა და მის დაკომპლექტებაში, ამ უკანასკნელს აღიქვამდა როგორც მის დანაყოფს და ცდილობდა სირიის ტერიტორიის საკუთარი პასუხისმგებლობის ზონაში მოქცევას. აღნიშნულ დავაში „ალ-ქაიდას“ უმაღლესმა ხელმძღვანელობამ აიმან ალ-ზავაჰირის სახით მხარი დაუჭირა „ჯაბჰატ ალ-ნუსრას“, გამოაცხადა იგი „ალ-ქაიდას“ ოფიციალურ ფრთად სირიაში და მოსთხოვა ISIS-ს დაეტოვებინა სირიის ტერიტორია. აღნიშნულ მოთხოვნას ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა, რამაც 2014 წლის იანვარში განაპირობა ISIS-ის გამოყოფა „ალ-ქაიდას“ რიგებიდან.

[5] დ.უმაროვის დაღუპვის ფაქტის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 2014 წლის მარტში გასაჯაროვდა. შუალედურ პერიოდში ორგანიზაციის მაღალი რანგის ლიდერები სხვადასხვა რეგიონებიდან განიხილავდნენ „საამიროს“ ახალი ლიდერის კანდიდატურებს და საბოლოოდ წარმატებას მიაღწიეს ორგანიზაციის დაღესტნურმა ფრთამ. „კავკასიის საემიროს“ ახალ ამირად არჩეულ იქნა დაღესტნელი ალიასხაბ კებეკოვი, რითაც ჩრდილოკავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობის ცენტრმა საბოლოოდ გადაინაცვლა ჩეჩნეთიდან დაღესტნის ტერიტორიაზე.

შედეგად, როდესაც ISIS-ის ხელმძღვანელობამ „სახალიფოს“ ფორმირების შესახებ განაცხადა, აბუ უმარ ალ-შიშანმა „სახალიფოს ომის მინისტრის“ პოზიცია დაიკავა. აღნიშნულის შემდეგ კავკასიელი მებრძოლები ერთგვარ ელიტარულ დანაყოფებად მიიჩნეოდნენ ორგანიზაციის რიგებში, რომლებიც ჩართულები იყვნენ სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე მიმდინარე თითქმის ყველა მნიშვნელოვან საბრძოლო მოქმედებებში (მოსულში, ბაიჯიში, ქობანიში, დეირ ეზ-ზორში). 2014 წლის ბოლოსათვის აღნიშნულმა ფრთამ მოახერხა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე დარჩენილი წამყვანი საველე მეთაურების დიდ ნაწილზე გავლენის მოხდენა, რომლებიც გამოეყვნენ „კავკასიის საემიროს“ და ერთგულების ფიცი დადეს ISIS-ის ხელმძღვანელობის წინაშე. 2015 წლის შუა პერიოდისათვის ISIS-ის ერთგულება დაადასტურა ადგილობრივი ლიდერების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რამაც 2015 წლის ივნისში ორგანიზაციას მისცა „ისლამური სახელმწიფოს კავკასიის ვილაიათის“ ფორმირების საშუალება. ჩრდილოეთ კავკასიაში ჯიჰადისტური იატაკქვეშეთის მთელი რესურსები ISIS-ის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო „კავკასიის საემიროს“ მმართველი სტრუქტურა აღმოჩნდა ემიგრირებული ახლო აღმოსავლეთში.

ISIS-ის კავკასიელმა მებრძოლებმა ორგანიზაციის მმართველ რგოლში წამყვანი პოზიციები 2016 წლის ივნისში დაკარგეს, როდესაც დადასტურდა აბუ უმარ ალ-შიშანის დაღუპვის ფაქტი. აღნიშნულის მიუხედავად, მათ შეინარჩუნეს მაღალი ბრძოლისუნარიანობის მქონე ჯგუფის ავტორიტეტი. 2017 წელს კავკასიელები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქ.მოსულისა და ქ.რაქას თავდაცვის ოპერაციებში, რა დროსაც დიდი დანაკარგები განიცადეს. დღეისათვის ხსენებული ჯგუფი პასიურ რეჟიმშია გადასული და მათი აქტივობების შესახებ მონაცემები შეზღუდულად ვრცელდება.

სირიაში მოქმედ მეორე მნიშვნელოვან კავკასიურ ჯგუფს „კავკასიის საემიროს“ მხარდამჭერთა ფრთა წარმოადგენს. სირიის კონფლიქტის საწყისი ეტაპიდან მოყოლებული ჯგუფი დაკავშირებული იყო „ჯაიშ ალ მუჰაჯირინ ვალ-ანსარის“ სახელთან. 2013 წლამდე „ჯაიშის“ შემადგენლობაში მოქმედებდა ე.წ. „კავკასიის საემიროს სახლი“ (ან „სირიაში კავკასიის საემირო“), რომელიც ფორმალურ დამოუკიდებლობას ფლობდა, თუმცა საბრძოლო მოქმედებებში „ჯაიშის“ სხვა ქვედანაყოფებთან ერთად იყო ჩართული.

2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, მას შემდეგ, რაც აბუ უმარ ალ-შიშანი შეუერთდა ISIS-ის რიგებს, „ჯაიშის“ ლიდერად სალაჰუდინ შიშანი იქნა არჩეული. ამგვარად დაჯგუფების მმართველობა „სირიაში კავკასიის საემიროს“ ოფიციალური წარმომადგენლების ხელმძღვანელობის ქვეშ გადავიდა. დაჯგუფება სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტითა და მხარდაჭერით ალეპოს პროვინციაში მოქმედი სხვა ჯიჰადისტური ორგანიზაციების მხრიდან. აღნიშნული ავტორიტეტი საშუალებას აძლევდა ჯგუფის ხელმძღვანელობას სულ უფრო მეტი მებრძოლი მიეზიდათ საკუთარ რიგებში. შედეგად, „ჯაიშის“ პირად შემადგენლობაში კავკასიელ მებრძოლთა პროპორციული შეფარდება სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით შემცირდა, რამაც დაჯგუფებაში „საემიროს“ დომინირების საკითხი საეჭვო გახადა.

2014 წლის მარტში „კავკასიის საემიროს“ ახალი ლიდერის არჩევის შემდეგ სალაჰუდინმა განაახლა მის მიმართ ერთგულების ფიცი, თუმცა „ჯაიშის“ ქვედანაყოფების დიდი ნაწილი, რომლებიც არ წარმოადგენდნენ ეთნიკურ ჩრდილოკავკასიელებს, სავარაუდოდ არ ექვემდებარებოდა „საემიროს“ ხელმძღვანელობას.

2015 წლის ზაფხულში ჩრდილოეთ კავკასიაში „საემიროს“ ბოლო ლიდერის მაგომედ სულეიმანოვის ლიკვიდაციის შემდეგ ორგანიზაციის რიგებში ახალი ამირა აღარ არჩეულა. ამასთან მის ახლო აღმოსავლურ ფრთაში განვითარებულმა შიდა უთანხმოებებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ორგანიზაციის ერთიანობის და მისი ქმედითუნარიანობის საკითხი. ამავე პერიოდში განხეთქილება დაფიქსირდა „ჯაიშის“ რიგებშიც, სადაც სალაჰუდინ შიშანის და მის წრეს საუდელები, ცენტრალური აზიელები და სავარაუდოდ დაღესტნელების ფრთაც დაუპირისპირდა. 2015 წლის ზაფხულში სალაჰუდინი კავკასიელ მებრძოლთა უმრავლესობასთან ერთად

იძულებული გახდა დაეტოვებინა დაჯგუფების რიგები, ხოლოჯგუფის ახალ ლიდერებად დასახელდნენ ეთნიკური ტაჯიკი აბუ იბრაჰიმ ალ-ხორასანი და შემდგომ საუდელი შეიხი მუ'თასიმ ბილაჰ ალ-მადანი. იმავე წლის სექტემბერში „ჯაიშის" ახალმა ხელმძღვანელობამ ერთგულების ფიცი დადო „ალ-ქაიდას" სირიული ფრთის „ჯაბჰატ ალ-ნუსრას" წინაშე და ოფიციალურად შეუერთდა მას. ხოლო ოქტომბერში დაჯგუფება გაერთიანდა „სეიფულას ჯამაათთან" და ახალ ფორმირებას „ლივა ალ-მუჰაჯირინ ვალ-ანსარი ეწოდა".

სალაჰუდინ შიშანმა, „ჯაიშიდან" გამოყოფის შემდეგ ჩამოაყალიბა ახალი შედარებით მცირე დამოუკიდებელი შეიარაღებული ფორმირება „სირიაში კავკასიის საემირო", თუმცა მოგვიანებით, 2016 წლის იანვრიდან მოყოლებული მისი დაჯგუფება მოიხსენიება როგორც „ჯაიშ ალ-უსრა". ამგვარად „სირიაში კავკასიის საემიროსთან" სალაჰუდინის შემდგომი კავშირების შესახებ სრულყოფილი ცნობები არ არსებობს. თუმცა 2016-2017 წლებში იგი თანამშრომლობდა სირიის ჩრდილო-დასავლეთით მოქმედ დამოუკიდებელ კავკასიურ ჯგუფებთან, რაც შესაძლოა მეტყველებდეს მის ჩამოშორებას „კავკასიის საემიროსაგან". 2017 წლის დეკემბერში სალაჰუდინ შიშანი დაიღუპა ჰამას პროვინციაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს.

რაც შეეხება „სირიაში კავკასიის საემიროს", დღეისათვის იგი წარმოდგენილია „ლივა ალ-მუჰაჯირინ ვალ-ანსარის" რიგებში საკმაოდ მცირერიცხოვანი ჯგუფის სახით სალაჰუდინ ალ-დაღესტანის ხელმძღვანელობით. ჯგუფი კვლავინდებურად ფორმალურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს, თუმცა მოქმედებს „ლივას" უშუალო დაქვემდებარებაში.

მესამე მნიშვნელოვანი კავკასიური ფრთა სირიის ტერიტორიაზე წარმოადგენილია ორი ძირითადი ფორმირებით, რომლებიც უმეტესად დაკომპლექტებულები არიან ვაინახებით და ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას სხვა მსხვილი ფორმირებებისაგან. თუმცა, აქტიურად ერთვებიან ბაშარ ასადის მხარდამჭერი ძალების საწინააღმდეგო კოალიციებში. აღნიშნულ ფრთას ზოგიერთ შემთხვევაში ჩეჩნურ-იჩქერისტული იდეების მხარდამჭერ ჯგუფებთანაც აიგივებენ.

ხსენებულ ჯგუფებს წარმოადგენენ „ჯუნუდ აშ-შამი" მუსლიმ აბუ ვალიდის ხელმძღვანელობით და „აჯნად ალ-კავკაზი" აბდულჰაკიმ შიშანის მეთაურობით. ხსენებულ ფრთას ასევე შეიძლება მიეკუთვნონ ისეთი შედარებით მცირე კავკასიური ფორმირებები, როგორებიცაა „სეიფულ შამი" აბუბაქრ ალ-შიშანის[6] ხელმძღვანელობით და „ქათიბა იბად ალ-რაჰმანი" (ყოფილი „თარხანის ჯამაათი") უმარ შიშანის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული ფრთა სირიის ტერიტორიაზე საკუთარ ოფიციალურ ამოცანად ასახელებს ბაშარ ასადის წინააღმდეგ ბრძოლას და სირიაში შარიათზე დაფუძნებული მმართველობის ჩამოყალიბებაში ხელშეწყობას. ამასთან უარს ამბობს სხვა ოპოზიციურ ან ჯიჰადისტურ ორგანიზაციებთან დაპირისპირებაზე. შედეგად, ხსენებული ჯგუფები არ ერევიან ზემოხსენებულ ორგანიზაციებს შორის არებულ დაპირისპირებაში და მათთან ერთად კოალიციის საფუძველზე ჩართულები არიან მხოლოდ სირიის სახელისუფლებო ძალების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში.

2017 წლის ზაფხულში ხსენებული ორი დაჯგუფების საველე მეთაურმა სალაჰუდინ შიშანისთან ერთად გაავრცელეს ერთობლივი ვიდეო მიმართვა, სადაც საუბრობდნენ საკუთარ ნეიტრალიტეტზე და შიდა უთანხმოებებში ჩაურევლობაზე. ამავე ვიდეო მიმართვაში განაცხადეს, რომ მათ შორის არსებობს საკონსულტაციო საბჭო (შურა), სადაც მხარეები ათანხმებენ სამოქმედო გეგმებს და საკუთარ პოზიციებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში.

ნიშანდობლივია, რომ ხსენებული სამივე საველე მეთაური ეთნიკურ ვაინახს წარმოადგეს და მათ დაჯგუფებებიც უმეტესად ჩეჩენი მებრძოლებით არიან დაკომპლექტებულები. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ფაქტორი მიუთითებდეს ხსენებული ფრთის მიერ ჩეჩნური ნარატივის გაძლიერებაზე, რაც საერთო ჯამში წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი კავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობის პოზიციასთან, რომელიც ეწინააღმდეგება ნაციონალურ გამოვლინებებს

[6] „ჯუნუდ აშ-შამის" ყოფილი სამხედრო ამირა.

და ქადაგებს შარიათზე დაფუძნებული ერთიანი კავკასიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფორმირების იდეას.

დასკვნა

კავკასიური ექსტრემისტული ჯგუფები სირიის კონფლიქტში საწყის ეტაპზე ერთიანი ფრონტის სახით ჩაებნენ და მათ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ძალებისა და რესურსების მოკრება, საერთაშორისო ჯიჰადისტური ორგანიზაციებისა და დონორებისაგან მხარდაჭერის მოპოვება და მოკავშირეების შეძენა/განმტკიცება წარმოადგენდა, მომავალში ჩრდილოეთ კავკასიაში ჯიჰადისტური მოძრაობის განსაახლებლად/გასააქტურებლად და იქ მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების ინსტრუმენტების შესაძენად.

აღნიშნულის მიუხედავად, სირიის კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესში მასში ჩართულმა კავკასიურმა ფრთამ ვერ მოახერხა ერთიანობის შენარჩუნება და აღმოჩნდნენ დაქსაქსულები ერთმანეთთან დაპირისპირებული საერთაშორისო ჯიჰადისტური ორგანიზაციების სხვადასხვა ფრონტში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ჯგუფებს ამ დრომდე გააჩნით მნიშვნელოვანი საბრძოლო პოტენციალი და მათი ნაწილი ხშირად გამოიყენება გლობალური მასშტაბით ტერორისტული აქტების ორგანიზებისათვის. თუმცა, საერთაშორისო ექსტრემისტულ ორგანიზაციებს, ასევე უშუალოდ კავკასიურ ჯგუფებს შორის თანხმობის არ არსებობის პირობებში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ახლო და საშუალო ვადიან პერსპექტივაში კავკასიური ჯიჰადისტური ფრონტის გაერთიანების საკითხი.

ასეთი ერთიანობის არარსებობიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა ხსენებულმა ჯგუფებმა მოახერხონ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების ინსტრუმენტების მოპოვება, თუმცა ცალკეული ჯგუფები მომავალშიც შეეცდებიან გავლენა იქონიონ იქ არსებულ უსაფრთხოების გარემოზე.

წყაროები:

წყაროებად გამოყენებული იყო ფორუმებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ცნობები, შეფასებები და მონაცემები

1. http://thesoufancenter.org/wp-content/uploads/2017/11/Beyond-the-Caliphate-Foreign-Fighters-and-the-Threat-of-Returnees-TSC-Report-October-2017-v3.pdf
2. http://vestikavkaza.ru/news/V-Sirii-i-Irake-na-storone-boevikov-voevali-3-tys-zhiteley-SKFO.html?fbclid=IwAR3l24gylF6EIPuZyRH49ZeiERaaHK53xcWlQMrmJJ0JjUhe1GwQiAhMzv8
3. https://www.canada.ca/en/security-intelligence-service/corporate/publications/the-foreign-fighters-phenomenon-and-related-security-trends-in-the-middle-east.html#toc6
4. https://eeradicalization.com/radicalization-in-chechnya-key-factors-and-the-outlook/?fbclid=IwAR2c2WAxds4tcsqRs2fJDvuvqCIcGGOJ5gq0Kl_00qdx40HWiZudWQ-J0qo
5. http://www.atlanticcouncil.org/blogs/syriasource/chechen-and-north-caucasian-militants-in-syria
6. https://www.foreignaffairs.com/articles/syria/2017-09-07/chechens-syria?fbclid=IwAR220erjyuOWFMoJIwjdjQrJbcAOP_nW-oNpZu5ZMdps4GXVM2nYqi5l7CM
7. http://www.chechensinsyria.com/?cat=289
8. http://www.chechensinsyria.com/?p=7564
9. http://www.chechensinsyria.com/?tag=ajnad-al-kavkaz

10. http://www.atlanticcouncil.org/blogs/syriasource/the-current-state-and-future-of-caucasian-groups-in-syria
11. https://www.longwarjournal.org/archives/2015/07/chechen-commander-in-syria-pledges-to-islamic-caucasus-emirates.php
12. https://www.trackingterrorism.org/group/ajnad-al-kavkaz
13. http://www.checheninfo.com/
14. https://www.kavkazcenter.com/russ/
15. http://islamdin.com/

სიმონ გურეშიძე

ექსტრემიზმი სირიაში - ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია?

2012 წლის დასაწყისში, ჯონათან ლითლი თავის წიგნში „სირიული ბლოკნოტი - ჰომსის აჯანყება შიგნიდან“, აღნიშნავდა, რომ მასობრივი სახალხო გამოსვლების ერთი წლის თავზე, ჰომსის მაცხოვრებლები ისევ დემონსტრაციებს მართავდნენ ხელისუფლების გადადგომის, 1963 წლიდან შემოღებული საგანგებო კანონის გაუქმების, მედიის, სასამართლო და პოლიციის სისტემის რეფორმისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით. იმისათვის, რომ კარგად გავაანალიზოთ, თუ რამ გამოიწვია სირიაში ექსტრემისტული დაჯგუფებების გააქტიურება და ვის ინტერესებში შედიოდა მსგავსი სცენარით მოვლენათა განვითარება, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ დეტალებზე: ლითლს აღწერილი აქვს ერთი ყურადსაღები ეპიზოდი, კერძოდ, 2012 წლის 26 იანვარს ჰომსის შემოგარენში უცნობმა პირებმა ამოწყვიტეს სუნიტური ოჯახი. მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობისა, რომ ამ ფაქტს არ გამოწვია კონფესიათაშორისი დაპირისპირება, ავტორის მტკიცებით, ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულმა ამ პროვოკაციამ დროთა განამვლობაში მაინც გამოიღო შედეგი და სირიის თავისუფალი არმიის ზოგიერთმა უკონტროლო ჯგუფმაც დაიწყო ალავიტურ ოჯახებზე იერიშების მიტანა. აღნიშნული პროვოკაცია ხელისუფლებას ერთის მხრივ საშუალებას აძლევდა გაეწყვიტა ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ალიანსი სუნიტურ ბურჟუაზიასთან, რომელთაც წამყვანი პოსტები ეკავათ ეკონომიკურ, ბიუროკრატიულ, საჯარისო და სპეცსამსახურების აპარატებში და მათ მმართველი რეჟიმი ვეღარ ენდობოდა; ასევე მოეხდინა მასების მობილიზება თავის სასარგებლოდ და საკუთარი ძალების შევსება არა მარტო ალავიტბით, ასევე ისმაილიტებით, ქრისტიანებით, დრუზებითა და თუ კი აღმოჩნდებოდნენ, რეჟიმის მომხრე ქურთებით დაკომლექტებული ახალი რეკრუტებით. ვინაიდან „არაბული გაზაფხულის” დასაწყისში ყველა ალავიტი არ ემხრობოდა ასადის რეჟიმს და ქრისტიანების მნიშვნელოვანი ნაწილიც ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას ცდილობდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც სიტუაცია უკონტროლო გახდა, ალავიტები და ქრისტიანები ბაშარ ალ ასადის რეჟიმზე დამოკიდებულები გახდნენ, რადგან გადარჩენის სხვა არავითარი შანსი აღარ რჩებოდათ.[1]

არსებული ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში რადიკალ მუსლიმთა სათავეში მოსვლის შიშმა ქვეყნის ქრისტიანული მოსახლეობა რეჟიმისადმი კიდევ უფრო ლოიალური გახადა.[2]

სავარაუდოა რომ ამ ფაქტორმა განაპირობა პრეზიდენტ ასადის მიერ 2011 წელს სირიის თავდაცვის მინისტრად მართლმადიდებელი ქრისტიანის დაუდ რაჯიჰას დანიშვნა თავდაცვის მინისტრის პოსტზე, რომელიც 2012 წელს მის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად გარდაიცვალა.[3]

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქრისტიანებიც იმყოფებიან ოპოზიციაში, მაგალითად, სირიის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელი ჯორჯ საბრა - 2012 წლის 9 ნოემბრიდან სირიის ეროვნული საბჭოს თავჯდომარე იყო, 2013 წლის აპრილ-ივლისში იგი ასრულებდა სირიის რევოლუციური და ოპოზიციური ძალების ნაციონალური კოალიციის პრეზიდენტის მოვალეობას.

---

[1] Syrian Notebooks Inside the Homs Uprising January 16–February 2, 2012, page: 18. Jonathan Littell, translated by Charlotte Mandell. British Library Cataloguing in Publication Data. A catalogue record for this book is available from the British Library.

[2] http://nodisinfo.com/syria-christians-targeted-supporting-assad/

[3] http://www.asianews.it/news-en/New-Syrian-defence-minister-is-Christian:-a-difficult-role-22331.html

ჯორჯ საბრა სირიაში არსებული კომუნისტური მოძრაობის აქტიური წევრიც იყო. პარალელურად, აღნიშნული კოალიციის პრეზიდენტად საბრას დანიშვნა მიანიშნებდა იმაზე, რომ "სირიის ოპოზიციური ძალები არ იყვნენ კონფესიური ნიშნით დაყოფილები და "ძმები მუსლიმების" ფაქტორიც დაძლევადი საკითხი იყო. ამის შემდეგ "უმცირესობების კარტის გათამაშება" ვეღარ მოხდება-წერდა ბიბისი 2012 წლის ნოემბერში ლონდონში გამომავალ ელექტრონულ გაზეთ „ალ-შარკ ალ-ავსატზე" დაყრდნობით".[4]

ზემოთ აღნიშნული პროვოკაცია და კონფესიათაშორისი დაპირისპირება, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი ფაქტორის გამო შეიძლებოდა ყოფილიყო მომგებიანი სირიის ალავიტური რეჟიმისთვის. პატრიკ კოკბერნი თავის წიგნში "ჯიჰადისტთა დაბრუნება, "ისლამური სახელმწიფო" - ახალი სუნიტური აჯანყება", აღწერს "ისლამური სახელმწიფოს" მხარეს გადასული აჰვად ალ-რასულის ბრიგადის ლიდერის, რომელიც თავის დროზე იყო სირიის თავისუფალი არმიის ერთ-ერთი მეთაური, სადან ალ-ჯამალის აღიარებით ინტერვიუს, რომელშიც იგი საუბრობს, რომ მისი აჰვად ალ-რასულის ჯგუფი დასაწყისში 'კატარის მიერ ფინანსდებოდა, ოდნავ მოგვიანებით კი საუდის არაბეთიდან. ალ-ჯამალისვე განცხადებით, სირიის თავისუფალი არმიის სამხედრო საბჭოს შეკრებებს ყოველთვის ესწრებოდნენ საუდის არაბეთის, გაერთიანებული არაბული საამიროების, იორდანიის, კატარის, აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის დაზვერვის სამსახურების წარმომადგენლები.[5] შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალების ტერორისტებად წარმოჩენა და ტერორიზმთან ბრძოლა ასადის რეჟიმისთვის მომგებიანი იქნებოდა საერთაშორისო საზოგადოების თვალში, რაც თავის მხრივ, ხელისუფლებას ძალის გამოყენებისთვის გაუხსნიდა ხელს. სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით ისევ უნდა დავუბრუნდეთ ლითლს და ჩვენს აზრით ფრიად საყურადღებო მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ამყარებს პირველ თავში მოყვანილ ჩვენს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ეგვიპტის სამხედრო საბჭოსთვის არჩევნებში ისლამისტების გამარჯვება ხელსაყრელი მანევრი იყო, შემდგომში მათი ხელისუფლებისგან ადვილად ჩამოშორების მიზნით.

ჯერ კიდევ 2011 წლის გაზაფხულზე, მასობრივი საპროტესტო აქციების დაწყებისთანავე, სირიის სპეცსამსახურებმა ციხეებიდან გაათავისუფლეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯიჰადისტური კონტინგენტი, რომლებმაც თავის მხრივ, უკვე 2012 წელს ჩამოაყალიბეს რადიკალური ისლამისტური შეიარაღებული დაჯგუფებები და დაუპირისპირდნენ თავისუფალ არმიას. ხოლო 2013 წლიდან, მას შემდეგ რაც "ისლამურმა სახელმწიფომ" დაიწყო სირიაში ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე დამკვიდრება, სამთავრობო ძალებსა და „ის"-ს შორის არცერთხელ არ მომხდარა დაპირისპირება. მეტიც, აღნიშნული ორგანიზაციის გამოჩენამდე, ის ტერიტორიები რომელსაც ხელისუფლების შეიარაღებული ძალები ყოველდღიურ რეჟიმში ბომბავდნენ, ერთ-ერთ ყველაზე დაცულ ადგილად იქცა. 2013 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც სირიის თავისუფალი არმია ალიანსში შევიდა კიდევ ერთ აჯანყებულ ისლამისტურ დაჯგუფებასთან - ჯაბჰათ ალ-ნუსრასთან,[6] რომელიც თავის მხრივ ალ-კაიდას ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენდა

[4] http://www.bbc.com/news/world-middle-east-20312255
https://www.aljazeera.com/news/middleeast/2013/04/2013422174656815242.html

[5] Patrick-Cockburn-The-Jihadis-Return_-ISIS-and-the-New-Sunni-Uprising-OR-Books-2014, 46-47.

[6] შენიშვნა: ჯონათან ლითლი აღნიშნულ ფრაზას განმარტების გარეშე ტოვებს რაც ერთის შეხედვით მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს, სწორედ ამიტომ მასალების დამატებითმა კვლევამ გამოაჩინა, თუ რას გულისხმობდა იგი სირიის თავისუფალი არმიისა დაჯბჰათ ალ-ნუსრას ალიანსის შესახებ. სირიის თავისუფალი არმია შეიქმნა 2011 წელს თურქეთში არსებულ ბაზაზე, შეიარაღებული ძალებიდან გაქცეული ყოფილი სამხედროებით, პოლკოვნიკ რიად ალ-ასადის ხელმძღვანელობით. აღნიშნული დაჯგუფება ვერ ახორციელებდა სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების კონტროლს. ამის გამო, ოპოზიციური ძალებს დასავლელი და სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების კონსულტანტებმა ურჩიეს უმაღლესი

და შეუტიეს „ისლამურ სახელმწიფოს"-რითაც ფაქტობრივად გაჩაღდა "ომი ომში", სამთავრობო ძალების ავიაცია და არტილერია მხოლოდ "ის"-ს მოწინააღმდეგეთა პოზიციებს ბომბავდა. ავტორებს თავიანთი მსჯელობის გასამყარებლად მოყვანილი აქვთ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორან ფაბიუსის 2014 წლის გამოსვლა, რომელშიც მან აღნიშნა, რომ "გამიზნული თანამზრახველობა" შეიმჩნეოდა დამასკოსა და "ისლამურ სახელმწიფოს" შორის.[7] შემდგომში ლითლი ავითარებს მსჯელობას იმის შესახებ, რომ 2003 წელს ერაყში აშშ-ის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროიდან მოყოლებული, სირიის სპეცსამსახურები აქტიურ რეჟიმში ეწეოდნენ ერაყში კოალიციური ძალების წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჯიჰადისტების ინფილტრაციას, შესაბამისად კარგად იცნობდნენ თავიანთ „კლიენტებს". სირიული მხარის გათვლა კი მდგომარეობდა შემდეგში: მათთვის გაცილებით მომგებიანი იყო რეგიონში შარიათის კანონების მიხედვით მოქმედი "ხალიფატის" შექმნა ვიდრე დემოკრატიის დამყარება ახლო აღმოსავლეთში. ასევე მათ ერჩივნათ სოციალური დასაყრდენის არმქონე რადიკალური დაჯგუფების ხელით მოეშორებინათ მთავარი ზომიერი მოწინააღმდეგე და შემდეგ გაენადგურებინათ მათ მიერ კონტროლირებული ექსტრემისტები. ამ შემთხვევაში ავტორებს მოჰყავთ ისრაელის მაგალითი, როდესაც ამ ქვეყნის სპეცსამსახურები პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ თავის დროზე ეხმარებოდნენ ჰამასს პოზიციების გამყარებაში; საბჭოთა-კავშირ ავღანეთის ომი, რომლის დროსაც აშშ რადიკალ ისლამისტებს უგზავნიდა ინსტრუქტორებს და შეიარაღებას. უფრო ვრცლად კი არის გაშლილი ჩეჩნეთის მაგალითი, სადაც პირველი ომის მარცხის შემდეგ, რუსეთის სპეცსამსახურებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მეორე ომისთვის ნიადაგის მომზადება. კონკრეტულად, სისტემატურად მიმდინარეობდა უცხოელი ჟურნალისტების და ჰუმანიტარული მისიების წევრთა გატაცებები. ასეთმა ქმედებებმა ჯერ საინფორმაციო ბლოკადაში მოაქცია ჩეჩნეთი, რადგან იქ აღარ ჩადიოდნენ ჟურნალისტები. შემდეგ მარგინალიზებული ისლამისტური დაჯგუფებები მუდმივ ზეწოლას ახორციალებდნენ პრეზიდენტ მასხადოვზე, რამაც ის აიძულა მიეღო რადიკალური ზომები და ქვეყანაში გამოაცხადა "შარიათის მმართველობა", ყოველივე ზემოთ თქმულს ემატებოდა რუსი ტყვეების თავის მოკვეთის ვიდეოების გავრცელება, რამაც 1999 წელს ლეგიტიმაცია შესძინა „ანტიტერორისტული" ოპერაციის ჩატარებას ჩეჩნეთში.

ბოლოს კი, აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ ანალოგიური სცენარით განვითარდა მოვლენები სირიაში. ბაშარ ალ-ასადის რუსი მრჩეველების ჩარევით, მოხდა რადიკალური ისლამისტური ძალების მიერ სახალხო აჯანყების დისკრედიტაცია, ექსტრემისტული დაჯგუფებები, იტაცებდნენ და კლავდნენ უცხოელ დამკვირვებლებს, ყველაფერი ეს კი საერთო ჯამში ძალიან ჰგავდა ჩეჩნურ მოდელს.[8]

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზემოთ აღნიშნული ავტორის მიერ გავლებული პარალელები ჩეჩნეთსა და სირიაში განვითარებულ პროცესებს შორის მხოლოდ მის მიერ

სამხედრო საბჭოს ჩამოყალიბება გენერალ იდრისის მეთაურობით. საბჭოს ოცდაათი წევრიდან თითოეულს ემორჩილებოდა ექვსი ფრონტი - ჩრდილოეთში (ალეპოსა და იდლიბში), აღმოსავლეთში (რა'ყა, დეირ ეზ-ზური, ჰასაქა), დასავლეთში (ჰამა, ლატაკია, ტარტუზი), ცენტრალურში (ჰომსი, რასტანი), სამხრეთში (დამასკო, დარაა, სუვაიდა). აღნიშნული საბჭოს ზოგიერთი მეთაური თანამშრომლობდა ჯიჰადისტურ და ალ-კაიდასთან კავშირში მყოფ დაჯგუფებებთან. სწორედ ამ სალაფიტურ დაჯგუფებებთან ალიანსში შევიდა ჯაბჰათ ალ-ნუსრა 2013 წლის დეკემბერში "ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ. უკანასკნელ ორ დაჯგუფებას შორის განხეთქილება გამოიწვია ალ-კაიდას სირიაში მყოფი ფრთის მეთაურების მხრიდან "ის"-ს ლიდერის ალ-ბაღდადის მიმართ ერთგულების ფიცზე უარის თქმამ, ვინაიდან ალ-კაიდას შურას საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ასეთი ნაბიჯი დაჩრდილავდა მათ დამსახურებას სირიის რევოლუციაში. იხ: http://www.bbc.com/news/world-middle-east-24403003; https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/07/iwr_20160728_profiling_nusra.pdf

[7] Syrian Notebooks Inside the Homs Uprising January 16–February 2, 2012, page: 13-22.

[8] იქვე.

გამოთქმული მტკიცებულება ან ვარაუდი არ არის და ეს პარალელები მყარდება სხვადასხვა წყაროებში გამოქვეყნებულ მასალებით.

„ისლამურ სახელმწიფოში“ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ რეკრუტების ჩანერგვის შესახებ საინტერესო ინფორმაციის მოძიება შეიძლება სააგენტო “როიტერის” ვებ გვერდზე, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას სირიაში მოქმედ ექსტრემისტულ დაჯგუფებებში რუსული სპეცსამსახურების მიერ მებრძოლების ჩანერგვის კარგად შემუშავებული სქემის შესახებ. ზემოთ ხსენებულმა სააგენტომ 2016 წლის 13 მაისს გამოაქვეყნა სტატია სათაურით: “როგორ მისცა რუსეთმა შინ გამოზრდილ რადიკალს სირიაში საბრძოლველად წასვლის უფლება”.

“2012 წელს საადუ შარაპუდინოვი ძებნილად ითვლებოდა რუსეთში, იმალებოდა ჩრდილო კავკასიის ტყეებში, გაურბოდა სამხედრო პოლიციას და მოსკოვის წინააღმდეგ „საღვთო ომის” გეგმებს ადგენდა. იმავე 2012 წლის დეკემბერში შარაპუდინოვს რუსეთის დაზვერვის სამსახურის ოფიცრებმა მოულოდნელი წინადადება შესთავაზეს. თუ კი ის დატოვებდა რუსეთის ტერიტორიას, ხელისუფლება აღარ დააპტიმრებდა და ქვეყნიდან გასვლაშიც დაეხმარებოდნენ. “მე მიმალვაში ვიმყოფებოდი, ვიყავი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების წევრი და ასევე შეიარაღებული”- განაცხადა საადუმ ერთ-ერთ ინტერვიუში რუსეთის დატოვების შემდეგ. მისივე ხელისუფლებამ მას გადაჭრით წაუყენა პირობა: “ჩვენ გვინდა დატოვო ქვეყანა.” საბოლოოდ, იგი დათანხმდა შეთავაზებას. რამოდენიმე თვის შემდეგ მან მიიღო ახალი პასპორტი სხვა გვარით და თვითმფრინავის ბილეთი ერთი მიმართულებით სტამბოლამდე, შემდეგ იგი გადავიდა სირიაში და შეუერთდა ისლამისტურ დაჯგუფებას, რომელსაც მჭიდრო კავშირები გააჩნდა “ისლამურ სახელმწიფოსთან”. როიტერმა ასევე მოახდინა სხვა ხუთი რადიკალი რუსეთის მოქალაქის იდენტიფიკაცია, რომელთა ნათესავები და ადგილობრივი ხელისუფლებაც ადასტურებდნენ, რომ მათ ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირი, ზოგიერთ შემთხვევაში კი არაპირდაპირი დახმარებით დატოვეს ქვეყანა და აღმოჩნდნენ სირიაში.

ქვეყნის გარეთ გასული ისლამისტების ნათესავებისა და ყოფილი ოფიციალური პირებისგან მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, 2014 წლის ბოლომდე მოქმედებდა დამუშავებული სქემა რომლის მეშვეობითაც ხდებოდა რადიკალი ისლამისტებისთვის ხელშეწყობა “ისლამური სახელმწიფოს” რიგებში საბრძოლველად. ФСБ-ს დირექტორის ალექსანდრ ბორტნიკოვის განცხადებით, რომელიც მან 2015 წელს ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, იმ დროისთვის 2900 რუსეთის მოქალაქე იბრძოდა ახლო აღმოსავლეთში. სტატიაში მოყვანილი მასალა იმ გარემოებითაც არის გამაგრებული, რომ საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის უფროსი ანალიტიკოსის ეკატერინა სოკირიანსკაიას განცხადებით, რუსული ენა სირიაში მებრძოლ ჯიჰადისტებს შორის არაბულის და ინგლისურის შემდეგ მესამე ენად ითვლებოდა. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შემდეგ, რაც ამჯერად ძირითადად ფაქტების სხვადასხვა წყაროებში გადამოწმებითა და ერთმანეთთან შეჯერებაში გამოიხატება, აღმოჩნდა რომ მსგავსი სურათი არა მარტო სირიაში, არამედ ერაყშიც საკმაოდ თვალშისაცემი იყო თავის დროზე. კერძოდ, 2016 წლის დეკემბრის დასაწყისში მოსულის ნაწილის გათავისუფლების შემდეგ, ოპერაციის მსხვერპლთა იდენტიფიკაციისა და მასმედიაში გამოსული ინფორმაციების ანალიზის შემდეგ გაირკვა, რომ აღნიშნული ქალაქი როგორც ჩრდილო კავკასიიდან, ასევე ცენტრალური აზიიდან (ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი) გამოსულ რუსულენოვან ჯიჰადისტთა ეპიცენტრს წარმოადგენდა.[9]

პარალელურად, ელექტრონული გამოცემა Inosmi.ru-ს ვებ-გვერდზე, რომელიც სხვადასხვა ენებზე გამოცემულ სტატიებს აქვეყნებს რუსულ ენაზე, 2016 წლის მაისის დასაწყისში ყურადღება მიიქცია სტატიამ სათაურით “სირია და რუსი ტერორისტები”. ავტორი ტარიკ ალ-ჰამიდი დასაწყისში აღნიშნავს, რომ “მას შემდეგ, რაც 2015 წლიდან რუსეთი ანხორციელებს სამხედრო ჩარევა სირიაში, ჟურნალისტებმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს დაუსვეს

[9] https://www.alaraby.co.uk/english/indepth/2016/12/9/mosul-was-epicentre-of-russian-speaking-islamic-state-fighters

კითხვა: თუ როგორ უნდა განასხვავო ტერორისტი "ზომიერი" ოპოზიციონერისგან. შეკითხვა კი რუსული მხარის განცხადებამ განაპირობა იმის შესახებ, რომ სირიაში მებრძოლ ზოგიერთ ოპოზიციურ დაჯგუფებას არ თვლიდნენ "ზომიერებად". მინისტრის პასუხის თანახმად, "თუ გამოჩნდება, რომ ესა თუ ის დაჯგუფება მოქმედებს ტერორისტულად, იყენებს ტერორის მეთოდებს თავის ბრძოლაში, ამ შემთხვევაში ითვლება ტერორისტად".(...) შემდეგ მოყვანილია ზემოთ აღნიშნული „როიტერის" სტატიის თარგმანი რომელიც შემდგომი მსჯელობითა და კითხვებით სრულდება, კითხვა რომელიც ჩნდება ზემოთ თქმული შემდეგ: თუ კი რუსეთი არაფერ შუაშია და ეს მორიგი პროვოკაციაა მის წინააღმდეგ, მაშინ როგორ მოხდა, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა ვერ შეამჩნიეს თავიანთი ტერიტორიიდან 2900 რადიკალურად განწყობილი მოქალაქის გასვლა? რატომ არ მიუდგნენ მათ საკითხს ლავროვის "საზომით"? იქნებ სჯობს რუსეთმა შეწყვიტოს იმის მტკიცება, რომ რუსეთი სირიაში ებრძვის ტერორიზმს? რადგან ყველაფერი საპირისპიროზე მეტყველებს! ლიბანელი ტერორისტი მუსტაფა ბადრ ალ-დინი, რომელიც ცოტა ხნის წინ მოკლეს სირიაში(მას 1985 წელს სიკვდილით დასჯა მიესაჯა ქუვეითში), ციხიდან გაიქცა ლიბანში, ზოგიერთი ცნობების თანახმად კი, გარკვეული დროით აშშ-შიც იმყოფებოდა. იგი იყო ასადის რეჟიმისა და რუსული მხარის სამხედრო ოპერაციების მთავარი კოორდინატორი. "ჰიზბალლაჰში"კი მას ეკავა საზღვარგარეთ სპეციალური ოპერაციების განყოფილების მეთაურის პოსტი და ყველა თათბირზე იმყოფებოდა ბაშარ ალ-ასადის გვერდით. ხომ არ არის ეს ყველაფერი შეთქმულება სირიელების წინააღმდეგ ასადის, რუსეთის და ირანის მხრიდან? შეკითხვა, რა თქმა უნდა, როტორიკულია!"[10]

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთარი ტერიტორიიდან რადიკალი ისლამიტების მოშორება და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის ხელშეწყობა მხოლოდ რუსული სპეცსამსახურების მიერ დანერგილი პრაქტიკა არ იყო და მსგავს ტაქტიკას ახლო აღმოსავლეთში ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ თუნისის ყოფილი დიქტატორი ზინ ალ აბიდინ ბენ ალის რეჟიმიც აქტიურად მიმართავდა. „თუნისიდან ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნია ღაზაში, ჩეჩნეთში, ავღანეთსა და ერაყში "წმინდა მებრძოლების" გაგზავნის ხანგრძლივი გამოცდილება. ანალიტიკოსების განცხადებების თანახმად, ბენ ალის რეჟიმი ჩუმად ეხმარებოდა რადიკალებს ქვეყნის გარეთ გასვლაში, რათა მათ თავიანთი ძალადობრივი აქტები ქვეყნიდან შორს განეხორციელებინათ. "არაბული გაზაფხულის" შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა ზომიერმა ისლამისტურმა ხელისუფლებამ დაუშვა რელიგიური თავისუფლება, რომელსაც ყოფილი დიქტატორის რეჟიმი სასტიკად ახშობდა სეკულარიზმის გაძლიერების მიზნით. ახალმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა შესაძლო საფრთხეები და 2011 წლის აპრილში ციხიდან გაათავისუფლა წინა რეჟიმის მიერ დაპატიმრებული სალაფიტური დაჯგუფების "ანსარ ალ-შარიას" წევრები, მეტიც - მათ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლებაც კი მიეცათ. აღნიშნული თავისუფლების მინიჭების შემდეგ, ერთბაშად იფეთქა ისლამისტების მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი აქტების სერიამ. ასეთ აქტივობას კი ხელისუფლებამ რეპრესიებით უპასუხა, რამაც ირიბად შეუწყო ხელი ისლამისტების გადინებას სირიაში. "ბევრი ახალგაზრდისთვის სირიაში სიკვდილი უფრო მისაღებია, ვიდრე აქ დარჩენა, ციხეში ჩაჯდომა, წამება და შევიწროვების ატანა"-განაცხადა ისლამისტების წარმომადგენელმა, ადამიანის უფლებათა დამცველმა ადვოკატმა მარვან ჯიდდამ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საბოლოოდ სირიაში 15000 უცხოელი მებრძოლიდან რომელთა რიგებშიცსაუდის არაბეთისა და იორდანიის მოქალაქეებიც შედიოდნენ, 3000-კაციან კონტინგენტს თუნისელი რადიკალები შეადგენდნენ.[11]

---

[10] https://inosmi.ru/politic/20160518/236571361.html

[11] https://www.washingtonpost.com/world/national-security/tunisia-after-igniting-arab-spring-sends-the-most-fighters-to-islamic-state-in-syria/2014/10/28/b5db4faa-5971-11e4-8264-deed989ae9a2_story.html?utm_term=.0f4e0e604e15

ბუნებრივია ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ სირიაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებაში სხვა ქვეყნებიდან შესული მებრძოლები მხოლოდ ამათუიმ ქვეყნის სპეცსამსახურების პირდაპირი და ირიბი ხელშეწყობის შედეგი იყო. ცნობილია რომ "ისლამურ სახელმწიფოში" მოხალისეების ნებაყოფლობითი გადინება ხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. 2016 წლის 25 იანვრის მონაცემებით ბელგიიდან გავიდა 440 მებრძოლი, დანიიდან - 100-150, შვედეთიდან - 150-180, საფრანგეთიდან - 1200, ავსტრიიდან - 100-150, ნიდერლანდებიდან - 200-250, ფინეთიდან - 50-70, ნორვეგიიდან - 60, ბრიტანეთიდან - 500-600, ირლანდიიდან - 30, შვეიცარიიდან - 40, ესპანეთიდან - 50-100 და იტალიიდან - 80. გერმანიიდან 7%-ზე ოდნავ მეტი ერთ მილიონ მოქალაქეზე, კანადიდან - 100, აშშ-დან - 100, სერბეთიდან - 50-70, ბოსნიიდან - 330, უკრაინიდან - 50, ალბანეთიდან - 90,მაკედონიიდან - 12, კოსოვოდან - 100-150, თურქეთიდან - 600, მაროკოდან - 1500, ალჟირიდან - 200, ჩინეთიდან - 300, თუნისიდან - 1500-300, ისრაელ/პალესტინის ტერიტორიიდან - 120, ლიბანიდან - 900,იორდანიიდან- 1500, ბაჰრეინიდან - 12, ეგვიპტიდან - 360, ქუვეითიდან - 70, 'კატარიდან - 15, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან - 15, სუდანიდან - 100, იემენიდან - 110,სომალიდან - 70, ყაზახეთიდან - 250, უზბეკეთიდან - 500, ყირგიზეთიდან - 100, თურქმენეთიდან - 360, ტაჯიკეთიდან - 190, ავღანეთიდან - 50, პაკისტანიდან - 500, ავსტრალიიდან - 250, ახალი ზელანდიიდან - 6.2016 წლის აგვისტოს მონაცემებით საქართველოდან სირიაში სახვადასხვა დროს ასამდე მოქალაქე გავიდა.[12] უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კონტრეტორისტულმა ცენტრმა 2015 წლის ივნისში დააკავა "ისლამური სახელმწიფოს" წარმომადგენელი საქართველოში და "პანკისის ჯამაათის იმამი" აიუფ ბორჩაშვილი. 2016 წლის მარტში მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამერიკის ხმის ქართული გამოცემა 2016 წელს წერდა, რომ საქართველოს სპეცსამსახურებმაბოლო პერიოდში აღკვეთესრეკრუტების გასვლა ქვეყნიდან, თუმცა თურქულ გაზეთ "მილეთზე" დაყდნობით იქვე ნახსენები იყო ახალი მარშრუტი, რომელიც აზერბაიჯანიდან იწყებოდა, საქართველოზე, თურქეთსა დაჩრდილოეთ კვიპროსზე გადიოდა.[13] საბოლოო ჯამში, უცხოელ მებრძოლთა მეხუთედი დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე მოდის.[14]

დამუშავებული მასალებისა და ინფორმაციის შეჯერების შემდეგ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სირიაში ისლამური ექსტრემიზმის გააქტიურებას ხელი შეუწყოიმ ფაქტორებმა, რომ არ მოხდა მმართველი რეჟიმის მიერ ოპოზიციურ ძალებთან მოლპარაკებების წარმართვა საწყის ეტაპზე, ხოლო გარკვეული სახის დათმობები-მაგ, საგანგებო კანონის გაუქმება დაგვიანებული აღმოჩნდა. ასევე აღნიშნული ფენომენის გაღვივება გამოიწვია როგორც ხელისუფლების, ასევე მისი ოპონენტების მიერ უცხო ძალების ჩარევამ ქვეყნის შიგნით წარმოქმნილ დაპირისპირებაში. ვინაიდან რეჟიმისა და მისი მოკვაშირეებისთვის უმთავრს მიზანს წარმოადგენდა ზემოთ აღწერილი მეთოდებით ოპოზიციის დისკრედიტაცია და განეიტრალება. ხოლო მისი მოწინააღმდეგეებისა და დამხმარე ძალების დიდი ნაწილისთვის კი არსებული ხელისუფლების ჩამოგდება ყყველა ხელთ არსებული საშუალებით.

---

https://www.reuters.com/article/us-jordan-syria-militants-insight/jordanian-jihadis-returning-from-syria-war-rattle-u-s-aligned-kingdom-idUSBREA3G16H20140417

http://www.mei.edu/content/article/jordan-and-challenge-salafi-jihadists

[12] https://www.radiotavisupleba.ge/a/siriashi-saqartvelos-kidev-erti-moqalaqe-daigupa/27943656.html

[13] https://www.amerikiskhma.com/a/georgia-22-islamists-from-pankisi-guria-adjara-kakheti-killed-in-syria/3414676.html

[14] https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/islamic-state/11660487/Islamic-State-one-year-on-Where-do-its-fighters-come-from.html

სიმონ გურეშიძე

სირიის სამოქალაქო ომის მთავარი აქტორები

სირიის კონფლიქტის თავისებურებებზე მსჯელობის დროს, აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ „ისლამური სახელმწიფოსა“და ჯაბჰათ ალ-ნუსრას გარდა იმ სხვა დაჯგუფებების აქტივობებსაც, რომელთა საერთო რაოდენობა სხვადასხვა მონაცემებით რამოდენიმე ასეულს აღწევს. ხოლო სიტუაციაში უკეთ გარკვევისა და მიმდინარე პროცესების გაშუქებისთვის კიმიგვაჩნია, რომ რამოდენიმე ათეულ ორგანიზაციასა და მათი მიზნების განხორციელების მეთოდებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა უფრო მეტად მოეფინოს ნათელი ქვეყანაში გაჩაღებული სამოქალაქო ომის ურთულეს სქემას, რასაც თან ახლავს არნახული საინფორმაციო ომი. ასევე საინტერესოა მმართველი რეჟიმის რეაგირების თავისებურებები ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან მიმართებაში.

კონფლიქტში ჩართული მხარეები შემდეგ კატეგორიებად იყოფა: რევოლუციონერები და მათთან ერთად მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფებები, ოპოზიციური ჯგუფები, სახვადასხვა სამთავრობო ძალები და მათდამი ლოიალურად განწყობილი ჯგუფები, უცხეთიდან შემოდინებულიჯი ჰადისტები (რომელთა შორისაც იყვნენ ალ-კაიდასთან განშტოებებიც), პროსამთავრობო უცხოური შეიარაღებული ჯგუფები. მათი ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება:

ჯაბჰათ ალ-ნუსრა - ამ ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მთავარი იდეოლოგია იყო შარიათის კანონების დამყარებადა ისლამური სახელმწიფოს დაარსება.[1] “ისლამური სახელმწიფოს” მსგავსად, თავის დროზე ეფუძნებოდა აბუ მუსაბ აზ-ზარკავის ქსელს, შემდგომში კი მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ალ-კაიდასთან. მისი ერთ-ერთი ფრთა, *მაჯლის შურა'ა-მუჯაჰიდინი* (მოჯაჰედთა შურას საბჭო) წარმოადგენდა დაჯგუფების უმაღლეს ორგანოს. ძირითადად დაკავებული იყვნენ იარაღის კონტრაბანდით და შეგროვებით, თავიანთი წევრების რელიგიური იდეოლოგიით დამუშავებით, საკუთარი რიგების რეკრუტებით შევსებითა და წვრთნებით, ინფორმაციების შეგროვებით და ა.შ. ხოლო მათი შტაბბინა განთავსებული იყო დეირ აზ-ზურში, სირიის აღმოსავლეთ ნაწილში და სიდიდით მეექვსე პროვინციაში.[2] აღნიშნული დაჯგუფება იყო პირველი, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო 2012 წლის 6 იანვარს თვითმკვლელი ტერორისტის მიერ დამასკოში უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ განხორციელებულ აქტზე, ასევე იმავე წლის 10 თებერვალს ქრისტიანული დასახლების ახლოს მდებარე, დაზვერვის სამსახურის ოფისთან ანალოგიური მეთოდით განხორციელებულ აფეთქებაზე.[3]

ისლამური ფრონტი - „დამოუკიდებელი პოლიტიკური, სამხედრო ფორმირება“ - იბრძოდა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ და ისლამური სახელმწიფოს დასაფუძნებლად.[4] დაჯგუფება უარყოფდა სეკულარულ და დასავლურ ფასეულობებზე დამყარებულ ყველანაირ მმართველობის ფორმას. მათი იდეოლოგიის მიხედვით, ხელისუფლების ერთადერთი მისაღები ფორმა იყო შარიათის კანონების მიხედვით მართული ისლამური სახელმწიფო. “ისლამური ფრონტის”

[1] http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/field-reports-on-syria-and-the-opposition
[2] http://www.terrorism-info.org.il/Data/articles/Art_20573/E_076_13_1861409435.pdf
[3] https://www.theguardian.com/world/2012/may/10/syria-blame-game-damascus-bombs
https://www.files.ethz.ch/isn/153742/131-tentative-jihad-syrias-fundamentalist-opposition.
http://www.bbc.com/news/world-middle-east-18048033
[4] http://carnegie-mec.org/diwan/50831?lang=en

მმართველ ბირთვს შეადგენდა შურას საბჭო და მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა რევოლუცია, ასადის რეჟიმთან ყოველგვარი პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოლაპარაკებების გარეშე.[5]

„ჰარაქათ აჰრარ ალ-შამ ალ-ისლამია“ - ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სალაფიტური დაჯგუფება. მათი მთავარი მიზანი იყო ბაშარ ალ-ასადის სეკულარული, ბაასისტური რეჟიმის დამხობა და ისლამური სახელმწიფოს შექმნა.[6] აღნიშნული დაჯგუფება შეიქმნა იდლიბში 2011 წლის ბოლოს და ასევე გააჩნდა შტაბბინები ჰამასა და ალეპოში.[7] ორგანიზაციას ჰქონდა დისციპლინირებული და კარგად ორგანიზებული დაჯგუფების რეპუტაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სირიის სამოქალაქო დაპირისპირებაში ძალთა ბალანსის შენარჩუნების თვალსაზრისით. მის რიგებში კი შედიოდნენ 2011 წელს სეიდნაიასა და დამასკოს ციხეებიდან ამინისტირებული ისლამისტები.[8] საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დაჯგუფების ყველაზე გავლენიანი წევრი იყო აბუ ხალიდ ალ-სური, აიმან აზ-ზავაჰირის წარმომადგენელი აღმოსავლეთში და ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ალ-კაიდაში.[9]

ჯაიშ ალ-ისლამი - მათი ძირითადი სამოქმედო არეალი იყო დამასკოს შემოგარენი, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ღუტა, ასევე დუმას რეგიონი. ჯაიშ ალ-ისლამი ჩამოყალიბდა 50-მდე სხვადასხვა დაჯგუფების ბაზაზე, რომელთა შორისაც შედიოდნენ *ლივა ალ-შამ, ლივა თავჰიდ ალ-ისლამ, ლივა ალ-ანსარ, ლივა ფატაჰ ალ-შამ.*[10]

აღნიშნულმა დაჯგუფებამ აიღო პასუხისმგებლობა დამასკოში განხორციელებულ აფეთქებაზე, რომელსაც ემსხვერპლა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ასიფ შავქათი (პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის სიძე), თავდაცვის მინისტრი დაუდ რაჯიჰა და ვიცე პრეზიდენტი ჰასან თურქმანი.[11] სხვადასხვა წყაროების თანახმად მიიჩნევა რომ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა გააჩნდა საუდის არაბეთიდან.[12]

დაჯგუფებათა ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია და არსებობდა განსხვავებებიც. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ ისეთი სისატიკით როგორც "ისლამური სახელმწიფო" და ჯაბჰათ ალ-ნუსრა, ზოგიც კი ერთნაირად ებრძოდა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმსაც და ხსენებულ ორ დაჯგუფებას. მაგ, "სირიის ისლამური ფრონტი" რომელიც ჩამოყალიბდა 11 ბატალიონის გაერთიანებით (*ლივა ალ-ჰაკი-ჰომსი, ჯაიშ ალ-თავჰიდ-დაირ აზ-ზური, ქათიბ აჰრარ აშ-შამ...*) - მოქმედებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით: *ჰარაქათ ალ-ფაჯრ ალ-ისლამია* - ალეპოს გარეუბნები, *ქათიბ ანსარ ალ-შამ* - ლატაკიის შემოგარენი, *ჯამაა ალ-თალია ალ-ისლამია* - იდლიბის სოფლების ტერიტორიები, დამასკოში ბაზირებული აჯანყებული ჯგუფების *სარაია ალ-მაჰამ ალ-ხასა, ქათიბა ალ-ჰამზა ბინ აბ ალ-მუტალიბ, ქათიბა სუქურ ალ-ისლამ ქათაიბ ალ-იმან* ალ-მუკათილას) გაერთიანების საფუძველზე.[13] *სირიის ისლამური ფრონტი* როგორც სხვა ზემოთ

---

[5] http://www.hurriyetdailynews.com/new-rebel-alliance-wants-syria-as-islamic-state-58597
[6] http://www.understandingwar.org/sites/default/files/Jihad-In-Syria-17SEPT.pdf
[7] http://foreignpolicy.com/2012/10/15/holy-warriors/
[8] http://world.time.com/2012/07/26/time-exclusive-meet-the-islamist-militants-fighting-alongside-syrias-rebels/
[9] http://carnegie-mec.org/diwan/54618, http://carnegie-mec.org/diwan/54634
[10] http://foreignpolicy.com/2013/10/01/the-army-of-islam-is-winning-in-syria/
http://www.bbc.com/news/world-middle-east-24403003
http://web.stanford.edu/group/mappingmilitants/cgi-bin/groups/view/
[11] http://www.understandingwar.org/sites/default/files/The-Free-Syrian-Army-24MAR.pdf
[12] https://www.reuters.com/article/us-syria-crisis-jihadists-insight/insight-saudi-arabia-boosts-salafist-rivals-to-al-qaeda-in-syria-idUSBRE9900RO20131001
https://www.theguardian.com/world/2013/nov/07/syria-crisis-saudi-arabia-spend-millions-new-rebel-force
[13] http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/the-syrian-islamic-front-a-new-extremist-force

აღწერილი დაჯგუფებები, მიზნად ისახავდა ისლამური სახელმწიფოს დაარსებას და მათი წარმოდგენით, ქვეყანაში დასავლეთის - აშშ-ის ინტერვენციისთვის წინააღმდეგობის გაწევას.[14]

ლივა ალ-ჰაკი (ლივა ჯუნუდ ალ-ჰაკ) - 2012 წელს ჰომსში შექმნილი ისლამისტური დაჯგუფება. ამავე ტერიტორიაზე აქტივობდა ქვეყნის პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის წინააღმდეგ. აღნიშნული ორგანიზაცია მართალია ისლამისტური იდეოლოგიის მატარებელია, მაგრამ არა სალაფიტურის და აერთიანებს სხვადასხვა დაჯგუფებებს.[15]

ჯაიშ ალ-მუჯაჰიდინი (მუჯაჰიდთა არმია) - შეიქმნა 2014 წლის იანვარში ქალაქ ალეპოში. ეს ისლამისტური დაჯგუფებაც რამდენიმე ორგანიზებული ჯგუფის გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა და ერთდროულად ებრძოდა ასადის რეჟიმსა და "ისლამურ სახელმწიფოს".[16]

სირიის რევოლუციური ფრონტი (სრფ)/სირიელ რევოლუციონერთა ფრონტი, იგივე სირიული აჯანყებული ფრონტი - შეიქმნა 2013 წლის დეკემბერში სირიის ისლამური ფრონტის საპასუხოდ. ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო სწრაფად მზარდი სალაფიტური და რადიკალიზებული დაჯგუფებების გავლენის შეკავება. სრფ, სხვათა მსგავსად, 14 დაჯგუფების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა, რომელთა შორისაც შედიოდნენ სეკულარული სირიული ბრიგადები.[17] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სრფ-მ მიიღო სირიაში კონფლიქტის გადაწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისთვის გამართულ ჟენევის II კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმებები.[18]

ლივა' ალ-თავჰიდი იგივე **თავჰიდის ბრიგადა** - შეიქმნა 2012 წელს. მათ მიზანსაც ბაშარ ალ ასადის ხელისუფლების დამხობა წარმოადგენდა და ძირითადი სამოქმედო არეალი იყო ქალაქი ალეპო. დაჯგუფებას გააჩნდა 25-მდე განშტოება და იღებდა ფინანსურ დახმარებას კატარისგან. 2013 წელს ლივა' ალ-თავჰიდი შეუერთდა სირიის ისლამური გათავისუფლების ფრონტს.[19]

ლივა' ალ-ჰაკი - ჩამოყალიბდა 2012 წელს ბაშარ ალ-ასადის ბაასისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. დაჯგუფება თავის თავს ისლამისტური, მაგრამ არა სალაფიტური იდეოლოგიის მიმდევრად მიიჩნევდა. 2015 წლის დეკემბრიდან გაეორს უშიშროების საბჭო ცდილობდა დაჯგუფება ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეეყვანა, გადაწყვეტილებას მხარს უჭერდნენ არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ლიბანი და ერაყი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც ვერ მოხერხდა.[20]

ჯაიშ ალ-მუჯაჰიდინი - შეიქმნა 2014 წლის იანვარში, 8 აჯანყებული ჯგუფის გაერთიანების შედეგად შექმნილი ისლამისტური დაჯგუფება ალეპოში. მათ სამიზნეს ერთდროულად შეადგენდა ასადის რეჟიმი და "ისლამური სახელმწიფო".[21]

ჩვენს მიერ აღწერილი დაჯგუფებებისა და სირიაში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების საბოლოო სურათის შესაჯამებლად, ისევ პატრიკ კოკბერნის წიგნს უნდა

---

[14] http://www.bbc.com/news/world-middle-east-25053525
[15] http://web.stanford.edu/group/mappingmilitants/cgi-bin/groups/view/527
[16] http://carnegie-mec.org/diwan/55334?lang=en
[17] http://carnegie-mec.org/diwan/53910?lang=en
[18] https://www.brookings.edu/opinions/syrias-new-rebel-front/
[19] https://www.reuters.com/article/us-syria-qatar-desert/in-qatar-desert-syrian-opposition-mourns-fallen-commander-idUSBRE9AK0E520131121
http://web.stanford.edu/group/mappingmilitants/cgi-bin/groups/view/527
http://carnegie-mec.org/diwan/53910?lang=en
[20] http://web.stanford.edu/group/mappingmilitants/cgi-bin/groups/view/529
[21] الإعلانعنجيشالمجاهدينبحلب https://www.zamanalwsl.net/news/article/45028
http://carnegie-mec.org/diwan/55275?lang=en
http://carnegie-mec.org/diwan/55334?lang=en

დავეყრდნოთ: “The Age of Jihad,“ სადაც იგი, მართალია “ისლამური სახელმწიფოს” რიგებში სადამ ჰუსაინის ბაასის პარტიის წევრთა აქტივობას, ამავე ორგანიზაციის სადამის სპეცსამსახურების მიერ გაძლიერებას კონსპირაციულ თეორიებს საკითხისადმი მარტივ მიდგომად აფასებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ბაშარის ალ-ასადის რეჟიმისთვის პოლიტიკურად და არა სამხედრო თვალსაზრისით, გაცილებით იოლი და მომგებიანი იყო, თუ კი დაპირისპირება ექნებოდა სუნიტ ჯიჰადისტებთან. მისთვის და ასევე ჩვენთვისაც, აღნიშნული კონფლიქტის ყველაზე მისაღები ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ექსპერტის ენტონი კორდესმანის განმარტებაა: “ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ ვცდილობთ შექმნილი სიტუაცია აღვიქვათ შავ ან თეთრ ფერებში, სინამდვილეში კი ეს არის სამ განზომილებიანი საჭადრაკო დაფა, რომელსაც 9 მოთამაშე თამაშობს ყოველგვარი წესების გარეშე”. კოკბერნი ასევე საინტერესო პარალელებს ავლებს 1999 და 2001 წლებში ჩეჩნეთში განვითარებულ მოვლენებთან. სწორედ ამ წლებში იმყოფებოდა იგი კორესპონდენტად ჩეჩნეთის მეორე ომის დასაწყისში, დედაქალაქ გროზნოში. ავტორის გადმოცემით, მას მართალია ეშინოდა რუსული ავიაგამანადგურებლების, მაგრამ არანაკლებ საფრთხეს ელოდა პრეზიდენტის დაცვის წევრებისგანაც, რადგან სავსებით შესაძლებელი იყო ჟურნალისტები, მისი ჩათვლით, სწორედ მათ გაეტაცებინათ. იმ პერიოდისთვის ჩეჩნეთი იყო ადამიანთა გატაცების ე.წ. „მსოფლიო დედაქალაქი“, სადაც სოფლის მოსახლეობა დამატებით შემოსავალს იღებდა გატაცებული ადამიანების მოსათავსებელი ფართების გაქირავებით. იმ პერიოდისთვის კოკბერნი თვლიდა, რომ ეს იყო პოსტ-კომუნისტურ ჩეჩნეთში ამ ქვეყნის განგსტერების ძირითადი საქმიანობა, მაგრამ დროთა განმავლობაში დარწმუნდა იმაშიც, რომ მმართველი ელიტების, (რომლებიც ცდილობდნენ სტატუს ქვოს შენარჩუნებას) და მათ წინააღმდეგ მებრძოლი დაჯგუფებების კრიმინალიზაცია იყო მის მიერ აღწერილი ყველა კონფლიქტის საერთო ხასიათი. შემდგომში ავტორი პარალელს ავლებს 2014 წლამდე ერაყის არმიაში არსებულ სიტუაციაზე, სადაც ოფიცრების ნაწილმა თავის თანამდებობა ფულით იყიდა და შემდგომ კორუფციაში ჩაფლულები გულგრილად ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს, რამაც საბოლოოდ განაპირობა მათი მარცხი “ისლამურ სახელმწიფოსთან”.[22]

სირიის შემთხვევაში, დამატებითი მასალების მოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კოკბერნის მსჯელობა ამ შემთხვევაშიც არ არის საფუძველს მოკლებული და გამოიკვეთა „ისლამური სახელმწიფოს, რუსეთისა და ბაშარ ალ-ასადის რეჟიმთან დაახლოებული კლანების კორუფციული სქემის სამკუთხედი. აშშ-ის სპეცდანიშნულების ძალების მიერ დეირ აზ-ზურში “ისლამური სახელმწიფოს” “ნავთობის მინისტრის” აბუ საიაფის მკვლელობის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ იგი წარმატებულ მოლაპარაკებებს მართავდა ასადის რეჟიმთან, რათა “ის”-ს დაუბრკოლებლად გაეტარებინა სპეციალური მანქანები და მილები რეჟიმის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ექსტრემისტების გავლენის ქვეშ მოქცეულ არეალზე, რასაც ამ ორგანიზაციისთვის ყოველთვიურად 40 მილიონ დოლარამდე მოგება მოჰქონდა. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება იმითაც, რომ სირიელ-რუსი ბიზნესმენის ჯორჯ ჰასუანის წინააღმდეგ აშშ-მა სანქციები დააწესა, რადგან სწორედ ეს პიროვნება ასრულებდა შუამავლის როლს “ისლამურ სახელმწიფოსა” და ასადის რეჟიმს შორის. გაზის სანაცვლოდ, სირიის ხელისუფლება ელექტრო-ენერგიით ამარაგებდა “ის”-ს მიერ კონრტოლირებად ტერიტორიებს, ხოლო მათგან იაფად შეძენილ ნავთობს ასევე იაფად ყიდდა მოსახლეობაში, რითიც ხელისუფლება მოსახლეობის გულის მოგებას ცდილობდა. აღნიშნულ საკითხს Busines Insider-თან, Wall Street Journal-თან, Guardian-თან, independent-თან და Reuters-თან და Financial times-სთან ერთად გამოცემა Foerign Policy-მაც მიძღვნა სტატია სათაურით: “რატომ მუშაობენ რუსი ინჟინრები “ისლამური სახელმწიფოს” მიერ კონტროლირებად გაზის საბადოზე სირიაში”. “ის”-ს ყოფილ დეფაქტო დედაქალაქ რაკ’ადან 60 მილის დაშორებით არსებობს ტუევინის უმსხვილესი გაზის საბადო, რომელიც თავის დროზე ააშენა კომპანია “სტროიტრანსგაზმა” და ეკუთვნის რუს მილიარდელ გენადი ტიმჩენკოს, რომელიც

[22] THE AGE OF JIHAD. Islamic State and the Great Warfor the Middle East, 431-432, Patrick Cockburn.

ითვლება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დაახლოებულ პირად. აღნიშნული კომპანიის წინაარმდეგ აშშ-მ სანქციები დააწესა რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ცნობილი მოვლენების შემდეგ. იმავე სტატიის თანახმად ასადის რეჟიმი, სირიელი-რუსი ბიზნესმენი, "ისლამური სახელმწიფო" და სირიის ზომიერი ოპოზიცია ცდილობდნენ აღნიშნული საბადოს ამუშავებას თავიანთი ფინანსური და ლოჯისტიკური ბენეფიტების მიღების მიზნით. ზემოთხსენებული ჯორჯ ჰასვანის კომპანია Hesco-სა და "სტროიტრანსგაზს" თანამშრომლობის ხანგრძილი ისტორია გააჩნიათ სუდანში, ალჟირში, ერაყსადა არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში 2000 წლიდან, ხოლო მისი სიძე უსეფ აბრაში უძღვება Hesco-ს მოსკოვის ოფისს. საბადოზე კონტროლი 2014 წლიდან "ისლამურმა სახელმწიფომ" დააწესა და შემდეგ მათ ნება დართეს რუს ინჟინრებს, რათა მათ გარკვეული სახის სამუშაოები შეესრულებინათ ობიექტზე-განუცხადა გამოცემას ერთ-ერთმა თურქმა მაღალჩინოსანმა, რომლის ვინაობაც სტატიაში დადასტურებული არ არის. თავის მხრივ ჰასვანიმ უარყო თავის შუამავლობა "ის"-სა და რეჟიმს შორის, მაგრამ არ უარყვია ის ფატი, რომ მისი კომპანია აგრძელებდა მუშაობას საბადოზე მას შემდეგ, რაც ტერიტორია აღნიშნულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ დაიკავა.

კარნეგის ცენტრის საერთაშორისო მშვიდობის ვებგვერდის რედაქტორის არონ ლანდის განცხადების თანახმად კი, მსგავსი ურთიერთობები ენერგორესურსების გადანაწილების საკითხებში არსებობდა როგორც შეიარაღებულ დაჯგუფებებს და კონტრაბანდისტებს, ასევე კერძო ბიზნესმენებს შორის. ხოლო მხარეებს წარმოადგენდნენ "'ისლამური სახელმწიფო და რეჟიმი, ასევე "ის" და სუნიტი აჯანყებული დაჯგუფებები, ქურთები და რეჟიმი, ქურთები და აჯანყებულები, აჯანყებულები და რეჟიმი და ა.შ.". ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „გარდიანზე" მომუშავე მარტინ ჩულოვმა 2015 წლის ივლისში გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ენერგორესურსებით ვაჭრობის საკითხთან დაკავშირებით ასევე არსებობდა დოკუმენტები თურქეთისა "ის"-ს კავშირების შესახებ.[23]

შეიძლება დავასკვნათ, რომ სირიის სამოქალაქო დაპირისპირებამ მართლაც დაადასტურა ის გარემოება, რომ ოპოზიციის მარცხი მათმა დაქსაქსულობამ გამოიწვია და აღნიშნული კონფლიქტის უნიკალურობა მართლაც მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მხარე ყოველგვარი წესების გარეშე თამაშობდა ჯერ ქვეყანაში და შემდეგ მთლიანად რეგიონში მიმდინარე დიდ პოლიტიკურ თამაშს. ოპოზოციური ძალების ყველაზე ბრძოლის უნარიანი ერთი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ერთნაირად ებრძოდა როგორც ასადის რეჟიმს, ისევე „ისლამურ სახელმწიფოს" ტერორისტულ ორგანიზაციას და ზოგიერთი მათგანი საერთაშორისო მოლაპარაკებების გადაწყვეტილებებსაც უერთდებოდა, მათ შეიარაღებული წინააღმდეგობის გარდა ვერ მოახერხეს სხვა ქმედითი პოლიტიკური პროგრამის შეთავაზება მსოფლიო საზოგადოებისთვის, რითიც შეძლებდნენ არა მხოლოდ სამხედრო წინააღმდეგობის გაწევას, არამედ არამედ ბრძოლის ველის პოლიტიკურ ასპარეზზე გადატანასაც, რაც ვფიქრბოთ რომ მათ უფრო სიცოცხლისუნარიანს გახდიდა არსებულ რეჟიმთან დაპირისპირებაში.

[23] http://www.businessinsider.com/assad-oil-isis-2016-4
https://www.independent.co.uk/news/world/middle-east/western-officials-say-syrian-regime-assad-buying-more-oil-gas-isis-a7537851.html
https://foreignpolicy.com/2016/02/09/why-are-russian-engineers-working-at-an-islamic-state-controlled-gas-plant-in-syria/
https://www.reuters.com/article/syria-crisis-eu/eu-targets-syrian-middleman-it-says-bought-oil-from-islamic-state-idUSL5N0WA05R20150308

მარიამ გურეშიძე

გოლანის მაღლობები და ახალი გამოწვევები

„სირიასთან დადებული ნებისმიერი სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ისრაელის გოლანის მაღლობებზე დარჩენას.“
ჯერალდ ფორდი, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი

„თუ კი როდესმე გამოჩნდება ისეთი სახელმწიფო, რომელიც მოისურვებს ებრაელების გოლანის მაღლობიდან გაყვანას, ხალხი მას არ აპატიებს“
გოლდა მეიერი

გოლანის მაღლობები (არაბ.هضبة الجولان ებრ. רְמַת הַגּוֹלָן) წარმოადგენს სადავო ტერიტორიას ახლო აღმოსავლეთში. სირია გოლანის მაღლობების პრობლემას ერთ-ერთ ძირითად საკითხად მიიჩნევს ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესში. სირია გოლანის მაღლობებს მხოლოდ 21 წელი ფლობდა. საჩუქრის სახით მიიღო, საფრანგეთის მანდატის[1] დასრულების შემდეგ. ამჟამად მისი დიდი ნაწილი ისრაელის მიერ კონტროლდება ხოლო აღმოსავლეთ ნაწილი სირიის მიერ. ისრაელისა და სირიის მხარეები გოლანის მაღლობებს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევენ.

1517-1918 წწ. ოსმალეთის ბატონობის დროს გოლანის მაღლობი მთლიანად დაცარიელდა. XIX-ის ს-ის შუა ხანებში ოსმალეთის ხელისუფლებამ იმპერიის სხვადასხვა ადგილას მცხოვრები მუსლიმების ჩასახლება დაიწყო აღნიშნულ ტერიტორიაზე. XX საუკუნის დასაწყისში მაღლობების ჩრდ. ნაწილში ცხოვრობდნენ დრუზები, ცენტრში - ჩერქეზები. დასახლდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც.

ებრაელებმა XIX საუკუნის ბოლოს გადაწყვიტეს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება და რა თქმა უნდა გაიხსენეს ისტორიული (ბიბლიური მიწა) ბაშანი[2], სადაც განდევნამდე ცხოვრობდნენ. ებრაელები თავდაპირველად ცფათიდან[3] 1885 წელს გადასახლდნენ გოლანის მაღლობზე. ეს იყო 50 რელიგიური ოჯახი. მათ იყიდეს ჩერქეზების მიერ დატოვებულ სოფელ რამსანიაში მიწები და დაიწყეს მათი სწრაფად დამუშავება. საპასუხოდ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სხვადასხვა დამაბრკოლებელი პირობები შეუქმნა. აღნიშნულ ოჯახებს არ ეყოთ არსებობისთვის სახსრები და 1887 წელს დაბრუნდნენ ცფათიში.

1891 წელს ებრაელებმა მეორეჯერ სცადეს ბედი. მათ მაღლობების დასავლეთ ნაწილში შეისყიდეს მიწები. ეს ტერიტორია არაბების მიერ იყო მიტოვებული. 20 ოჯახმა დაიწყო მიწის დამუშავება. თუმცა მათაც ვერ გაძლეს და 8 თვის შემდეგ დაბრუნდნენ ცფათიში. მოგვიანებით ლონდონში მაცხოვრებელმა ებრაულმა საზოგადოებამ აღმოუჩინა დახმარება მათ და დასახლება აღდგა.

1891 წელს მათ ასევე სცადეს ბაშანის რაიონში დასახლება. თუმცა ვერ შეძლეს მიწების ყიდვა. ვითარება გამოასწორა ბარონმა ბენიამენ როტშილდმა, რომელმაც გადაწყვიტა ყველა დიპლომატიური და ფინანსური საკითხი. მან იყიდა ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში

---

[1] საფრანგეთის სამანდანტო ტერიტორია სირიასა და ლიბანში-მაღლობებს 1918 წლიდან საფრანგეთი აკონტროლებდა, რომლის სამანდატო ტერიტორიასაც წარმოადგენდა 1946 წლამდე.

[2] ბაშანი - (ივრ. הַבָּשָׁן) ისტორიული ქალაქი მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ სანაპიროზე რომელიც მოიცავს გოლანის მაღლობებს და ჰერმონის მთას.

[3] ცფათი - (ივრ. צְפַת არაბ. صفد) ქალაქი ისრაელის ჩრდილოეთით. მდებარეობს, ზღვის დონიდან 900 მეტრ სიმაღლეზე, ზემო გალილეის მთების ერთ-ერთ ფერდობზე.

არსებული 20 ათასი აკრი მიწა. მიწების ნაწილი მდებარეობდა გოლანის მაღლობებზე ხოლო ნაწილი დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე.

1922 წელს ერთა ლიგამ მიიღო გადაწყვეტილება თურქეთის ყოფილი სირიული დომინიონი გაეყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის. საზღვრები მათ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით დაადგინეს. საიქს-პიკოს[4] შეთანხმებით, ბრიტანეთის უშუალო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა ცენტრალური და სამხრეთ ერაყი, ასევე ქუვეითი. დღევანდელი იორდანია და დასავლეთ ერაყი ბრიტანული გავლენის სფერო ხდებოდა. პალესტინაზე ორივე მხარეს ჰქონდა პრეტენზია. რუკაზე ასევე მითითებული იყო ოსმალეთის იმპერიის ის ნაწილები, სადაც საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი პირდაპირი ან არაპირდაპირი ადმინისტრაციის შექმნის ან კონტროლის დამყარების უფლებას ანიჭებდნენ ერთმანეთს.

1944 წლის იანვარში, როდესაც სირიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გოლანის მაღლობები სირიის სახელმწიფო საზღვრებში მოხვდა. ამ ფაქტის შემდეგ ებრაული დასახლებების შექმნა შეუძლებელი გახდა. სირიამ 1946 წლის 17 აპრილს საფრანგეთისგან მიიღო დამოუკიდებლობა.

1967 წლის ივნისში ექვსდღიანი ომის მსვლელობისას მაღლობების დასავლეთ ნაწილი დაიკავა ისრაელმა. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან მიმდინარე სირიის სამოქალაქო ომის დროს კუნეიტრას ტერიტორია ამბოხებულებმა დაიკავეს და მხოლოდ 2018 წლის ზაფხულში შეძლო სირიის არმიამ მათი უმრავლესობის რეგიონიდან განდევნა. 1948 წლის 14 მაისს, პალესტინაში ბრიტანეთის მანდატის დასრულებამდე ერთი დღით ადრე, დავიდ ბენ-გურიონმა[5], გაეროს მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად გამოყოფილ ტერიტორიაზე გამოაცხადა დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნა. მეორე დღესვე არაბული ქვეყნების ლიგამ ისრაელს ომი გამოუცხადა, და 7 არაბული სახელმწიფო (სირია, ეგვიპტე, ლიბანი, ერაყი, საუდის არაბეთი, იემენი და მაშინდელი ტრანსიორდანია) თავს დაესხა ახალ ქვეყანას. დაიწყო ე.წ. პირველი არაბულ-ებრაული ომი, რომელსაც ისრაელში „დამოუკიდებლობისთვის ომს“ უწოდებდნენ.

1949 წლის 20 ივლისს ისრაელსა და სირიას შორის ზავი დაიდო. ომის დასრულების შემდეგ სირიელებმა გოლანის მაღლობების ნაწილზე არტილერია განათავსეს, რომლის მეშვეობითაც განხორციელდებოდა ზემო გალილეიში და ტბა კინერეტის რაიონებში მდებარე ებრაულ დასახლებებზე კონტროლი. ისრაელის მხრიდან კონტროლის დამყარების შემდეგ, არაბი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა აღნიშნული ტერიტორია. დაახლოებით 7 ათასი ოჯახი, გოლანის მაღლობზე დარჩენილები, ცხოვრობდნენ ჩრდილოეთით მდებარე 6 სოფელში. კუნეიტრა სირიას დაუბრუნდა „ისრაელისა და სირიის ძალთა დაშორიშორების“ შეთანხმების საფუძველზე. დოკუმენტს 1974 წლის 31 მაისს მოეწერა ხელი და ბ(1) პარაგრაფში ჩაწერილი იყო მოთხოვნა: მთელი ტერიტორია აღმოსავლეთით დაექვემდებარებოდა სირიის ადმინისტრაციას და სირიის მოქალაქეები დაბრუნდებოდნენ. 1981 წელს ისრაელის ქნესეთმა მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც გამოაცხადა თავისი სუვერენიტეტი ამ ტერიტორიაზე. გაეროს უშიშროების საბჭომ თავისი რეზოლუციით არ აღიარა ეს აქტი.

ასევე აღსანიშნავია შემდეგი ისტორიული ფაქტი: ექვსდღიანი ომის შემდეგ ისრაელის ხელისუფლება მზად იყო რეალური ზავის სანაცვლოდ დაებრუნებინა დაპყრობილი მიწები. არაბებმა უარი თქვეს ამ შემოთავაზებაზე. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბა ევენმა განაცხადა, რომ ეს იყო ისტორიაში პირველი ომი, როდესაც ომის დასრულების შემდეგ მეორე

---

[4] საიქს-პიკოს შეთანხმება-საიდუმლო შეთანხმება დიდ ბრიტანეთსა და საფრაგეთს შორის, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყნებმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გავლენის სფეროები გაინაწილეს ახლო აღმოსავლეთში. დაიდო 1916 წლის 16 მაისს. გავლენის სფეროები საბოლოოდ გადანაწილდა 1919 წელს, ვერსალის ხელშეკრულებით.

[5] დავიდ ბენ გურიონი (დავიდ გრინი) (ებრ. דָּוִד בֶּן-גּוּרִיּוֹן დაბ. 1886 წლის 16 ოქტომბერი-გარდ. 1973 წ.) თანამედროვე ისრაელის ერთ-ერთი დამაარსებელი. ისრაელის პირველი და მესამე პრემიერ-მინისტრი.

დილით გამარჯვებულებმა მშვიდობა შესთავაზეს, ხოლო დამარცხებულები გამარჯვებულების უსიტყვო კაპიტულაციას მოითხოვდნენ.

ისრაელის გოლანის მაღლობზე ინტერესს რამდენიმე ძირითადი მიზეზი განაპირობებს: 1) სამხედრო ასპექტი: ებრაელი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ გოლანის რელიეფი იდეალურია აღმოსავლეთის საზღვარზე ისრაელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, რომ მისი სუვერენიტეტის ქვეშ ამ ტერიტორიის გადასვლით უზრუნველყოფილია „დადებითი სიმშვიდე“ რადგან ამ ზონაში მუდმივი სამხედრო შეტაკებები მიმდინარეობდა. 2) ეკონომიკური: ეკონომიკურად ისრაელის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეგიონს წარმოადგენს. აქ ფაქტიურად არ არსებობს უმუშევრობა. გოლანი ისრაელის მინერალური წყლის 50%-ზე მეტს აწარმოებს. მეღვინეობის პროდუქციის 40% ექსპორტზე გადის და მოყავთ ქვეყნისათვის საჭირო ხილისა და ბოსტნეულის 30%- 50%. ასევე ცნობილია ტურისტული ბიზნესითაც. 3) წყლით მომარაგების ასპექტი: მდინარე იორდანე სათავეს იღებს ჰერმონის მთის მისადგომებიდან, გაედინება კინერეთის ტბაზე და უერთდება მკვდარ ზღვას. რომელიც ქვეყანაში მტკნარი წყლის მთავარ რეზერვუარს წარმოადგენს. დღესდღეობით ისრაელის სასმელი წყლის 30% გოლანის მაღლობის ტერიტორიის გავლით მოდის. 4) სოციალური ასპექტი: დასავლეთის სანაპიროსა და ღაზას სექტორის ტერიტორიებისგან განსხვავებით, გოლანში არალეგალი მოსახლეობა მცირეა და ჰერმონის მთაზე მცხოვრები დრუზები[6] საკმაოდ ლოიალურად არიან განწყობილი ისრაელისა და მისი პოლიტიკის მიმართ.

2017 წლის ივნისში, ისრაელის პრეზიდენტმა რუვენ რივლინმა[7] გოლანის შემოერთების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე მსოფლიო საზოგადოებას მოუწოდა, რომ მათ ოფიციალურად აღიარონ მაღლობები ისრაელის განუყოფელ ნაწილად.

2018 წლის ოქტომბერში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სირიის პროპაგანდის მინისტრმა მოჰსენ ბილალმა განაცხადა: „მშვიდობისა და სტაბილურობის გზას მივყავართ გოლანის ოკუპაციის დასასრულისკენ[8] და დაამატა, რომ ოფიციალური დამასკო მზად არის ისრაელთან განაახლოს მოლაპარაკებები. ხოლო სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ ასადმა არაბული ლიგის ქვეყნების გენერალურ მდივანთან შეხვედრისას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებისკენ მოწოდება გააკეთა. ასადმა და ამრ მუსამ ხაზი გაუსვეს რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიღწევის აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები ისრაელსა და სირიას შორის 2000 წელს შეწყდა. ისრაელმა უარყო წინადადებები მოლაპარაკების განახლებაზე და მოითხოვდა, რომ სირიას დაესრულებინა რადიკალური პალესტინური დაჯგუფებების („ფათჰი“ და „ჰამასი“) მხარდაჭერა.

ისრაელში ამერიკის ელჩმა დევიდ ფრიდმანმა განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობას შეუძლია აღიაროს ისრაელის სუვერენიტეტი გოლანის მაღლობზე- „სიმართლე გითხრათ, მე ვერ წარმომიდგენია სიტუაცია, სადაც გოლანის მაღლობი ისრაელის ნაწილი არ იქნება.[9] ფრიდმანმა

---

[6] დრუზები-(არაბ. درزي. ივრ. דרוזי) -ცხოვრობენ ლიბანში, სირიასა და მცირე რაოდენობით ისრაელში. მათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო; ხელოსნობასა და ვაჭრობას XX ს-მდე თითქმის არ მისდევდნენ. XVIII ს. დასაწყისში დრუზების ერთი ნაწილი ჰაურანში (სირია) ჯაბალ-დრუზის რაიონში გადასახლდა.

[7] რუვენ (რუბი) რივლინი - (დაბ. 1939 წლის 9 სექტემბერი, იერუსალიმი) - ისრაელის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ისრაელის მე-10 პრეზიდენტი და პარლამენტის ორგზის სპიკერი.

[8] https://reuters.screenocean.com/record/276230
https://eng-archive.aawsat.com/theaawsat/features/interview-with-syrian-info-minister-mohsen-bilal
http://mignews.com/news/politic/world/051106_223443_59101.html

[9] https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-israel-usa-syria/u-s-envoy-sees-israel-keeping-golan-heights-forever-idUSKCN1LM11T
https://www.jpost.com/Arab-Israeli-Conflict/US-Ambassador-to-Israel-Its-possible-we-will-recognize-Golan-Heights-566643

ასევე დაამატა, რომ ამერიკის პრეზიდენტის ტრამპის პრო-ებრაული პოზიცია აიხსნებოდა აშშ-ის ისრაელის სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობით, რამაც ხელი შეუწყო აშშ-ის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმების თავიდან აცილებას. გარდა ამისა, ფრიდმანის თქმით, პრეზიდენტი ტრამპი „პატივს სცემს მათ, ვინც გაიმარჯვებს და იცის წარმატების ფასი, ამიტომ ისრაელის მიღწევები უფრო დიდია ვიდრე ზოგიერთი ებრაელის“. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა მხარემ 1 სექტემბერს განაცხადა, რომ ის აღარ დააფინანსებს გაეროს მიერ შექმნილ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, რომელიც მხარს უჭერს პალესტინელ ლტოლვილებს. გაუქმებული დაფინანსება წელიწადში 350 მილიონ დოლარზე მეტს წარმოადგენს. რაც შეეხება რუსეთს 2018 წლის აგვისტოში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად რუსეთის სამხედრო პოლიცია განალაგებს რვა პოსტს გოლანის მახლობლად დემილიტარიზებულ ზონაში, ისრაელისა და სირიის საზღვართან. ამის შესახებ განაცხადა სირიაში არსებულმა რუსული სამხედრო პოლიციის პოლკოვნიკმა ვიქტორ ზაიცევმა.

ზაიცევის განცხადებით, რუსული სამხედრო პოლიციის პირველი სადამკვირვებლო პოსტი განლაგდა სირიის პროვინცია კუნეიტრას დასახლებულ პუნქტში. შემდგომში კიდევ 7 დაემატება. ხოლო რუსული სამხედრო პოლიცია იქნება ამ რეგიონში მაცხოვრებლებისთვის უსაფრთხოების გარანტორი.

რუსეთის სამხედრო დაჯგუფებების მეთაურის მოადგილემ გენერალ ლეიტენანტმა სერგეი კურალენკომ განმარტა, რომ სამხედრო პოლიციის პოსტები განლაგდება გოლანის მაღლობის იმ ზონის წინ, რომელსაც გაეროს სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსული სამხედრო პოლიცია დემილიტარიზებულ ზონაში არ იქნება. „პოსტები უზრუნველჰყოფს მშვიდობას სირიაში, კონკრეტულად კუნეიტრას პროვინციაში“. მან ასევე დაამატა, რომ რუსული დროშა ამ ტერიტორიაზე იქნება გარანტორი, რომ მშვიდობა ამ რაიონში „საბოლოოდ მოვიდა“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოების მხარდაჭერით და ჩართულობით იქმნება სამშვიდობო მყარი გარანტია. ამის საფუძველზე აუცილებლობად მიჩნეული სამშვიდობო მოლაპარაკებების აღდგენა, რაც რეგიონს მიიყვანს საბოლოო სტაბილურობისკენ და კეთილდღეობისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) http://www.mfa.gov.il/mfa/foreignpolicy/peace/guide/pages/golan%20heights%20-%20background.aspx
2) https://sourcebooks.fordham.edu/mod/1922mandate.asp
3) https://www.camera.org/article/new-york-times-quneitra-claims-contradicted-by-times-own-reporting/
4) https://guide-israel.ru/history/26550-francuzskij-mandat-v-sirii-i-livane-1920-46/
5) https://web.archive.org/web/20070912185915/http://bakerinstitute.org/Pubs/wp_israelsyria.pdf
6) https://www.rbc.ru/rbcfreenews/5b6d11639a794708e2f1ed83
7) https://lenta.ru/news/2018/09/07/this_land_is_yours/

https://lenta.ru/news/2018/09/07/this_land_is_yours/

მარიამ გურეშიძე

„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები დსთ-ის ქვეყნებიდან

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ თაიფ ერდოღანი 2018 წლის 17 სექტემბერს სოჭში შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ სირიის პროვინცია იდლიბში შეიქმნას დემილიტარიზებული ზონა. 15-20 კილომეტრის ტერიტორია 15 ოქტომბრამდე უნდა დატოვოს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ მებრძოლმა დაჯგუფებებმა, ასევე უნდა გავიდეს მძიმე ტექნიკა. ორივე ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ხელი მოაწერა მემორანდუმს სიტუაციის სტაბილიზაციის შესახებ იდლიბის დე-ესკალაციის ზონაში.

ოფიციალური სირია მიესალმება დემილიტარიზებული ზონის შექმნას და ხელისუფლების ჯარები ემზადებიან ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციისთვის.

იდლიბში იმყოფება დაახლოებით 20 ათასი რეკრუტი, რომელთა შორისაც არიან „ფრონტ ალ-ნუსრას“ და „ჯაიშ ალ-ისლამის“ წევრებიც. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის ისლამისტების განდევნით პრობლემა არ აღმოიფხვრება. დამარცხების შემდეგ მათი ნაწილი წავა ისლამისტურ იატაკქვეშეთში, ანდა დაყრიან იარაღს და წავლენ სახლში. ის უცხოელი რადიკალები, რომლებიც საკუთარ სამშობლოში არ დაბრუნდებიან, დიდი ალბათობით გადავლენ სხვა ტერიტორიაზე ახალი სახალიფოს ჩამოსაყალიბებლად.

არსებობს მოსაზრება, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები, ჩნდებიან იქ, სადაც ჩამოიშალა სახელმწიფო მმართველობა ანდა შექმნილია მძიმე სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება. ასეთ ქვეყნებს დღესდღეობით წარმოადგენს ლიბია და იემენი.

რაც შეეხება ლიბიას, მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. „ისლამური სახელმწიფოს“ პირველი წარმომადგენლები 2014 წელს გამოჩნდნენ. მათ მოახერხეს მოლაპარაკება ადგილობრივ ისლამისტებთან, რომ შეეფიცათ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადისთვის და ლიბია ვილაიეთებად გაიყვეს.

2015 წლის დასაწყისში „ისლამური სახელმწიფოს“ ერთგულება შეფიცეს ისლამისტებმა ქალაქ სირტადან: იგეგმებოდა, რომ სახალიფოს განვრცობა მოხდებოდა ჩრდილოეთ აფრიკაში. 2016 წელს აშშ-ის დახმარებით ჯიჰადისტები სირტადან განდევნეს. თუმცა იატაკქვეშეთში მყოფი რადიკალები არსად წასულან.

დღესდღეობით ქვეყანაში ორი ხელისუფლებაა. ერთმანეთში იბრძვის საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ტრიპოლიში არსებული „ნაციონალური ერთობის ხელისუფლება“ და ტობრუკში არსებული ლიბიის წარმომადგენელთა პალატა. მუდმივმა ტერაქტებმა ქვეყანა უსაფრთხოება და სტაბილურობა შეასუსტა მაგ., ტრიპოლის აეროპორტზე თავდასხმის შედეგად დაახლოებით 20 ადამიაი დაიღუპა.[1] ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში ლიბია „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ძალიან მიმზიდველად გამოიყურება.

კიდევ ერთი ქვეყანა სადაც წინააღმდეგობები არსებობს - იემენია. ჰუსიტებსა (შიიტი აჯანყებულები) და ფორმალურ მთავრობას შორის, რომელსაც საუდის არაბეთი უჭერს მხარს, ბრძოლა 2015 წლიდან გრძელდება. ამ ვითარებაში გაძლიერდა სუნიტური ტერორისტული დაჯგუფება „ალ-კაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე“.

---

[1] https://www.segodnya.ua/world/wnews/v-rezultate-napadeniya-na-aeroport-v-livii-pogibli-20-chelovek-1105889.html
https://www.aljazeera.com/news/2018/09/libya-flights-diverted-rocket-attack-tripoli-airport 180912063849175.html
https://www.bbc.com/news/world-africa-45493299

არსებული ვითარების ფონზე ისლამისტებისთვის იემენი იდეალურ საბრძოლო ველს წარმოადგენს. თუმცა აღსანიშნავია, რომ „ისლამური სახელმწიფო“ და „ალ-კაიდა“ ერთმანეთს ემტერება.

რაც შეეხება შუა აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ისლამისტების საინფორმაციო წყაროებში საკმაოდ ხშირად ყურადღება ეთმობა ტაჯიკეთს. ადგილობრივი მუსლიმების ძირითად პრობლემას ხელისუფლებასთან ბრძოლა წარმოადგენს. ხელისუფლება შიშობს ძლიერ რადიკალიზაციას. ამიტომ მიმართავს მკაცრ ზომებს. დახურეს ასობით არალიცენზირებული სამლოცველო სახლი. სკოლებსა და სამსახურებში აკრძალეს ისლამური ტანსაცმლის ტარება. დახურეს მაღაზიები სადაც რელიგიური-ისლამური ტანისამოსი იყიდება და 18 წლის ქვემოთ აკრძალეს მეჩეთების ვიზიტი. ტაჯიკეთში სხვადასხვა ადგილებში მოქმედებენ აკრძალული „სალაფიტური“ ჯგუფები და მოძრაობა „ჰიზბ ალ-თაჰრირი“, სირიასა და ერაყში გადინებული რეკრუტების ძირითადი ნაწილი ამ დაჯგუფებების წევრებისგან შედგებოდა.

რესპუბლიკის დაქვემდებარებაში არსებულ რაიონებში რადიკალურმა მოძრაობებმა შეიძინეს მომხრეები ქალაქ ვაჰდათში, რუდაკისა და ნურაბადის რაიონებში. მთიანი ბადახშანის ავტონომიურ ოლქში ისლამში არსებული რადიკალურად განწყობილი ისლამისტების დიდი რაოდენობა ცხოვრობს ვანჩის რაიონში. მებრძოლები, რომლებიც წარმოშობით ამ რაიონიდან არიან, იბრძვიან არა მარტო სირიასა და ერაყში არამედ ავღანეთშიც.

ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს - ტაჯიკეთის მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის ყოფილი მეთაური გულმუროდ ხალიმოვი. იგი გაიქცა სირიაში, მოუწოდა თანამოქალაქეებს მიებაძათ მისთვის, მუსლიმებს მოეშვათ წვერი, ქალებს ეტარებინათ ჰიჯაბი და გახდა „ისლამური სახელმწიფოს“ „ომის მინისტრი“.

სიტუაციას ართულებდა ასევე ტაჯიკების უმეტესობის სიღატაკის ზღვარზე დაყენების რისკის შემცველი ეკონომიკური ზრდის შენელება, ასევე ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა - ტაჯიკეთი ესაზღვრება ავღანეთს და ჩინეთის სინცძიანს - უიღურების ავტონომიურ რაიონს, ეს უკანასკნელი კი ცნობილია თავისი ისლამისტური იატაკქვეშეთით.

რაც შეეხება კავკასიიდან წასულ მებრძოლებს, დაღესტანის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდურაშიდ მაგომედოვმა განაცხადა, რომ რეგიონის 1200 მაცხოვრებელი მონაწილეობს რუსეთის ფარგლებს გარეთ არსებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მხარეს. კონკრეტულად ასეთი სურათია დაღესტანში 2016 წელს სამართალდამცავებმა შეძლეს აღეკვეთათ დაღესტანის 38 მაცხოვრებლის გასვლა სირიაში. ხოლო უკან დაბრუნებულების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს.

ინგუშეთის პრეზიდენტის იუნუს ევკუროვის განაცხადების თანახმად, მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა 5 ყოფილი ბოევიკი, რომლებიც იბრძოდნენ სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმსიფოს“ მხარეს. ევკუროვის სიტყვებით ზუსტი მონაცემები არსებობს „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლი 67 ინგუში ბოევიკის შესახებ (დაუდასტურებული ინფორმაციით მათი რაოდენობა 120).

ყაბარდო-ბალყარეთში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის იგორ რომაშკინის განცხადებით დაბრუნდა 23 ბოევიკი. რომელთაგან 5 მათგანი გასამართლდა, 4 გაანადგურეს სპეცოპერაციის დროს. რაღაც რაოდენობა მიიმალა, ხოლო რამდენიმემ მიმართა მშვიდობიან ცხოვრებასთან ადაპტაციის კომისიას. რესპუბლიკის მეთაურის იური კოკოვის განცხადებით, სირიაში ისლამისტების მხარეს 175 ყაბარდო-ბალყარეთის მაცხოვრებელი იბრძვის.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის 16 მაცხოვრებელზე არის აღძრული საქმე, რომლებიც სირიაში გადავიდნენ. ადიღეიდან 22 რეკრუტზე მოიპოვება ცნობა, ჩრდილო ოსეთიდან ზუსტი ცნობები არ არის.

მთლიანად ქვეყნის მასშტაბით რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადების თანახმად სირიაში ამბოხებულების მხარეს 4 ათასი რუსეთში მაცხოვრები იბრძვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი რეგიონებიდან (ჩრდილო კავკასია, ტაჯიკეთი, ლიბია, იემენი) რომელიმეს ლიდერობა „ისლამური სახელმწიფოს“ ბრძოლისუნარიაობის გამყარებაში არ იკვეთება, მაგრამ არ არის გამორიცხული სერიოზული საფრთხეების მოლოდინი ამ რეგიონებსა და მეზობელ ქვეყნებშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-putin-erdogan-hope/russia-and-turkey-agree-to-create-buffer-zone-in-syrias-idlib-idUSKCN1LX1BU
2) https://www.bbc.com/news/world-middle-east-45554188
3) https://www.wilsoncenter.org/article/libyas-islamists-who-they-are-and-what-they-want
4) https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/islamism-in-libya
5) https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/africaandindianocean/libya/11053501/Libya-Islamist-militias-seize-Tripoli-airport.html
6) https://www.rferl.org/a/tajikistan-islam-destabilization-rahmon-secular-/27400692.html
7) https://web.archive.org/web/20151117025520/http://gulfnews.com/news/asia/tajikistan-moves-to-ban-youth-from-mosques-churches-1.841300
8) https://www.bbc.com/news/world-asia-35372754
9) https://www.rferl.org/a/tajikistan-crackdown-helping-islamic-state-recruiting/27333859.html
10) https://www.kavkazr.com/a/kuda-poedut-kavkazskie-boeviki/28542501.html

მირანდა ბაშელეიშვილი

კასპიის ზღვის სამიტი და ირანის ინტერესები

2018 წლის 12 აგვისტოს ყაზახეთში კასპიის ზღვისპირა ქვეყნების სამიტი გაიმართა. რუსეთის, ირანის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის პირველმა პირებმა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს და შეთანხმებაც გააფორმეს. კასპიის ზღვა 1729 წლის რაშთის ხელშეკრულებით ირანსა და რუსეთის იმპერიას შორის იყო გაყოფილი, ხოლო შემდეგ 1918 წლის შეთანხმებით ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის. XX საუკუნის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კასპიის ზღვის გაყოფა ისევ დადგა დღის წესრიგში და კიდევ უფრო გართულდა, რადგან ამჟამად ეს საკითხი რამდენიმე სანაპირო ქვეყანას შორის არის გასარკვევი.

კასპიის ზღვა და მონაპირე ქვეყნები

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისთვის 1996 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სანაპირო ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით და გარკვეულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევას ორ ათეულ წელზე მეტი დაჭირდა. ამ მხრივ ყაზახეთში ჩატარებული სამიტი საერთაშორისო პრესაში „დიპლომატიურ გარღვევად“ შეფასდა, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს და კასპიის ზღვას „სპეციალური სამართლებრივი სტატუსი“ მიანიჭეს. კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ გაფორმებული კონვენციით მხარეები ძირითადად შემდეგ საკითხებზე შეთანხმდნენ:

- მხოლოდ სანაპირო ქვეყნებს გააჩნიათ სუვერენული უფლება კასპიის ზღვასა და მისი ბუნებრივი რესურსების ფლობაზე;

- კონვენცია განსაზღვრავს და არეგულირებს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს კასპიის ზღვის წყლების, ფსკერის, წიაღისეულის, ბუნებრივი რესურსების და ზღვის საჰაერო სივრცის გამოყენების შესახებ;
- მხარეებმა უნდა გამოიყენონ კასპიის ზღვა მშვიდობიანი მიზნებისთვის და მასთან დაკავშირებული საკითხები მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყვიტონ;
- სანაპირო ქვეყნებმა უნდა შეძლონ შეიარაღებული სტაბილური ბალანსის უზრუნველყოფა, სამხედრო შესაძლებლობების ყველა მხარის გონივრული ინტერესების შესაბამისად და ერთმანეთის უსაფრთხოების შეზღუდვის გარეშე განვითარება;
- დაუშვებელია უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყოფნა კასპიის ზღვაზე;
- ასევე დაუშვებელია სანაპირო ქვეყნების მიერ სხვა ქვეყნისთვის საკუთარი ტერიტორიის გამოყენება, რომელიმე სანაპირო ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის განსახორციელებლად;
- კასპიის ზღვის გარემოს დაცვა, მისი ბიოლოგიური რესურსების აღდგენა და რაციონალური დაცვა სანაპირო ქვეყნების მოვალეობაა;
- კასპიის ზღვა იყოფა ტერიტორიულ წყლებად, შიდა წყლებად, თევზჭერის ზონად და საერთო საზღვაო სივრცედ;
- თითოეული მხარის სუვერენობა ვრცელდება საკუთარი სახმელეთო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიულ წყლებზე, ამავე ტერიტორიის ზღვის ფსკერზე, ბუნებრივი რესურსებსა და საჰაერო სივრცეზე;
- მხარეებმა შესაძლოა გაიყვანონ მაგისტრალური მილსადენები კასპიის ზღვის ფსკერზე, გარემოს სტანდარტების დაცვით, საერთაშორისო პროტოკოლის გათვალისწინებით და მოსაზღვრე მხარესთან შეთანხმებით;
- მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან და შეინარჩუნონ კასპიის ზღვის ეკოლოგიური სისტემა; ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დააზიანებს კასპიის ზღვის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, იკრძალება;
- კასპიის ზღვის სანაპირო ქვეყნების თანამშრომლობა რომელიმე სახელმწიფოსთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან უნდა განხორციელდეს კონვენციის ფარგლებში;
- მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ტერორიზმის დაფინანსების, იარაღისა და ნარკოტიკის ტრაფიკის წინააღმდეგ;
- კონვენციის დებულებების შეცვლა ან შევსება შესაძლებელია ყველა მხარის შეთანხმებით;
- კონვენციის ეფექტიანად რეალიზაციისთვის, მხარეები საგარეო საქმეთა სამინისტროების ეგიდით, წელიწადში ერთხელ, გამართავენ კონსულტაციებს როტაციის პრინციპით;
- კონვეცია გაფორმდა განუსაზღვრელი ვადით.

რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კასპიის ზღვასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების გადაწყვეტამ ან მოუგვარებლობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე. სამიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ირანისთვის, რომელიც აშშ-ს მხრიდან სანქციების განახლების შემდეგ, კვლავ ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ირანი წლების განმავლობაში მხარს უჭერდა, კასპიის ზღვისთვის ტბის სტატუსის მინიჭებას, რაც რეგიონის ბუნებრივი რესურსების სანაპირო ქვეყნებს შორის თანაბრად გაყოფას გამოიწვევდა. ბოლო სამიტის ფარგლებში მიღებული შეთანხმებით, ნათელი გახდა, რომ ირანის აღნიშნულ იდეას არცერთმა სანაპირო ქვეყანამ მხარი არ დაუჭირა. [1]ახალი შეთანხმების მიხედვით, კი ირანს, რომელიც კასპიის

[1] კასპიის ზღვისთვის ზღვის სტატუსის ოფიციალურად მინიჭების შემთხვევაში მასზე ვრცელდება გაერო-ს კონვენცია -კანონი ზღვების შესახებ, რომლის მიხედვითაც რეგიონის ბუნებრივი რესურსების გამოყენება მხოლოდ სანაპირო ქვეყნების მიერ არ არის შეზღუდული. კასპიის ზღვისთვის ტბის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ის უნდა გაყოფილიყო თანაბრად მხოლოდ სანაპირო ქვეყნებს შორის.

ზღვის ყველაზე მცირე სანაპიროს - 13% ფლობს, რეგიონის ბუნებრივი რესურსების მცირე ნაწილი ერგება. არსებული მონაცემებით, კასპიის ზღვაში 48 მილიარდი ბარელი ნავთობის და 8.7 ტრილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მარაგია. ჰასან რუჰანის მიერ კასპიის ზღვის სამიტზე მიღებულ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, სოციალურ მედიაში ირანის ხელისუფლება კასპიის ზღვის რუსეთისთვის მიყიდვაში დაადანაშაულეს. თავის მხრივ, სამიტის ფარგლებში ირანის წარმომადგენლები ერთ-ერთ მთავარ მიღწევად კასპიის ზღვაზე უცხო ქვეყნების სამხედრო ძალების შემოსვლის პრევენციას მიიჩნევდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გავრცელებული ინფორმაციით, მიღებული დოკუმენტის გარდა, მოსაზღვრე ქვეყნები უნდა შეთანხმდნენ ცალკე ზღვის ფსკერის გაყოფასა და რესურსების გამოყენების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ კასპიის ზღვისპირა ქვეყნებმა ყაზახეთში ხელი მოაწერეს კონვენციას, რომელშიც ძირითადი საკითხები აისახა, ეს დოკუმენტი კასპიის რეგიონთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას ნაკლებად შეუწყობს ხელს. დიდი ალბათობით, ზღვისპირა ქვეყნებს შორის უთანხმოება კვლავ წარმოიშვება განსაკუთრებით რეგიონის ენერგორესურსების მოპოვება-გამოყენების პროცესში. თავის მხრივ, ირანი შეეცდება ორმხრივი დოკუმენტების შემუშავებისას, საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები უზრუნველყოს, ნებისმიერი შეუთანხმებლობა კი კვლავ შეაფერხებს კასპიის ზღვის ენერგორესურსების გამოყენებას, როგორც რეგიონის, ასევე რეგიონსგარეთა ქვეყნების მიერ.

გამოყენებული წყაროები:

1. https://www.bbc.com/news/world-45162282
2. https://www.newsweek.com/caspian-sea-dispute-everything-know-about-landmark-deal-between-russia-iran-1071033
3. https://www.theguardian.com/world/2018/aug/12/landmark-caspian-sea-deal-signed-among-five-coastal-nations
4. http://en.kremlin.ru/supplement/5328
5. https://www.newsweek.com/caspian-sea-dispute-everything-know-about-landmark-deal-between-russia-iran-1071033
6. https://worldview.stratfor.com/article/what-does-new-caspian-sea-agreement-mean-energy-market
7. http://rusmission.org/4/1/1426
8. https://www.rferl.org/a/qishloq-ovozi-landmark-caspian-agreement--and-what-it-resolves/29424824.html
9. https://www.voanews.com/a/caspian-sea-countries-sign-landmark-deal/4524915.html
10. https://www.rferl.org/a/russia-iran-azerbaijan-kazakhstan-turkmenistan-caspian-sea-summit/29428300.html

თინათინ კუპატაძე

კიბერფემინიზმი ირანში

„ქალების ძალა მათი ამბებია.
ისინი თეორიები არაა, რეალური ცხოვრებაა,
რაც შეგვიძლია სოციალური ქსელის საშუალებით გავაზიაროთ.“

ქალთა ემანსიპაცია თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სენსიტიურ პრობლემას წარმოადგენს. ამ საკითხის პრობლემურობა განსაკუთრებით თვალშისაცემი და საგრძნობი მუსლიმურ სამყაროშია, სადაც ქალთა ბრძოლა საკუთარი უფლებებისა და იდენტობის განსაზღვრისათვის სხვადასხვა სპეციფიკით და თავისებურებით გამოირჩევა. ამ კუთხით საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკა, სადაც ქალთა მოძრაობის ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის და თანამედროვე, გლობალურ, ეპოქაში ამ მოძრაობის კიდევ უფრო მარავალფეროვან მიმართულებებს გვთავაზობს.

როდესაც ირანში ქალთა მოძრაობასა და ფემინიზმზე ვსაუბრობთ, შეგვიძლია პირობითად ფემინისტური მიმდინარეობის რამდენიმე ტიპი გამოვყოთ: ქალთა პრესა, ფემინისტური ლიტერატურა, ფემინისტური კინო, კიბერფემინიზმი. ყველა ეს ორიენტირებულია იმ მწვავე პრობლემის გარშემო, რასაც ისლამურ რესპუბლიკაში ქალის უფლებების დაცვა, ქალის როლის წინ წამოწევა და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხებისა თუ პრობლემების გაშუქება ჰქვია.

თანამედროვე ირანელი ქალები „ინფორმაციულ საუკუნეში“ (კასტელსი) სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდმა განვითარებამ ფართო ასპარეზი გახსნა ქალი აქტივისტებისათვის როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალურ დონეზე. ეს არის ეპოქა, სადაც მათ თანამედროვე ტექნოლოგიების ზეგავლენით ტრადიციისა და თანამედროვეობის, მოდერნულობის, სინთეზის საშუალებით შეუძლიათ შექმნან სრულიად ახალი იდენტობა, რომელიც თავისუფლად გააპროტესტებს რელიგიურ დოგმებს და იბრძოლებს ქალთა უფლებების გასაუმჯობესებლად.

ფემინიზმი, როგორც მასობრივი მოძრაობის ფენომენი, მე-19 საუკუნეში ყალიბდება და საწყის ეტაპებზე მისი მთავარი მოთხოვნა ქალებისათვის თანაბარი სამოქალაქო და არჩევნებში მონაწილეობის უფლებების მოპოვება გახლდათ [1]. დღესდღეობით კი ის სხვადასხვა თეორიების, იდეოლოგიებისა და სოციალური მოძრაობების ერთობას წარმოადგენს, რომელთა მიზანიც ქალთა მდგომარეობისა თუ გამოცდილებების აღწერა და ანალიზი, ქალის პერსპექტივისა და ავტორიტეტის წინ წამოწევა და ქალთათვის თანასწორი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული უფლებების მოპოვებაა [2].

21-ე საუკუნეში ინტერნეტი და სოციალური სივრცე ერთგვარი ვირტუალური ორგანიზაციის ფორმას იძენს, რომელიც შემდგომ სხვადასხვა მიმართულების აქტივისტებს, მათ შორის ფემინისტებსაც, თავიანთი ლოზუნგებისა თუ გარკვეული პროპაგანდის გავრცელების საშუალებას აძლევს. სწორედ ინტერნეტისა და ქალთა აქტივობის სინთეზმა შექმნა კიბერფემინიზმის ცნება, რომელიც, როგორც მიმდინარეობა, 1990-იანი წლებიდან ყალიბდება.

ტერმინი **კიბერფემინიზმი** პირველად 1994 წელს სეიდი ფლანთის[1] მიერ იქნა გამოყენებული, რათა გამოეყო იმ აქტივისტების საქმიანობა, რომლებიც ცდილობდნენ კიბერსივრცის, ინტერნეტის,

[1] დიდი ბრიტანეთის ვარვიკის კიბერნეტიკული კულტურის განყოფილების დირექტორი.

ახალი მედიასაშუალებების თეორეტიზებას, კრიტიკას, ახალი, გენდერზე ორიენტირებული მიზნებისათვის გამოყენებას.

კიბერფემინიზმის განვითარების თვალსაზრისით ასევე უმნიშვნელოვანესი გახლდათ დონა ჰარავეის[2] ესსე, „მანიფესტი კიბორგებისათვის“, რომლის თანახმადაც ქალები საჭიროებდნენ ტექნოლოგიების სფეროში უკეთ გარკვევას. ამ სფეროს ისევე ათვისებას, როგორც მამაკაცების შემთხვევაში, რათა სხვადასხვა მასკულინური სტერეოტიპის მსხვრევა მომხდარიყო: რომ ტექნოლოგიები და კიბერსივრცე მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო შექმნილი, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ ამ სფეროს უკეთ განვითარება და ა.შ. აქედან მოყოლებული უკვე დაიწყო იმ ფენომენის განვითარება, რასაც კიბერფემინიზმი ჰქვია და დღესდღეობით უკვე პოპულარულ ფემინისტურ მიმდინარეობასა და ქალთა აქტივობის პლატფორმას წარმოადგენს.

სოციოლოგიის თანამედროვე მკვლევრები (Sherry Turkle) ფიქრობენ, რომ კიბერსივრცეს გააჩნია ემანსიპატორული პოტენციალი და შეუძლია ტრადიციული გენდერული როლების ხელახალი გააზრება და არსებული სტერეოტიპების დანგრევა, წარმოადგენს რა ინტერნეტი მასობრივი ინფრომაციის საშუალებას, რაც ზრდის საზოგადოების ცნობადობას სხვადასხვა თემასა თუ პრობლემაზე [3].

ქალთა ბრძოლამ და პროტესტმა საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაში კიდევ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო. დღეს სწორედ ინტერნეტ სივრცე წარმოადგენს იმ ადგილს, რომელიც უმოკლეს დროში და ფიზიკური გარჯის გარეშე გვთავაზობს საერთო სახალხო აზრის ჩამოყალიბებისა და მასობრივი მობილიზაციის შესაძლებლობას. „ფიზიკური სხეულის არყოფნას ელექტრონულ სივრცეში და მის ანონიმურობას აქვს განმათავისუფლებელი ეფექტი რეპრესირებულ სოციალურ იდენტობებზე... „ელექტრონული ტექნოლიგიები“ იარაღია თავისუფლად არჩეული იდენტობის დიზაინისთვის/შექმნისთვის...“ ის გახდა იარაღი საკუთარი თავისა და დისიდენტური სურვილებისა და იდეების ფიქსირებისათვის, რის გაკეთებაც მკაცრი თეოკრატიული რეჟიმების ქვეშ აქამდე წარმოუდგენელი ჩანდა [4].

ჰაბერმასის თანახმად, მასმედია, რომელიც ეფუძნება მასობრივი კომუნიკაციების ინსტიტუტს, წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას. ახლო აღმოსავლეთის რეგიონის განვითარებად ქვეყნებშიც სოციალური მედია მოსახლეობას საკუთარი თავის გამოხატვისა და დემოკრატიისთვის ბრძოლის საშუალებას აძლევს. სოციალური კამპანიის ყველა მონაწილე კი უნდა შეეცადოს უნივერსალური მოთხოვნების დაკმაყოფიილებას: დამაჯერებლად წარმოაჩინოს საკუთარი თავი, გასაგები გახადოს თავისი მოთხოვნა, მიაღწიოს ურთიერთგაგებას სხვებთან. ამის შემდეგ ინდივიდს, რომელიც რეალურად იწყებს რაიმე ქმედებას სოციალური მედიის საშულებით, შეუძლია უკვე სხვა სოციალურ აქტივობებზე გადასვლა [5]. ანუ ის ჯერ ახდენს იდეის გენერირებას, ხსნის მის საფუძველს და მიზანს და მომხრეებისა და მიმდევრების მოპოვების შემდგომ იწყებს ან ვირტუალურ ან რეალურ კამპანიას.

ინტერნეტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მასობრივი კომუნიკაციისა და საპროტესტო კამპანიების წარმოების საშულაბად 2009 წლიდან იქცა, რის ნათელ მაგალითსაც ირანის „მწვანე მოძრაობა“ (2009 წ.) და „არაბული გაზაფხული“ (2011 წ.) წარმოადგენს, რომლებიც მალევე მოინათლა “facebook” და “Twitter” რევოლუციებად.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ჩვენს ეპოქაში მასების მთავარი მანიპულატორი და სიმულაციის საშუალებაა. იმისთვის, რომ ადამიანმა შეიგრძნოს საკუთარი არსებობა, ის უნდა არსებობდეს ამ საკომუნიკაციო სივრცეში, ეკრანზე, ფეისბუქზე და ა.შ. (ჟან ბოდრიარი).

2009 წლიდან ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობა უპრეცენდენტოდ იზრდება და, შესაბამისად, ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პოლიტიკურ, კულტურულ თუ სოციალურ სფეროში არსებული სიახლეებისა თუ პრობლემების გლობალურ, კიბერსივრცეში განხილვას. გამონაკლისს არც ქალთა საკითხი წარმოადგენს.

[2] კალიფორნიის სანტა-კრუზის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენელი.

წელი	მომხმარებელი	მოსახლეობა	მოსახლ. %-ული მაჩვ.	მონაცემთა წყარო
2000	250,000	69,442,905	3.8 %	ITU
2002	5,500,000	69,442,905	7.5 %	ITU
2005	7,500,000	69,442,905	10.8 %	ITU
2008	23,000,000	65,875,223	34.9 %	ITU
2009	32,200,000	66,429,284	48.5 %	IWS
2010	33,200,000	76,923,300	43.2 %	IWS
2012	42,000,000	78,868,711	53.3 %	IWS
2015	46,800,000	81,824,270	57.2 %	IWS
2017	56,700,000	80,945,718	70.0 %	IWS
2018	56,700,000	82,011,735	69.1 %	IWS

[6]

მიუხედავად იმისა, რომ ირანში უმაღლესი სასწავლებლების დაახლოებით 70 %-ს ქალები შეადგენენ და ბევრ ისეთ სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, ინჟინერია, სამართალი და ა.შ. ახლა წამყვან პოზიციებსაც იკავებენ (განსხვავებით 1980-იანი წლებისგან), მათი უკმაყოფილება თავიანთი მდგომარეობის გამო მაინც დიდია. შესაბამისად, ირანელი ქალები ფარულად თუ ღიად ცდილობენ დააფიქსირონ საკუთარი აზრი და პროტესტი. ამ პროტესტის გამოხატვის უნიკალურ საშუალებას ბოლო 10 წელია ინტერნეტი წარმოადგენს.

ირანის უახლეს ისტორიაში 2000-იანი წლებიდან იდგმება პირველი ნაბიჯები იმ მიმდინარეობის ჩამოსაყალიბებლად, რასაც ახლა უკვე კიბერფემინიზმის ტერმინის ქვეშ მოიაზრებენ.

პირველი საიტი, რომელიც ქალების ცხოვრებას აშუქებდა და მეტ-ნაკლებად ცდილობდა, დღის შუქზე გამოეტანა ირანულ საზოგადოებაში ქალთა ხვედრი და პრობლემები, გახლდათ „ზანან-ე ირან“. ხოლო, 2002 წელს ირანში ფუნქციონირებას პირველი ფემინისტური პროფილის ინტერნეტ გვერდი იწყებს „თრიბუნ-ე ფემინისთი“-ს სახით, რომელსაც ქალთა კულტურული ცენტრი ჩაუდგა სათავეში და, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სეკულარული ფემინისტების მთავარ არტერიას წარმოადგენდა. მიუხედავად ქვეყნის რეფომატორული პოლიტიკისა, ვებ-საიტზე თავდასხმა ოთხჯერ განხორციელდა და საბოლოოდ კამპანიისა და კულტურული ცენტრის წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უნდა შეეცვალათ საიტის სათაური, რადგან სიტყვა „ფემინისტი“ უარყოფით ასოციაციებს იწვევდა ხელისუფლებასა თუ კლერიკალებში. საიტის აქივისტებმა შემდგომ ახალ გვერდზე გააგრძელეს მოღვაწეობა, რომლესაც „ზანესთან“ დაერქვა [8]. ვებ-გვერდების მთავარი რედაქტორი ფარვინ არდალანი გახლდათ, ირანელ ფემინისტებს შორის ერთ-ერთი აქტიური და გამოჩენილი ფიგურა, რომელიც ასევე ხელმძღვანელობდა „მილიონი ხელმოწერის“ კამპანიას.[3]

ქალთა კულტურული ცენტრის გარდა 2000-იანი წლების შუა ხანებში სხვა აქტივისტებიცა და არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვის პროპაგანდას სხვადასხვა ვებ-გვერდების მეშვეობით ეწეოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია: „მეიდან-ე ზანან“, „ქანუნ-ე ზანან-ე ირან“, “თაყიირ ბარაიე ბარაბარი“ (საიტებზე წვდომა შეზღულია ან გაუქმებულია).

[3] ირანელი ქალი აქტივისტების მიერ წამოწყებული კამპანია, რომლიც მიზნად ისახავდა დისკრიმინაციული კანონების გაუქმებისათვის ბრძოლას. კამპანია 2006 წელს წამოიწყეს.

დღეს მოქმედი საიტებიდან აღსანიშნავია: „მადრესეიე ფემინისთი“ (http://www.feministschool.com/) და „ბიდარზანი“ (http://bidarzani.com/17182), რომელთა მთავარი მიზანია რაც შეიძლება მძაფრად და მწვავედ წარმოაჩინოს ქალებთან დაკავშირებული პრობლემები სხვადასხვა სახის პოსტების, ინტერვიუების, ჩანახატებისა თუ სტატიების სახით.

არსებობს ასევე ირანის ფარგლებს გარეთ მოქმედი ფემინისტური საიტები: „შაბაქეიე ჰამბასთეგიე ზანან“ http://www.iran-women-solidarity.net/, „მა, ზანან“, http://mazanan.com/, „ფოლ-ჰაიი ბარაიე ზანან“ http://bridgesforwomen.org/, მაჩოლენდი http://macholand.org/.

და ბოლოს, „ჩემი ფარული თავისუფლება“, რომელიც ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ყველაზე მასშტაბური ფეისბუქ-კამპანიაა კიბერსივრცეში. ის ქვეყნის გარედან იმართება, თუმცა საკმაოდ ბევრი მომხრე და თანამონაწილე ჰყავს ქვეყნის შიგნითაც. სწორედ კიბერფემინიზმის ამ წამომადგენელს განვიხილავთ უფრო დეტალურად წინამდებარე სტატიაში.

რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა, თუ რატომ მაინცდამაინც ფეისბუქ კამპანია და არა სხვა საინფორმაციო საშუალება? მთელ მსოფლიოში და უკვე ირანშიც, facebook-ი იმ სოციალურ ქსელს წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ მოქნილ პლატფორმას ქმნის სხვადასხვა იდეის მიმდევრების გასაერთიანებლად. ირანელი ქალებისთვისაც facebook-ი ერთგვარი ბრძოლის ადგილად იქცა არა მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ სოციალური და კულტურული პრობლემების გასაპროტესტებლადაც.

კამპანია „ჩემი ფარული თავისუფლება“ 2014 წელს წამოიწყო ამერიკაში მცხოვრებმა ირანელმა ემიგრანტმა ჟურნალისტმა მასიჰ ალინეჟადმა. „ჩემი ფარული თავისუფლების“ ინტერნეტ გვერდზე ვკითხულობთ: „ირანში 1979 წლის რევოლუციის შემდგომ მიღებული კანონის თანახმად, ქალები ვალდებულნი არიან დაიფარონ თმა საზოგადოებრივ ადგილებში. ჩემი ფარული თავისუფლება ონლაინ სოციალური კამპანიაა, სადაც ქალებს შეუძლიათ გააზიარონ თავიანთი ფოტოები ჰიჯაბის გარეშე.”

ის ფაქტი, რომ კამპანიის მთავარ ლოზუნგად ალინეჟადმა ჰიჯაბის იძულებითი ტარების წინააღმდეგ ბრძოლა აირჩია, ვფიქრობთ, განაპირობა ზოგადად ამ საკითხის მიმართ ირანელი მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ახალგზარდა ნაწილის, სენსიტიურობამ. ისტორიულად ჰიჯაბის თემა ყოველთვის აქტუალური იყო ირანში და მისი ტარების აკრძალვისა თუ ძალდატანების კანონები უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ქალებზე. სწორედ მოსახლეობის გულისტკივილის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ იდეის ავტორის პირველი პოსტი ფეისბუქ გვერდზე, სადაც მან განათავსა საკუთარი სურათი როგორც ჰიჯაბით, ისე მის გარეშე და ხაზი გაუსვა თავის მოთხოვნას ჰიჯაბის ნებაყოფლობითი ტარების შესახებ. იმავე ქმედებისაკენ მოუწოდა თავის მომხრეებსა და მომავალ მიმდევრებს: „სოციალური მედია ახლა ქალებს აძლევს ტრიბუნას, ძალას, იპოვონ ერთმანეთი, მიხვდნენ, რომ მარტო არ არიან ამ ბრძოლაში. სოციალური მედია მათ ეხმარება გაძლიერებაში“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ალინეჟადმა [9]. კამპანიას დაწყების დღიდან უამრავი მომხრე და მონაწილე გამოუჩნდა და დღეს მას ფეისბუქზე უკვე 1,045,235, ტვიტერზე - 60,000 (2018 წლის იანვრიდან), ხოლო ინსტაგრამზე 1,800,000 მიმდევარი ჰყავს.

ერთი შეხედვით, უწყინარი კამპანია, რომელიც მხოლოდ ჰიჯაბის ნებაყოფლობით ტარებას ითხოვს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ბევრ მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხს ეხება და თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოს წარმოადგენს:

„ფარული თავისუფლება უფრო მეტად სასიამოვნოა, როდესაც იზრდები რელიგიურ ოჯახში, რომელიც შენს არჩევანს პატივს სცემს, მაგრამ ის [თავისუფლება] კიდევ უფრო მეტად ტკბილია, როდესაც შენი საკუთარი მამა გადაწყვეტს, რომ გადაგიღოს შენი ფარული თავისუფლების ამსახველი ფოტო სპარსეთის ყურის ნაპირზე, თავისი საკუთარი კამერით და [ისიც] ბედნიერი იქნება, როდესაც შენ ამას შენი ქვეყნის სხვა ქალებს გაუზიარებ. იმედი მაქვს, რომ დადგება დღე, როდესაც ჩვენ ერთად ვიზეიმებთ თავისუფლებას“ [10].

ცხადია, რომ პოსტის ავტორი მხოლოდ ჰიჯაბის იძულებითი ტარების კანონისგან გათავისუფლებას არ ელის, არამედ დროს, როდესაც ქალისა და მამაკაცის უფლებები რაღაც დონეზე ერთმანეთის თანაბარი იქნება იმდენად, რომ ქალს საკუთარი არჩევანის საფუძველზე შეეძლოს ცხოვრება, მოგზაურობა, გათხოვება, განათლების მიღება.

“თავისუფლება და თანასწორობა ჩემი უფლებებია. რატომ უნდა მეპყრობოდნენ როგორც მეორე რიგის (კლასის) მოქალაქეს? რატომ უნდა მჭირდებოდეს ჩემი ქმრის ნებართვა პასპორტის მისაღებად? რატომ აძლევს ქმარს კანონი უფლებას, რომ აუკრძალოს ცოლს მოგზაურობა სადაც უნდა? რატომ არ მიიჩნევა ქალზე ძალადობა ჩემს ქვეყანაში სერიოზულ საკითხად? რატომ მეკუთვნის მემკვიდეობის ნახევარი ძმისგან განსხვავებით? მე ვაპროტესტებ არა მხოლოდ იძულებით ჰიჯაბს, არამედ ყველა დისკრიმინაციულ კანონს, რომელიც ჩემს ღირსებას უარყოფს. მე თავისუფალი პიროვნება ვარ და არ დავუშვებ, რომ ჩემი უფლებები უარყონ რელიგიის სახელით” [11].

2014 წლიდან მოყოლებული ბევრი საინტერესო და ზოგჯერ პროვოკაციული კამპანია განხორციელდა “ჩემი ფარული თავისუფლების” ფარგლებში, ტრანსფორმაცია განიცადა ქალების ფოტოებმაც. თუკი თავდაპირველად ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ ანონიმურად დარჩენას და მხოლოდ სახის ბუნდოვანი გამოსახულებით ან შორი კადრით იღებდნენ სურათს თავსაფრის გარეშე, ახლა უკვე ყველანაირი შეფარვის გარეშე აქვეყნებენ საკუთარ ფოტოებს, ვიდეოებსა თუ პოსტებს. პოსტები უმეტესად ე.წ. „ჰეშთეგ“ სიმბოლოთი ქვეყნდება, რის გარეშეც დღევანდელი ვირტუალური და სოციალური სივრცე თითქმის წარმოუდგენელია, მითუმეტეს, როდესაც საქმე კამპანიას ეხება.

თავდაპირველად “ჰეშთეგი” გამოყენებული იქნა 2007 წელს სოციალურ ქსელ ტვიტერში კონკრეტული საკითხისადმი ხალხის მასების გაერთიანებისა და ყურადღების მისაპყრობად. ის არის სიმბოლო, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა იდეის, საკითხის, პრობლემის გარშემო ინტერნეტ მომხმარებელსა და კონკრეტული საკითხით დაინტერესებულ პირებს და მოვლენის, ფაქტის თუ კამპანიის გარშემო მათი ყურადღების კონცენტრირებას ახდენს. ე.წ. “ჰეშთეგი” დღეს კიბერ-ფემინისტებისათვის საკმაოდ მოქნილ იარაღს წარმოადგენს საკუთარი იდეების გენერირებისთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტული სიმბოლოთი საკითხების პროპაგანდა მუდმივი არაა, ერთს ყოველთვის მეორე ანაცვლებს, მაგრამ შედეგი უმეტესად დადებითია, რაც დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ორგანიზატორის მოქნილობასა და გამჭრიახობაზე, რამდენად სწორად გათვლის კონკრეტული იდეის პროპაგანდას. დასავლეთის შემთხვევაში ასეთი იყო, მაგალითად, #yesallwomen, #bringbackourgirls, #metoo და ა.შ.

“ჩემი ფარული თავისუფლება” ე.წ. “ჰეშთეგიანი” პროპაგანდის რამდენიმე ტალღას მოიცავს. ნებისმიერ პოსტს, ფოტოს ან ვიდეოს, რომელიც იდება კამპანიის მხარდამჭერთა მიერ სოციალურ ქსელში, თან ერთვის აუცილებლად კამპანიის ძირითადი სახელწოდება ფორმით:#mystealthyfreedom #آزادییواشکیمن ხოლო შემდეგ - უკვე ის კონკრეტული პროტესტი, რომელიც დროის კონკრეტულ მონაკვეთშია აქტუალური. ერთ-ერთი პირველი ასეთი გახლდათ #myforbiddensong - (ჩემი ხმა, ჩემი უფლებაა) #صدایمنحقمن, რომელიც მიზნად ისახავდა მუსიკალურ სფეროში ქალებისათვის დაწესებული შეზღუდვების მოხსნის მოთხოვნას. თუმცა ამ კამპანიამ, ვინაიდან “ჩემი ფარული თავისუფლების” წამოწყებიდან მალევე იქნა გაშვებული ინტერნეტსივრცეში, დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა. ხელისუფლებისთვისაც საკმარისი აღმოჩნდა ქალების მხრიდან ნაკლები აქტიურობის ფაქტი, რომ დაეგმო მისთვის მიუღებელი სოციალური მოძრაობა: “ფარულმა თავისუფლებამ მარცხი წელში გამართვამდე განიცადა. არავინ აგზავნის საკუთარი სიმღერის ამსახველ ვიდეოებს. სავარაუდოდ, ის ფოტოებიც, რომლებიც გადაღებულია იძულებითი ჰიჯაბის გასაპროტესტებლად, ყალბია...“ რის საპასუხოდაც ამავე კამპანიის ბლოგზე ვკითხულობთ: „პროტესტის გამოსახატავად საელჩოს კედლებზე ასვლა არაა საჭირო“ [12].

#MenInHijab #مردان-باحجاب „ჩემი ფარული თავისუფლების“ კამპანიის დაწყებიდან ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული „ჰეშთეგ“ ტალღა გახლდათ საერთაშორისო მასშტაბით. მისი მიზანი იყო მამაკაცების სოლიდარობის დაფიქსირება, მხარდაჭერა გამოეცხადებინათ ქალებისათვის და გაეზიარებინათ ზოგისთვის ის „უსიამოვნო“ შეგრძნება, რასაც ჰიჯაბის ტარების იძულებითი ფორმა იწვევს. აქციის განმავლობაში ირანელი მუსლიმი მამაკაცები ფოტოებს იღებდნენ თავსაფრით და აქვეყნებდნენ სხვადასხვა სოციალურ ქსელში, როგორც „ჩემი ფარული თავისუფლების“ გვერდზე, ისე დამოუკიდებლადაც.

„ვიმედოვნებთ, რომ ერთ დღეს ყველა ოჯახში ყველას ინდივიდუალური თავისუფლება დაფასდება. არ გვჯერა, რომ ოჯახის ღირსება ვინმეს იძულებაში გამოიხატება, ჰიჯაბი ატაროს...“ [13].

#IranianWomenLoveCycling - #من_عاشق_دوچرخه-ام - 2016 წლის სექტემბერში სულიერმა ლიდერმა ალი ხამენეიმ გამოსცა ფათვა, რომელიც ქალებს საზოგადოებრივ ადგილებსა და უცხო პირთა თანდასწრებით ველოსიპედის ტარებას უკრძალავდა.[4] ბუნებრივია, ფათვის გამოცემას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ქალების მხრიდან. არც მასიჰ ალინეჟადის კამპანია დარჩა ჩუმად. ჟურნალისტმა „ფარული თავისუფლების“ ფარგლებში მოუწოდა ქალებს, რომ გამოექვეყნებინათ თვიანთი ფოტოები ველოსიპედით და ამ ფორმით კიდევ ერთხელ გამოეცხადებინათ პროტესტი და დაუმორჩილებლობა ქვეყნის ხელისუფლებისა და ძალდატანებითი კანონების წინააღმდეგ: „ჩვენ არასოდეს შევიცვლით ცხოვრების სტილს ფათვის ან მორალის პოლიციის [სურვილის] მიხედვით“ [14].

#WhiteWednesdays 2017 წლის მაისში დაწყებული ე.წ. “ჰეშთეგ” ტალღაა, რომელიც უკვე კამპანიად იქცა და დღემდე არნახული რაოდენობით მონაწილის ჩართვა გამოიწვია. აღნიშნული “ჰეშთეგკამპანიის” დაანონსებიდან სულ ხუთიოდე კვირაში გამოქვეყნებული საპროტესტო ფოტო თუ ვიდეო მასალის რაოდენობა სამასს აღწევდა, ხოლო დღეს მისი რიცხვი რამდენიმე ათასია. კამპანია არც ისე მოკლევადიანი აღმოჩნდა, როგორც ეს, რეალურად, “ჰეშთეგ” ტალღების დროს ხდება ხოლმე. პირიქით, დღეს ის გავრცობილი სახითაა ჩვენ წინაშე. “თეთრი ოთხშაბათი” მალე გადაიზარდა უფრო რადიკალური და მწვავე პროტესტის ფორმაში, როდესაც ქალებმა არათუ თეთრი თავსაფრით გამოთქვეს პროტესტი ჩადრის იძულებითი ტარების კანონის წინააღმდეგ, არამედ თავსაფრის გარეშე დაიწყეს ვიდეოების ატვირთვა ქალაქის ცენტრიდან თუ სხვა ხალხმრავალი ადგილებიდან, სადაც ისინი საკუთარი თავის დემონსტრაციას ახდენდნენ მათთვის სასურველი ვიზუალითა და ფორმით. უთავსაფრო სურათებისა და ვიდეოების გამოქვეყნებას წინ საკმაოდ მწვავე მოვლენები უძღოდა. 2017 წლის მიწურულს, 27 დეკემბერს, მორიგ “თეთრ ოთხშაბათს” რევოლუციის ქუჩაზე, გამორჩეულ, შემაღლებულ ადგილზე, გამოჩნდა უთავსაფრო ახალგაზრდა გოგონა, ვიდა მოჰამადი, რომელიც ჯოხზე წამოცმული თეთრი თავსაფრის ფრიალით მდუმარედ აპროტესტებდა ჰიჯაბის ტარების იძულებით ფორმას. მოჰამადის პროტესტი ირანში გამართულ მასობრივ ანტი-სამთავრობო გამოსვლებს დაემთხვა და, შესაბამისად, მალვე მოხვდა საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში, თუმცა მას არანაირი პოლიტიკური საფუძველი ან კავშირი აღმიშნულ საპროტესტო გამოსვლებთან არ ჰქონია. ვიდა მოჰამადი პროტესტის ფორმის გამო დააპატიმრეს. მისი გაქრობის ფაქტმა გააქტიურა ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტები თუ აქტივისტები, რომელთაგანაც გამოვყოფთ Amnesty International-სა და ნასრინ სეთუდეს. სოციალური ქსელები ახალმა “ჰეშთეგკამპანიებმა“ მოიცვა- #where_is_she - #قیام_بهمن #ویداموا‌حد #تظاهرات_سراسری -რომელიც გასცდა “ჩემი ფარული თავისუფლების” ჩარჩოებს და უფრო გლობალური ხასიათი შეიძინა, რაც ამ საკითხის პოპულარიზაციისა და პიარისთვისაც საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა. 2018 წლის იანვარი და თებერვალი სოციალური ქსელებში ერთ-ერთ აქტიურ “ტრენდებს” #girlsofrevolutionstreet- #دختران_انقلاب #دختران_خیابان_انقلاب # წარმოადგენს,

[4] ფათვის გამოცემა მოჰყვა ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას - „სამშაბათი მანქანის გარეშე“. მანქანები, ბუნებრივია, ველოსიპედებით ჩანაცვლდა.

რომელიც მხოლოდ ვირტუალური პროპაგანდით არ შემოფარგლულა და ირანელი გოგოების და არამხოლოდ, მოკლევადიან მდუმარე აქციებში გადაიზარდა, რომელიც ვიდა მოჰამადის გამოსვლის იდენტური იყო. ახალგაზრდა აქტივისტების მცირეხნიანი გამოსვლები დაპატიმრებების სერიით დასრულდა. დააპატიმრეს 30-მდე გოგონა [15].

“ჩემი ფარული თავისუფლების” დღევანდელ მთავარ კამპანიად ისევ #WhiteWednesdays რჩება, რომელსაც შეემატა #MyCameraIsMyWeapon #دوربین_ما_اسلحه_ما. შინაარსიდანაც ვიგებთ, თუ რას წარმოადგენს აღნიშნული ტრენდი “ჩემი კამერა ჩემი იარაღია”. ნებისმიერი ადამიანის უფლებების შემლახველი ფაქტი, რაც ფიქსირდება უთავსაფრო ან ისლამური ნორმებისთვის შეუსამაბოდ ჩაცმული ქალების მიმართ ე.წ. „ბად ჰიჯაბის“ კამპანიის ფარგლებში, ტაბუირებულ თემებზე საუბრების ამსახველი კადრები ქალების კონსერვატორ ნაწილთან და ა.შ. ვიდეოს ფორმატში ჩაწერილი ქვეყნდება “ჩემი ფარული თავისუფების” გვერდების მეშვეობით [16].

პრეზიდენტ რუჰანის მმართველობის პერიოდი მის წინამორბედთან შედარებით, ერთი შეხედვით, უფრო რბილი და ლიბერალურია, თუმცა, ქალების სასარგებოლოდ ან მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ არანაირი კანონი ქვეყანაში არ ამოქმედებულა, არც მორალის პოლიციის წარმომადგენლები დასჯილან შეუფერებელი ქმედების გამო. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ 21-ე საუკუნის ირანელი ქალები, როდესაც მათ საინფორმაციო ტექნოლოგიები და სოციალური ქსელები აძლევს საშუალებას, გამოთქვან საკუთარი აზრი, პროტესტი „აკრძალული“ თემების, მათ მიმართ დაწესებული შეზღუდვების შესახებ, თუნდაც ანონიმურად, სრულიად ახალი იდენტობით და მიიპყრონ მთელი მსოფლიოს ყურადღება და მიიღონ მხარდაჭერა, მზარდი აქტიურობით განაგრძობენ იმ კამპანიებში მონაწილეობას, რაც მიმართულია მათი უფლებების დასაცავად. კიბერ სივრცე ყველას აძლევს აქტიურობის საშუალებას, ვინც მკაცრი რეჟიმის და შიშის ფაქტორის გამო ყოველთვის ფარდის უკან დგომას ამჯობინებდა. კიბერ სივრცის გამოყენებით, ქალებს შეუძლიათ რეალური თუ ანონიმური იდენტობით შექმნან ვირტუალური სოციუმი და იბრძოლონ კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის. მაგრამ, აქვე ჩნდება კითხვა, არის კი შესაძლებელი ირანში, სადაც დღეს დაბლოკილი ან გაფილტრულია ინტერნეტ-საიტების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი სოციალური ქსელები, ქვეყნის დასავლეთის ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით, რომ ე.წ. „ოფლაინ“ რეჟიმში მოხდეს ძალების მობილიზება და კონცენტრირება ერთი იდეის გარშემო, ანდაც ვირტუალური სოციუმის შექმნას, რომელიც საფუძველს ჩაუყრის სოციალურ მოძრაობას? ან რამდენად არის შესაძლებელი „ჩემი ფარული თავისუფლების“ კამპანია გახდეს საფუძველი მასშტაბური სოციალური მოძრაობის ჩამოყალიბებისა, რომელიც იბრძოლებს ქალთა უფლებებისთვის?

ის ფაქტი, რომ ინტერნეტის მეშვეობით სახეზე გვქონდა რევოლუციები „არაბული გაზაფხულის“ სახით, გვაძლევს საშულებას, თუნდაც ჰიპოთეზის დონეზე ვიფიქროთ, რომ გარკვეული პერიოდის შემდგომ გაცილებით დიდი იქნება ქალთა ჩართულობა ინტერნეტ მოძრაობაში, რომელიც კატალიზატორი მოვლენის არსებობის შემთხვევაში ფიზიკურ აქტივობასა

თუ დემონსტრაციაში გადაიზრდება, რაც აიძულებს ხელისუფლებას, გადახედოს კანონებს, რომლებიც ზღუდავს ქალის თავისუფალ არჩევანს.

დღევანდელი სურათის მიხედვით, მოსახლეობა ორ ნაწილადაა გაყოფილი. პესიმისტებად და ოპტიმისტებად:

„საპროტესტო გამოსვლები ჯერ კიდევ ცოტაა იმისათვის, რომ გამოიხატოს [საზოგადოების] უკმაყოფილება კონკრეტული ისლამური ნორმებისადმი, ის უფრო პიროვნული უკმაყოფილების გამოხატულებაა, რამაც, საეჭვოა, მიაღწიოს განვითარების მწვერვალს.“ მაგრამ არსებობს საპირისპირო აზრიც (რომელსაც უფრო განათლებული და ზედა და საშუალო ფენის წარმომადგენლები იზიარებენ): „ვფიქრობ, რომ ამ პროტესტს [საუბარია 2018 წლის თებერვლის გამოსვლებზე] კიდევ მეტი გამოხმაურება ექნება. ცხადია, რომ ქალების გარკვეულ ნაწილს სურს, ჩაიცვას ის, რაც მას სურს“. [17]

ისლამური ტანისამოსის გაპროტესტება ერთგვარი სიმბოლოა პიროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისთვის. შესაძლოა, ირანელ ქალებს სახლში, ქვეყნის გარეთ ეს პიროვნული თავისუფლება სულ არ აქვთ შეზღუდული, მაგრამ მათი მთავრი მიზანი მისი კანონიერი გზით მიღებაა.

გამოყენებული წყაროები:

1. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1146 ; ჯავახიშვილი ნინო, ფემინიზმის მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა [გენდერული პრობლემატიკა საქართველოში], – ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი,– თბ.,– 2002
2. www.dictionary.css.ge
3. Journal of Social Science Studies ISSN 2329-9150 2015, Vol. 2, No. 1; http://jsss.macrothink.org 226
4. Fereshteh Nouraie-Simone. “Wings of Freedom: Iranian Women, Identity and Cyberspace.” *On Shifting Ground: Muslim Women in the Global Era*. Ed. Fereshteh Nouraie-Simone, p. 61, New York : Feminist Press, 2005
5. https://www.emeraldinsight.com/doi/full/10.1108/09593841311307123#_i8
6. https://www.internetworldstats.com/me/ir.htm
7. http://iftribune.es/ 10.10.18
8. http://zanestan.es/ 10.10.18
9. https://www.france24.com/en/20180209-51percent-iran-women-remove-veils-protest-masih-alinejad-future-dads-preparation-classes
10. http://mystealthyfreedom.net/fa/campaigns/items/3301/ 11.10.18
11. http://mystealthyfreedom.net/fa/campaigns/items/3301/ 11.10.18
12. http://mystealthyfreedom.net/fa/campaigns/items/2352/
13. https://www.facebook.com/StealthyFreedom/photos/a.858877157459713/1457138630966893/?type=3&theater
14. https://twitter.com/search?q=%23IranianWomenLoveCycling%20&src=typd&lang=en;
15. https://www.radiofarda.com/a/f4_girl_enqelab_street_campign_antiveil_iran/29005511.html
16. https://twitter.com/AlinejadMasih/status/1051557630186020869;
17. https://www.nytimes.com/2018/01/29/world/middleeast/head-scarf-protests-iran-women.html

თინათინ კუპატაძე

ქალთა სახე ირანულ კინოში თუ ფემინისტური კინო?

ირანული კინოს ახალი ტალღა, რომელიც სათავეს 1969 წლიდან იღებს, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, განვითარების პიკს 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდგომ აღწევს. პარადოქსულია ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩნდებიან ირანში ქალი რეჟისორები და სწორედ ამ პერიოდიდან იწყება აქტიურად იმ ფილმების გადაღება, რომლებიც, ერთი შეხედვით, სოციალურ თემატიკას მოიცავენ, მაგრამ სიღრმისეული ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მნიშვნელოვანწილად ქალთა თემატიკასა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

კინემატოგრაფიამ დიდი როლი შეასრულა ირანული საზოგადოების მენტალობის ტრანსფორმაციაში. ქალთა უფლებები, საზოგადოებაში მათი ადგილის განსაზღვრა და სტატუსი, რომელიც ასე მწვავედ დგას ირანში ისლამური რევოლუციის შემდგომ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემატიკად იქცა ჯერ მამაკაცი, ხოლო შემდგომ ქალი რეჟისორების შემოქმედებაში.

ჰამიდ ნაფისი პოსტრევოლუციურ კინოს ორ ნაწილად ჰყოფს: 1-ლი - პოპულისტური კინო, რომელიც ემსახურება სახელმწიფო იდეოლოგიის პროპაგანდას და მე-2 - ხარისხიანი კინო, რომელიც გვაჩვენებს ადამიანის გრძნობებს, საზოგადოების პრობლემებს, სოციალურ მდგომარეობას ქვეყანაში ისლამური მმართველობის პირობებში. ქალთა სახეების მიხედვით კი ნაფისი სამ ძირითად ფაზას წარმოგვიდგენს: 1-ლი ფაზა მოიცავს ადრეულ 1980-იან წლებს, რომელსაც, შესაძლოა, ქალთა სტრუქტურირებული არყოფნის ფაზაც დავარქვათ, რადგან უცხოური თუ უკვე არსებული ფილმებიდან ხდებოდა ყველა იმ კადრის ამოჭრა, რომელიც წარმოაჩენდა ქალს თავსაფრის გარეშე. ასევე ხდებოდა არასასურველი ნაწილების მარკირება. მოხდა ქალის თითქმის სრული გაქრობა ეკრანიდან. რევოლუციის შემდგომ არსებული ირანული ფილმები გულდასმით შემოწმდა და უმეტესობა მათგანის ჩვენება აიკრძალა (მაგალითად 2208 ადგილობრივი ფილმიდან მხოლოდ 252-მა მოიპოვა ჩვენების უფლება). [1] ბევრ მსახიობს აეკრძალა მოღვაწეობა. მათი შერჩევა სპეციალური კრიტერიუმების - ხმის ტემბრის, სხეულის ფორმების და ა.შ. - მიხედვით ხდებოდა. 1980-იანი წლების დასაწყისი, ფაქტობრივად, იყო შავი ლაქა ირანულ კინემატოგრაფიაში არა მხოლოდ ზოგადი ცენზურის, არამედ ქალების მიმართ წარმოებული დისკრიმინაციული სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისითაც.

მეორე ფაზა მოიცავს 1980-იანი წლების შუა ხანებს. აქ ქალები ჩნდებიან ფილმებში, მაგრამ ძირითადი კადრებისა და სცენების უკანა ფონზე. ამ ეტაპის ფილმებში ქალებს საგნობრივი დატვირთვა უფრო ჰქონდათ, ვიდრე მოქმედი ან აქტიური პერსონაჟებისა. დაწესებული იყო ქალის მოქცევა-მოძრაობის თუ ჩაცმის წესები. ის უნდა ყოფილიყო შემოსილი თავსაბურით და რაიმე გრძელი, თავისუფალი სამოსით, თავიდან უნდა აერიდებინა მკვეთრი მოძრაობები, რომელიც მისი სხეულის გამოკვეთას შეუწყობდა ხელს და ასევე არანაირი ფიზიკური კონტაქტი არ უნდა დაფიქსირებულიყო მამაკაცთან, არ აქვს მნიშვნელობა საპირისპირო სქესის პერსონაჟები უცხონი იქნებოდნენ ერთმანეთისთვის სცენარის მიხედვით, თუ ცოლ-ქმარი; აკრძალული იყო ქალის სახის ახლო ხედით ჩვენება, ინტიმური, ვნებიანი გამოხედვა ქალისა მამაკაცისადმი და პირიქით; „ორივემ, ქალმაც და კაცმაც, დესექსუალიზაცია განიცადა, სინემატიკური ტექტსები კი ჰერმაფროდიტული გახდა“ (ჰამიდ ნაფისი).დარიუშ მეჰრჯუი ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ჰამიდ ნაფისისთან აცხადებს: „პოსტრევოლუციურ ფილმებში „ჰარამი“ არ არსებობს. ყველა ქალი განხილულია, როგორც ნებისმიერი ჩვენგანის და.“ პოსტრევოლუციურ ფილმებში, ეს ეხება 1980-იან წლებს, სიყვარული საერთოდ გამქრალია ეკრანიდან.

მესამე ფაზაში, რომელიც იწყება 1980-იანი წლების მიწურულს და გრძელდება დღემდე, ქალის ადგილი და როლი კინემატოგრაფიაში სრულ ტრანსფორმაციას განიცდის, გვევლინებიან რა ისინი არა მხოლოდ მთავარ როლში, არამედ უკვე - რეჟისორის ამპლუაშიც. [2] ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, რაჯაბ მოჰამადინის ფილმი „ყველაფრის გულისთვის“, ასევე ბაჰრამ ბაეზის „ბაშუ“...

ქალების, როგორც რეჟისორების მოღვაწეობა ოფიციალურად იქნა მიღებული უკვე 1990-იანი წლებიდან, როდესაც ფაჯრის მე-9 საერთაშორისო კონოფესტივალი მთლიანად მიეძღვნა “ქალთა კინოს“. ამ ტერმინის გაჩენა უკვე მიანიშნებს ქალი რეჟისორების ერთგვარ ფემინისტურ საწყისებზე. მათი სურვილი, რომ სწორედ ქალების საკითხი წამოეწიათ წინ სოციალური პრობლემების ფონზე, ღიად ეჩვენებინათ და ესაუბრათ სიყვარულზე, უკვე გარკვეული პროტესტია არსებული დოგმების წინააღმდეგ.

საინტერესოა, რომ ირანული კინოს ტრანსფორმაციის პერიოდი, ქალთა კინოს გაჩენის თვალსაზრისით ემთხვევა ირანში ე.წ. „ისლამური ფემინიზმის“ ჩამოყალიბებას, რაც, ვფიქრობთ, პირველ რიგში განპირობებული იყო დიქტატორი მმართველის, იმამ ხომეინის გარდაცვალებით და შემდგომ უკვე რევოლუციური ფასეულობების გადაფასებით, როგორც მამაკაცების, ისე ქალების მხრიდან.

ჰქონდა თუ არა დადებითი გავლენა 1979 წლის რევოლუციას ქალებზე, როგორც რეჟისორების მოღვაწეობაზე? ჩვენი აზრით, კი! თუკი რევოლუციამდე მხოლოდ ერთი რეჟისორი ქალი - შაჰლა რიაი - მოღვაწეობდა (მარჯანი 1953 წელი), რევოლუციის შემდგომ მათი რიცხვი ნელ-ნელა გაიზარდა და 10-ს გადააჭარბა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალი რეჟისორები უფრო მძაფრად წარმოაჩენენ ფემინისტურ საკითხებს, ვიდრე მამაკაცები.

ქალთა კინო მრავლისმომცველი თემაა, მაგრამ ჩვენი ამოცანა დღეს იქნება წარმოვაჩინოთ სამი რეჟისორი ქალის - რახშან ბანი-ეთემადის, თაჰმინე მილანისა და მარზიე მეშქინის სამი ფილმი, რაც წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ რა მიმართულება და გეზი აიღო ირანში იმ ჟანრმა, რომელიც „ქალთა კინოდ“ მოიხსენიება და შეძლეს თუ არა რეჟისორებმა გაეთავისებინათ ფემინისტური კინოს თეორიის ძირითადი პრინციპები.

რახშან ბანი ეთემადი, ცნობილი როგორც „კინოს პირველი ქალბატონი“, ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ირანში ქალ რეჟისორებს შორის. თავდაპირველად მან მუშაობა დაიწყო როგორც დოკუმენტალისტმა და ახლოს გაეცნო დაბალი სოციალური ფენების ცხოვრებას. მისი ფილმები სწორედ ამ გაჭირვების ეკრანიზაციას წარმოადგენს მხატვრული სიუჟეტის ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ ბანი ეთემადის პროტაგონისტები ძირითადად ქალები არიან, რომლებიც აჩვენებენ მაყურებელს, თუ რამდენად შეუძლიათ მათ იბრძოლონ არსებობისათვის არახელსაყრელ კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ პირობებში, თავად რეჟისორი თავს ფემინისტად არ მიიჩნევს და თვლის, რომ მისი ფილმები სოციალურია. მას არ სურს ტერმინთან იყოს ასოცირებული სიტყვის იმ შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, რომელიც მას ირანში აქვს და აცხადებს, რომ სანამ ფემინიზმის ნეგატიური გაგება დარჩება ირანში, ის გაემიჯნება ტერმინს. [3]

ბანი-ეთემადს საყოველთაო აღიარება მოუპოვა ფილმმა „ნარგეს“ 1991 წელს და ის გახდა პირველი ქალი რეჟისორი, რომელმაც ფაჯრის საერთაშორისო ფილმების ფესტივალზე მიიღო ჯილდო, როგორც საუკეთესო რეჟისორმა.

ფილმი „ნარგიზი“ წარმოადგენს სასიყვარულო სამკუთხედის ისტორიას ახალგაზრდა ქურდ ადელს, მის ცოლსა და პარტნიორ ქურდ აფაყსა და ახალგაზრდა მეუღლეს - ნარგიზს შორის; პერსონაჟები, რა თქმა უნდა, ირანის გაჭირვებულ დაბალ სოციალურ ფენას წარმოადგენენ. ფილმი იწყება პოლიციის მიერ ადელისა და აფაყის დევნის სცენით თეირანის ბნელ ქუჩებში. ცდილობს რა პოლიციისაგან დამალვასა და გაქცევას, ადელი თავს საავადმყოფოს აფარებს, სადაც შემთხვევით ხვდება ახალგაზრდა გოგონას - ნარგიზს, რომელსაც ავადმყოფი მოხუცი მამა ჰყავს

მიყვანილი ექიმთან, ხოლო ადელი პოლიციისაგან დამალვის განზრახვით ცდილობს, ქალის ახლობლად წარმოაჩინოს თავი და ეხმარება მას ნახევრად ინვალიდი მამის გადაადგილებაში და საავადმყოფოდან სახლამდეც აცილებს მამა-შვილს. სწორედ ამ დროს არღვევს რეჟისორი პირველად ისლამური რესპუბლიკის მიერ დადგენილ ფილმის ნორმებს და უშუალო თვალით კონტაქტს ამყარებინებს პერსონაჟებს. აღნიშნული სცენა გახდლათ ერთ-ერთი მიზეზი, რიგ ფაქტორებთან ერთად, რის გამოც ფილმის ჩვენება გარკვეული ხნის განმავლობაში აკრძალული იყო.

ქურდ ადელს უყვარდება ახალგაზრდა გოგონა ნარგიზი და ცდილობს, თავიდან მოიშოროს ხანგრძლივი პარტნიორი, აფაყი, რომელსაც ეუბნება, რომ დროებით სამოგზაუროდ მიდის. მოგვიანებით, როდესაც უკვე ადელი გოგონას ცოლად მოყვანასა და განსხვავებული ცხოვრების დაწყებას გადაწყვეტს, სიმართლეს ეტყვის აფაყს. თავზარდაცემული ქალი ხვდება რა ახალგაზრდა, ლამაზი გოგონას უპირატესობას მასთან შედარებით, ადელს სთავაზობს დედამისის როლის შესრულებას და თანხმდება კაცს ქალის ხელის სათხოვნელად წაჰყვეს, რათა სამუდამოდ არ გამოეცალოს ხელიდან ცხოვრების ერთადერთი მეგზური და საყვარელი. თუმცა, საბოლოოდ აფაყი წაგებული რჩება სასიყვარულო ისტორიაში. მისი სიცოცხლე ადელის დევნის გზაზე უბედურ შემთხვევას ეწირება. [4]

„ნარგიზში“ გადმოცემული, ერთი შეხედვით, უბრალო სასიყვარულო ისტორია, ვფიქრობთ, რევოლუციის ტოლფასი გახლავთ ირანული კინოს ისტორიაში. პირველი იმიტომ, რომ მისი რეჟისორი ქალი იყო და მეორე იმიტომ, რომ სწორედ ამ ქალმა ღიად აჩვენა საზოგადობას ტაბუირებული თემა - სიყვარული და ქვეყნისათვის უსიამოვნო სოციალური პრობლემები, უკიდურესი გაჭირვებისა თუ უმუშევრობის პრობლემა - გამოიტანა სააშკარაოზე.

„ნარგიზის“, როგორც ფილმის, განსაკუთრებულობა მისი პერსონაჟებიდანაც გამომდინარეობს. რეჟისორმა ერთმანეთს დაუპირისპირა ერთის მხრივ წმინდა, სამართლიანი ნარგიზი, რომელიც, მიუხედავად ქმრის შესახებ სიმართლის გაგებისა, რომ იგი ქურდია, ყველანაირად ცდილობს მორალურ გზაზე დააყენოს ის და ფილმის ბოლომდე იტოვებს ამის იმედს, ხოლო მეორე მხრივ ამორალური, უწმინდური, ცბიერი აფაყი, რომელმაც ცხოვრება ქურდობასა და მეძავობაში გაატარა. სოციოლოგის, ჰამიდ დაბაშის აზრით, „ბანი ეთემადმა აფაყი წარმოადგინა ირანის დაბალი საზოგადოების გულიდან... რომელიც არის მორალის ფარი, სოციალური დევნილი, განდგომილი ფორმა პატიოსნების კულტურულად დადგენილი ფორმებისა.“[4]

აფაყი ტრადიციული ქალის, ერთგული დედისა და მეუღლის სახის სრულ ანტიპოდს წარმოადგენს. ის არის სახე ქმრისგან მიტოვებული, შვილწართმეული დედისა, რომელმაც თვითგადარჩენისათვის დაიწყო ბრძოლა არაკანონიერი, ქურდობის, გზით. ცხოვრების ამ ეტაპზე ხვდება ის ადელს. თვადაპირველად მასზე როგორც მშობელი, ისე ზრუნავს, ხოლო შემდეგ საყვარელ მამაკაცად და საყვარლად აქცევს მას.

მართალია, ფილმის ყველაზე დადებითი პერსონაჟი სპეტაკი ნარგიზია, მაგრამ, ვფიქრობთ, გაცილებით ღრმა და შთამბეჭდავი პერსონაჟის სახე რეჟისორმა აფაყის სახით შექმნა. ფილმის სახელიც, ნარგიზი, რომელიც სიწმინდესა და სისპეტაკესთან ასოცირდება, შესაძლოა, ერთგვარი ხერხი იყო ფილმის მოტივების შესანიღბად.

ორი ქალის გვერდით საინტერესოდაა წარმოჩენილი ადელის, როგორც ერთგვარად განუვითარებელი, ჩამოუყალიბებელი მამაკაცის სახე, რომელიც რეალურად, ქალის ნება-სურვილს დაჰყვება მთელი ფილმის მანძილზე. ადელის პერსონაჟის ჩვენებით ბანი-ეთემადმა ერთგვარად დააკნინა ტრადიციული ურთიერთობების ფორმები ქალსა და მამაკაცს შორის, სადაც წამყვანი მამაკაცია.

ბანი-ეთემადის, როგორც რეჟისორის, დახვეწილობაზე მეტყველებს ისლამური კანონების მხატვრულად დარღვევა. კერძოდ, იმისათვის, რომ მას სასიყვარულო ისტორია სექსუალური

სცენების გარეშე ეჩვენებინა, მან ფილმში მცირე სიმბოლოები შემოიტანა. სიმბოლოების მეშვეობით შეძლო რეჟისორმა, თუნდაც, მამაკაცის ლტოლვის წარმოჩინება ქალისადმი. ეს არის სცენა ფილმიდან, როდესაც ადელი რესტორანში ხვდება აფაყს, რათა თავისი გადაწყვეტილება გაანდოს მასთან კავშირის გაწყვეტის თაობაზე. მართალია, აფაყი და ადელი ერთმანეთს არ უყურებენ, მაგრამ მაგიდაზე დევს ვაზა ნარგიზის ყვავილებით, რომელსაც დაჟინებით უცქერს ადელი. ყვავილებიანი ვაზა სიმბოლოა იმ ახალგაზრდა გოგონასი, ნარგიზის, რომლის სიყვარულითაცაა ადელი განმსჭვალული.

საინტერესოდ წარმოგვიდგინა რეჟისორმა ასევე ქალისა და მამაკაცის სექსუალური ურთიერთობაც. მართალია, ეს კონტაქტი ღიად არ ჩანს, თუმცა კადრი, რომელიც ერთმანეთის გვერდით უწესრიგოდ დაყრილ ნეფე-პატარძლის ფეხსაცმელებს გვიჩვენებს, მაყურებელს უკვე კადრს მიღმა ნაგულისხმევ სცენაზე უქმნის წარმოდგენას.

შემდეგი ქალი რეჟისორი, რომლის ნამუშევარსაც განვიხილავთ, გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მეამბოხე რეჟისორი, ქალთა უფლებების აქტიური დამცველი - თაჰმინე მილანი, რომელმაც ყოველგვარი მორიდების გარეშე დაარღვია ტრადიციული ნორმები ფილმებში ქალის მონაწილეობისა თუ ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების თვალსაზრისით და დაიწყო მწვავე გენდერული პრობლემების სააშკარაოზე გამოტანა. ფილმისთვის „დამალული ნახევარი“ ის ციხეშიც იჯდა. პირველი ფილმი, რომელმაც მას განსაკუთრებული აღიარება მოუპოვა, იყო „ორი ქალი“, რომელიც მილანიმ 1999 წელს გადაიღო. გამომდინარე ეპოქიდან (მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის პირველი პერიოდი) და რეჟისორის ღიად აღიარებული ფემინისტობიდან (განსხვავებით ბანი ეთემადისგან), ფილმში საკმაოდ მწვავედ, მეტიც, დრამატულად იგრძნობა ქალების მძიმე მდგომარეობა ისლამურ საზოგადოებაში.

ფილმში გადმოცემულია ორი სტუდენტი გოგონას - ფერეშთეს და როიას - ამბავი, რომელიც ფილმის რეალური დროიდან 14 წლით ადრე იღებს სათავეს. ეს პერიოდი უშუალოდ ემთხვევა ისლამური რევოლუციის შემდგომ პირველ ეტაპს, როდესაც აქტიურად მიმდინარეობდა სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტების დახურვა და, შესაბამისად, ქალების მიმართ შეზღუდვების დაწესება (კულტურული რევოლუციის ფარგლებში). ფილმი მთლიანად წარმოადგენს რეტროსპექციული კადრების ერთიანობას, რომელიც გვაჩვენებს ფერეშთეს მიერ განვლილ ტრაგიკულ გზას. გოგონა თეირანში სწავლისას მანიაკალური ფსიქიკის მამაკაცის სამიზნე ხდება, რომელიც გამუდმებით უკან დასდევს და მის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ამ დევნით გამოწვეული უსიამოვნების გამო ფერეშთეს მამა საჭიროდ თვლის ქალიშვილის სახლში, ისპაჰანში, დაბრუნებას, რათა გოგონას შეუსაბამო სურვილებითა თუ ყოფაქცევით გამოწვეულ უსიამოვნებას დაუსვას წერტილი. თუმცა, ჰასანი ფერეშთეს ისპაჰანშიც მიჰყვება. ერთ-ერთი ეპიზოდი, როდესაც ჰასანი მოტოციკლით მისდევს ფერეშთეს ავტომობილს, ფატალურად მთავრდება. ამ რბოლას ქუჩაში ბურთით მოთამაშე ორი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლება. სწორედ ეს დღე იქცევა საბედისწეროდ ფერეშთესათვის. სასამართლო ფერეშთეს ბავშვების მშობლების მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დიდი რაოდენობის თანხის გადახდას დააკისრებს, ხოლო ჰასანს 13 წლით პატიმრობას მიუსჯის. ფერეშთეს ოჯახს ფინანსურად ეხმარება მეზობელი აჰმადი, რომელიც სანაცვლოდ გოგონას ხელს ითხოვს. მიუხედავად ფერეშთეს წინააღმდეგობისა, აჰმადი საწადელს აღწევს იმ პირობით, რომ ის იქნება გამგები მეუღლე და გვერდში დაუდგება, რათა გოგონამ თავისი გეგმები სწავლასთან დაკავშირებით განახორციელოს. თუმცა, ყველაფერი პირიქით მოხდა. ფერეშთე ერთგვარ ციხეში აღმოჩნდება, სადაც ყველაფერი შეზღუდული ან აკრძალული აქვს - მეგობარ როიასთან ტელეფონზე საუბარი, კითხვა. მისი საქმე მხოლოდ შვილების გაჩენა და მოვლაა. ფილმის ბოლოს, როდესაც ჰასანი გამოდის ციხიდან, ის კვლავ ფერეშთეს მიაკითხავს, ამჯერად შურის საძიებლად, ქუჩაში კამათის დროს აჰმადიც გამოჩნდება, თავს ესხმის ჰასანს, რაც სიცოცხლის ფასად უჯდება - ფერეშთესთვის მოღერებული დანით ჰასანი აჰამადს დაჭრის. „მამაკაცების მსხვერპლი“ ფერეშთე სწორედ ამ დროს უკავშირდება

სტუდენტობის მეგობარ როიას. მეგობრები 14 წლის შემდეგ საავადმყოფოში ხვდებიან. სასოწარკვეთილი ქალი ორ ვაჟთან ერთად როიას სახლში მიჰყავს, სადაც დაწვრილებით ისმენს მის თავგადასავალს. ამ დროს საავადმყოფოდანაც რეკავენ და ატყობინებენ ფერეშთეს, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა. ფერეშთე გალიიდან გამოშვებულ ჩიტს ემსგავსება, რომელსაც დაბნეულობისაგან ვერ გაიგია, რა უნდა ქნას. უცბად ის მომავლის გეგმების დასახვას იწყებს, როგორ ისწავლის, იმუშავებს, და... ბავშვებს გაზრდის მარტოობაში.

„ორი ქალი“ ირანული ე.წ. „ქალთა კინოს“ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს, რომელშიც რეჟისორმა დაუფარავად წარმოაჩინა პატრიარქალური წყობის მანკიერი მხარეები, სადაც ქალი, ფაქტობრივად, ადამიანად არ აღიქმება და მისი უფლებები, თუნდაც ისეთი ბუნებრივი, როგორიც განათლების მიღებაა, ფეხქვეშ ითელება. განსხვავებით ბანი ეთემადისაგან, რომელმაც ფილმში „ნარგეს“ წარმოგვიჩინა ნარგიზის ყვავილის მსგავსი სპეტაკი და ფაქიზი ადამიანი, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს მორალური და გამართლებული პრინციპებით იმოქმედოს, მეტ-ნაკლებად მოერგოს ქვეყნის იდეოლოგიისათვის მისაღები ქალის მოდელის ჩარჩოებს, თაჰმინე მილანმა ფერეშთეს სახით, რომლის სახელიც ანგელოზს ნიშნავს, შემოგვთავაზა მეამბოხე, მებრძოლი სულის პატრონი ქალი და მისი საშუალებით ღია მესიჯიც გაუგზავნა ირანელ ქალებს: „ასე არ გამოვა. ჩვენ არ უნდა ვიდგეთ და ვუყუროთ უმოქმედოდ, მომაბეზრებელი ბიჭი როგორ შეგვაწუხებს ქუჩაში, ჩვენ ჩვენი თავი უნდა გავაძლიეროთ, ვისწავლოთ ბრძოლა, გავაკეთოთ ის, რაც გვსურს.“ [5] ფერეშთეს თავისი მიზნების განხორციელებაში მამაკაცები უშლიან ხელს. ფერეშთე არის სახე იმ საზოგადოებისა, რომელთა უფლებებიც პატრიარქალური წყობისა და სისტემის გამო ილახება. ფილმში პატრიარქალური სისტემა სამი კაცის: ფერეშთეს მამის, მდევარი ჰასანისა და მისი ქმრის სახითაა წარმოდგენილი. ყველამ თავისებური აკრძალვა დაუწესა მას და ყველამ თავისებურად დაუნგრია მომავალი, ის გაანადგურეს როგორც მორალურად, ისე - ემოციურად. მათი მეშვეობით წარმოადგინა რეჟისორმა პატრიარქატის ინსტიტუციონალიზებული სახე, რაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ირანის პერიფერიებსა და პატარა ქალაქ-სოფლებში. ფერეშთეს მამა ნათელი მაგალითია ოჯახი სიწმინდის დაცვისთვის მებრძოლი კაცისა, რომელიც ფიქრობს, რომ ქალიშვილის შეუფერებელი საქციელი შეურაცხყოფს მასაც და მის ოჯახსაც: „ამისთვის ჩამოხვედი თეირანში, რომ გამანადგურო და შეურაცხმყო?!“ ფერეშთეს ქმარიც დოგმატური აზროვნების ჩარჩოებში მოქცეული პიროვნებაა, რომელიც ფიქრობს, რომ თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს, რა სურს მის ცოლს ან როგორ უნდა მოიქცეს. მისთვის სიყვარული მორჩილებასთან ასოცირდებოდა, როგორც ამას უწევდა პროპაგანდას ისლამური რესპუბლიკა.

ასევე საინტერესოა ერთ-ერთი სცენა ფილმში, როდესაც ფერეშთეს მშობიარობის ტკივილები აქვს, მედდები მას სთხოვენ ხმამაღლა იყვიროს, რათა ტკივილი შეუმსუბუქდეს, ქმარი კი აიძულებს, გაჩუმდეს, რომ მისი ხმა არავინ გაიგოს. ეს არის ჩვეულებრივი სურათი ქალთა მდგომარეობისა – როგორ ცდილობენ კაცები თუ სახელმწიფო ქალების ერთიანი ხმის, პროტესტის ჩახშობას.

გამომდინარე იქიდან, რომ სცენარი 1990-იანი წლების დასაწყისშია დაწერილი, როდესაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა ქვეყანაში დასავლეთის როგორც მტრის პროპაგანდა, საინტერესო ალეგორიას ვაწყდებით ფილმში. აჰმადს ნებისმიერი საშუალება, რაც ფერეშთეს გარე სამყაროსთან დაკავშირებაში დაეხმარება არ მოსწონს, იქნება ეს ტელეფონი, წიგნები თუ უბრალოდ მეგობარი თეირანიდან. მისი აზრით, ეს მავნე ზეგავლენას ახდენს ცოლის აზროვნებაზე. როგორც ამას სახელმწიფო იდეოლოგია ამტკიცებდა დასავლურ კულტურასთან დაკავშრებით. თუ ქალი არ ემორჩილება კაცს, არ მიჰყვება „მორჩილი ქალისა და ერთგული ცოლის“ ნორმებს, ის ბევრ პრობლემას აწყდება როგორც ოჯახში, ისე - სახელმწიფოში. განათლებული ქალი, რომელსაც ფერეშთე წარმოადგენდა, მიუღებელია პატრიარქალური ქვეყნისთვის, ვინაიდან ასეთი ქალისგან მეტია წინააღმდეგობის გაწევის, პროტესტისა თუ საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის ბრძოლის

საშიშროება: „შენ არ ხარ კარგი ქალი, როგორც პარტნიორმა, მე შენ უნდა გაკონტროლო და შეგცვალო..“ ეუბნება აჰმადი ფერეშთეს.

მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ფილმში ქალის ბედი მოძალადე მანიაკალურად შეპყრობილმა ჰასანმაც, რომლის მიერ ფერეშთეს დაუსრულებელი დევნა საბედისწერო აღმოჩნდა ფილმის მთავარი გმირისთვის. რეჟისორმა სამი სხვადასხვა ტიპის კაცის ჩვენებით ერთიანი სურათი შექმნა იმ ძალადობისა, რომელიც თან სდევს პატრიარქალურ სისტემას, როგორც შედეგი გენდერული დისკრიმინაციისა და ჩაგვრისა.

მესამე რეჟისორი, რომლის ფილმსაც განვიხილავთ, გახლავთ მარზიე მეშქინი, რომლის ფილმოგრაფიაც სულ 2 ფილმს მოიცავს, თუმცა, მისი ფილმი „დღე, როდესაც ქალი გავხდი“, ყველაზე მეტად ერგება ფემინისტური ფილმის მახასიათებლებს. ფილმის სცენარი რეჟისორის მეუღლეს - მოჰსენ მახმალბაფს ეკუთვნის.

ფილმი შედგება სამი დამოუკიდებელი ეპიზოდისაგან, რომელთა სათაურიც გამომდინარეობს ქალი პროტაგონისტების სახელებისაგან „ჰავა“, „აჰუ“, „ჰურა“. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თითოეული ეპიზოდი თანმიმდევრულად წარმოადგენს ქალის ცხოვრების სამ ეტაპს - ბავშვობა, ახალგაზრდა ქალი გათხოვების შემდეგ და სიბერე. სამივე ეპიზოდი ირანის კუნძულ ქიშზეა გადაღებული და ადგილობრივების ცხოვრების ფონზე ხდება სიუჟეტის განვითარება. [7]

ფილმი იწყება ჰავას ეპიზოდით, რომელშიც ვიგებთ, რომ პატარა გოგონას, ჰავას, მეცხრე დაბადების დღეა. დღე, როდესაც სრულდება მისი ბავშვობა და იწყება უკვე „ქალობა“. ის ვალდებულია, თავსაფარი დაიხუროს და გახდეს სრულფასოვანი მოქალაქე პატრიარქალური საზოგადოებისა. საინტერესოდაა წარმოჩენილი დედის და ბებიის სახე, რომლებიც მთელი მონდომებით არიან დაკავებული ჰავასათვის თავსაფრის შერჩევით და ცხოვრების ახალი ეტაპისთვის დამახასიათებელი წესების გაცნობით: რომ მას აღარ შეუძლია ბიჭებთან თამაში, აღარ უნდა დასვას ბევრი კითხვა, ყველას დასანახად აღარ უნდა იდგეს ბანზე დიდხანს და ა.შ. მეშქინიმ ფაქტობრივად, დედისა და ბებიის სახით წარმოადგინა სახელმწიფოს იდეოლოგია ისლამური ნორმების შესაბამისად ქალის ჩაცმულობის შესახებ და, ამასთანავე, მიგვანიშნა სისტემაში ადამიანის, ამ შემთხვევაში ქალის წინააღმდეგობის შესაძლებლობაზე. პატარა ჰავა ბავშვობის გახანგრძლივებას ცდილობს. როდესაც ბებია ეუბნება მას, რომ აღარ შეუძლია მეგობარ ბიჭთან, ჰასანთან, ერთად ითამაშოს და სახლში უნდა შევიდეს, ჰავა ეუბნება, რომ მას ჯერ კიდევ აქვს დრო, რადგან ის დაიბადა შუადღეს და შუადღემდე შეუძლია იცხოვროს როგორც ბავშვმა.

ბებია თანხმდება ბავშვს და დროს უნიშნავს. მაგრამ არა საათზე, არამედ აძლევს მას ჯოხს, რომელიც მიწაში უნდა ჩაარჭოს ჰავამ და მის ჩრდილს დააკვირდეს. როდესაც ჯოხის ჩრდილი სულ გაქრება, ჰავას ბავშვობაც დასრულდება. ჯოხის ჩრდილის ზომის შემცირებას ჰავა თითებით ზომავს და მაქსიმალურად ცდილობს, ჰასანთან ერთად საწუწნი კანფეტის გაზიარებით და მასთან ერთად ერთგვარი თამაშით დატვირთოს თავისუფლების ბოლო წუთები. შუადღისას კი კვლავ ჩნდება ჰავას დედა თავსაფრით ხელში, რომელსაც გოგონას ახვევს, რაც მიგვანიშნებს უკვე ჰავას გარდასახვაზე.

ფილმის შემდგომი ნაწილი „აჰუ“ წარმოადგენს ახალგაზრდა ქალის - აჰუს - ცხოვრების პატარა მონაკვეთს, რომელიც ვითარდება ველოტრასაზე. აჰუ ქალების გუნდთან ერთად მონაწილეობს ველორბოლაში. ფილმის ამ ნაწილის პირველივე კადრი, შეიძლება ითქვას, უკვე რევოლუციურია ირანულ კინემატოგრაფიაში, რადგან რეჟისორი წარმოგვიდგენს არა ისლამური დოგმებით განსაზღვრულ ქალის სტერეოტიპს, არამედ როგორც აქტიურ, ერთიან ველოსიპედისტების ჯგუფს, რომლებიც იღწვიან მიზნის მიღწევისათვის.

ველოსიპედისტების ჯგუფის გამოჩენამდე რეჟისორი ჯერ ცხენზე ამხედრებულ, განრისხებულ მამაკაცს გვაჩვენებს, რომელიც აჰუს ეძახის დაჟინებით. ის აჰუს ქმარია, რომელიც აპროტესტებს ქალის მონაწილეობას ველორბოლაში და დაუყოვნებლივ მის სახლში დაბრუნებას

მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლით ემუქრება მას. აჰუს ქმარიც ტიპიური სახეა მოძალადე მამაკაცისა, რომელიც ასევე ნაჩვენებია თაჰმინე მილანის „ორ ქალში“ ჰასანისა და აჰმადის სახით. აჰუს შემთხვევაშიც გამოჩნდებიან მამა და ძმები მის დასარწმუნებლად, რომ შეწყვიტოს ველორბოლაში მონაწილეობა და დაბრუნდეს შინ. აჰუს მამა ძალიან ჰგავს ფერეშთეს მამას, რომელიც ფიქრობს საკუთარი ოჯახის სახელზე, სიწმინდეზე, შვილის მისეულ „კეთილდღეობაზე“, თუმცა აჰუს დაჟინებული მოძრაობა, წინააღმდეგობა ოჯახის წევრებისადმი მიგვანიშნებს მისი თვითდამკვიდრებისა და თვითგაძლიერების სურვილზე ოჯახისგან და პატრიარქალური სისტემისგან დამოუკიდებლად. თუმცა, როგორც ჰავას შემთხვევაში იყო, აჰუს წინააღმდეგობა დროებითია. იგი ბოლოს თავისი ძმების ალყაში აღმოჩნდება, რომლებიც მას სახლში დაბრუნებას აიძულებენ.

ფილმის მესამე ნაწილი „ჰურა“ მოხუცი ქალის, ჰურას, შესახებაა, რომელსაც მაყურებელი ქიშის აეროპორტში ხედავს. ის თვითმფრინავიდან ეტლით ჩამოჰყავთ. აეროპორტის ტერიტორიაზე ჰურა პატარა ბიჭუნას ქირაობს, რომელიც მას გადაადგილებასა და სურვილების ასრულებაში ეხმარება. მისი სურვილები კი იმ ნივთების შეძენაა, რომლებიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე სურდა ჰქონოდა, მაგრამ, მხოლოდ ახლა, მემკვიდრეობით ფულის მიღების შემდეგ, შეუძლია მათი შეძენა. ახლა ის ფინანსურად დამოუკიდებელია. სასურველი ნივთების სია ჰურას ხელებზე აქვს სხვადასხვა ფერის ლენტების სახით შებმული. ყველა ეს ნივთი საყოფაცხოვრებო საგანია: გაზქურა, მაცივარი, სარეცხის მანქანა, უთო და ა.შ. ჰურას ცხოვრების იმ ეტაპზე, რომელიც ფილმშია ნაჩვენები, ის უკვე მატრიარქია, რომელიც სრულ თავისუფლებას გრძნობს უნივერსალურ კაპიტალურ სივრცეში - აეროპორტის მაღაზიებში. აქვე, შესაძლოა, რეჟისორმა მიანიშნა მაყურებელს, რომ აღმოსავლურის და დასავლურის, მოდერნულისა და ტრადიციულის თანაარსებობა შესაძლებელია. ქალს ნაყიდი ნივთები სანაპიროზე მიაქვს, და იქ დგამს. თუმცა მის თითზე კიდევ ერთი ლენტი რჩება. იგი დამხმარე ბიჭს ეუბნება, რომ ვერაფრით ვერ იხსენებს, ეს ერთი ლენტი რა ნივთია. რეჟისორი კინემატიკური ენის საშუალებით მიანიშნებს მაყურებელს, რომ ეს ის თავისუფლებაა, რომელსაც ვერც ფულით და ვერც კაპიტალურ სივრცეში ვერ იყიდი.

„ჰურას“ ეპიზოდის ბოლო ნაწილში სანაპიროზე ორი ქალი ჩნდება ველოსიპედებით, რომლებიც ჰურას ესაუბრებიან, ერთი ველოსიპედისტი გოგონას - აჰუს შესახებ. უბრალოდ ზუსტად არ იციან, აჰუმ შეძლო რბოლის დასრულება, თუ ძმებმა წაიყვანეს ის სახლში. თუმცა, რაც შეიძლება ყველაზე მეტად მოხვდეს თვალში მაყურებელს, არის ამ ორი ქალის ტონი, როგორც საზოგადოების ხმა. მათში აჰუს პროტესტი და ამბოხება გრძნობას არ იწვევს. მათი მთავარი საზრუნავი აჰუს ამბის დასასრულის სწორი ვერსიის პოვნაა.

ფილმის ბოლოს ვხედავთ ჰურას, რომელსაც ნაყიდი ნივთები, დაქირავებული ადგილობრივი ბიჭების დახმარებით, შეკრულ ნავებზე დევს, ჰურაც ახალ ავეჯზე ზის და უდარდელი სახით მიცურავს ზღვაში. ბოლო კადრში კი ისევ ჰავას ვხედავთ, რომელიც დაჟინებით უცქერს ჰურას და თითქოს თავის მომავალს ხედავს მასში.

ჩვენ მიერ განხილული ფილმები 1991-2001 წლებშია გადაღებული და სახეზეა აშკარა სურათი იმისა, თუ როგორ განვითარდა ე.წ. “ქალთა კინო” ირანში. გამომდინარე იქიდან, რომ ირანი ისლამური რესპუბლიკა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყანაა, ფემინიზმი აქ სხვაგვარად იკითხება. ამ შემთხვევაში უფრო ინდიჯენისტური ფემინიზმი[1] მუშაობს, სადაც კულტურა გადამწყვეტია. თუ დასავლური ფემინისტური კინოს თეორია ითხოვს, რომ ეკრანზე ნაჩვენები იყოს ქალი, არა როგორც ჩაგრული, სოციალური ყოფისგან გაწამებული, არა როგორც მამაკაცის ინტერესის ობიექტი, არამედ როგორც მოქმედი სუბიექტი, მეამბოხე და მებრძოლი, აღმოსავლეთი სხვა

[1] ინდიჯენისტური ფემინიზმის ამოცანაა ქალების ჩაგვრის აღმოფხვრა გლობალური მასშტაბით, კულტურული და ეკონომიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში. ინდიჯენისტი ფემინისტები მიიჩნევენ, რომ გენდერულ როლებსა და ქალთა უფლებებზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია კულტურული კონტექსტის გათვალისწინება. [8]

რეალობის წინაშე აყენებს კინორეჟისორებს. დასავლური აღქმით ისინი ქალთა კინოს შემოქმედებად უფრო აღიქმებიან და არა – ფემინისტურის. ჩვენ მიერ განხილული მაგალითებიდან ყველაზე მეტად რახშან ბანი-ეთემადის ფილმი თუ მიეკუთვნება "ქალთა კინოს", რაც შეეხება თაჰმინე მილანის "ორ ქალს", ვფიქრობთ, ის ქალთა კინოსა და ფემინისტური კინოს ზღვარზეა. ფემინისტური ვერ იქნება მთლად, ვინაიდან აქ ქალი, როგორც მებრძოლი ნაკლებადაა ნაჩვენები, თუმცა რეჟისორი სწორედ ქალის როლის რეალური მდგომარეობის ასახვით ცდილობს საზოგადეობამდე მესიჯების მიტანას. რაც შეეხება მარზიე მეშქინს, იგი უფრო თამამ ნაბიჯებს დგამს, მისი ქალები სისტემისთვის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ. ცოტა ხნით, მაგრამ სადამდეც ძალა ჰყოფნით, ფარ-ხმალს არ ყრიან. გამოდის, რომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ე.წ. "ქალთა კინო" ირანში კულტურიდან, სახელმწიფო წყობიდან თუ რელიგიიდან გამომდინარე დასავლურისგან განსხვავებულს, მაგრამ მაინც ქმნის ავთენტურ ფემინისტურ კინოს, რაც სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, თუ გავავლებთ პარალელს კლასიკურ ფემინიზმთან, რომლის გვერდითაც თავისუფლად არსებობს "ისლამური ფემინიზმი", რომელიც აღმოსავლური სამყაროს პირმშოა.

გამოყენებული წყაროები:

1. Naficy, Hamid. "Veiled Visions/Powerful Presences: Women in Post-revolutionary Iranian Cinema." In the Eye of the Storm: Women in Post-revolutionary Iran. Eds. Mahnaz Afkhami and Erika Friedl. London and New York: I. B. Tauris and Syracuse University Press, 1994, pp. 131-150.
2. Naficy, Hamid. "Veiled Voice and Vision in Iranian Cinema: The Evolution of Rakhshan Banietemad's FIlms." Ed. Murray Pomerance. Ladies and Gentlemen, Boys and Girls: Gender in Film at the End of the Twentieth Century. Albany: State U of New York, 2001. 37-54. Print;
3. http://www.firouzanfilms.com/HallOfFame/Inductees/RakhshanBaniEtemad.html;
4. Dabashi, Hamid, Close Up: Iranian Cinema Past Present and Future, Verso 2001, pp237-41;
5. Banietemad, Rakhshan, "Narges", 1992, https://as7.asset.aparat.com/aparat-video/a_b5551igmji9ji6ki5o673m82k92lmljmni0231778928-842x__86e91.mp4?Download=true;
6. Milani, Tahmineh, "Do Zan", 1999, https://www.imvbox.com/watch-persian-movie-iranian-movies/two-woman-do-zan;
7. Meshkini, Marzie, "Ruzi Ke Zan Shodam", 2000, https://vimeo.com/ondemand/thedayibecameawoman
8. http://dictionary.css.ge/content/indigenist-feminism

თამთა ბოკუჩავა

ცვლილებები თურქეთის განათლების სისტემაში

უკანასკნელი წლების განმავლობაში თურქეთის განათლების სისტემამ ბევრი ცვლილება განიცადა, თუმცა რეფორმებმა სწავლის დონის ამაღლებისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესების ნაცვლად, მკვეთრად შეცვალა საზოგადოების აზრი განათლების მნიშვნელობასა და მისი მიზნების შესახებ, ასევე ხელი შეუწყო მოსწავლეებს შორის უთანასწორობის ზრდას.

1990-იან წლებში სახელმწიფო პოლიტიკა განათლების სისტემასთან მიმართებაში შედარებით ლიბერალური იყო. მოხდა მასწავლებელთა გადამზადების პროგრამების რესტრუქტურიზაცია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში, აქამდე მათი მომზადება და გადამზადება მთლიანად უნივერსიტეტის ზედამხედველობის ქვეშ ხორციელდებოდა. პედაგოგთა მომზადებამ უფრო ტექნიკური ხასიათი მიიღო. ცვლილებები განხორციელდა ადმინისტრირების, შეფასების, სასწავლო გეგმის საკითხებში, რამაც თავის მხრივ ცვლილებები გამოიწვია როგორც სწავლების მეთოდებზე, ისე პედაგოგთა შრომის პროცესზეც. საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში ყურადღება დაეთმო მასწავლებელთა სამუშაო გარემოს, გრაფიკს, ანაზღაურებას და ა.შ. 2000-იან წლებიდან ნელ-ნელა დაინერგა კონტრაქტის საფუძველზე მოწვეული პედაგოგის ცნება. 2011წლიდან ოფიციალურად ესეთი პრაქტიკა გაუქმებულ იქნა, თუმცა არაოფიციალურად დღემდე არსებობენ მასწავლებლები, რომლებიც მხოლოდ განსაზღვრული სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ანაზღაურებას იღებენ.

2004 წლის ინიციატივის მიხედვით შეიქმნა შედარებით მოქნილი სასწავლო გეგმა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. სწრაფად განვითარებადი თურქული ეკონომიკა კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობას განიცდიდა, შესაბამისად ყურადღება პროფესიულ განათლებას ენიჭებოდა. გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორიცაა კარიერის დაგეგმვა, შეგნებული მომხმარებელი და სხვა. შესაძლებელი გახდა სასწავლო გეგმაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, მოსწავლეებისათვის საჭირო მიმართულებით ბიძგის მისაცემად.

2012 წ. თებერვალში, იმ დროს პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა განაცხადა, რომ მისი მიზანია: „ღვთისმოსავი თაობის აღზრდა.“ ამ განცხადების შემდეგ თურქეთში დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა, რომელმაც ამ უკანასკნელის მკვეთრი ისლამიზაცია გამოიწვია.

1997 წ. პოსტ-მოდერნისტული გადატრიალების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა სავალდებულო სწავლების 8 კლასამდე გაზრდა იყო. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებიც შეიცვალა ისე, რომ იმამ-ჰატიბის (პროფესიული სკოლები თურქეთში, რომლებიც იმამებს ამზადებს მეჩეთში მსახურებისათვის. ეს სკოლები ათათურქის მიერ მედრესეების გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბდა) კურსდამთავრებულები განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებოდნენ.

2012წ. თებერვალში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ დაიწყო რეფორმა სახელწოდებით 4+4+4. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კანონპროექტი მთლიანად აკმაყოფილებდა ევროკავშირის მოთხოვნებს თურქეთის განათლების სისტემის ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრების შესახებ, რაც თორმეტწლიან სასკოლო მომზადებას ითვალისწინებს. ერთი შეხედვით კანონი სავალდებულო სწავლებას კიდევ 4 წლით ზრდიდა, მაგრამ სინამდვილეში რეფორმა საპირისპიროდ მოქმედებდა. მე-5 კლასიდან ნებადართულია პროფესიულ სკოლებში სწავლება, მათ შორის იმამ-ჰატიბის სკოლებში. კანონი ასევე უფლებას აძლევს მშობლებს სახლში ასწავლოს საკუთარ შვილებს 4 კლასის შემდეგ. შედეგად პროვინციებში შემცირდა საშუალო სკოლებში გოგონათა რაოდენობა.

განათლების სისტემის რეფორმა არ არის ერთადერთი რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების ლოზუნგით განხორციელდა. თურქული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების პროგრამის ფარგლებში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ გააუქმა კანონების ნაწილი, რომლებიც ქალების უფლებებს ზღუდავდა. მიუხედავად ამისა AKP კონსერვატული და პატრიარქალური პარტიად რჩება. თავად ერდოღანის ოჯახური ღირებულებები და დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ შორს არის პროგრესულისგან. ეს რეფორმა მთავრობამ გამოიყენა საჯარო სამსახურებსა და სასწავლებლებში თავსაბურავის ტარების აკრძალვის გასაუქმებლად. არსებული კონსტიტუცია განსაკუთრებულად მკაცრი იყო მუსლიმი ქალების მიმართ. ოფიციალურ ღონისძიებებზე, საჯარო უნივერსიტეტებში და სამსახურებში არ დაიშვებოდნენ ქალები, რომლებიც ატარებდნენ ჰიჯაბს ან რაიმე სახის თავსაბურავს. პარტიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავსაბურავის ტარების აკრძალვის მოხსნა ჯერ საჯარო სამსახურებში, შემდეგ უნივერსიტეტებში და ბოლოს საშუალო სკოლებში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო მაღალ კლასებში გადამავალი ტესტის შემოღება. სტანდარტიზებული ტესტი მერვე კლასის დახურვისას იწერებოდა და იგი განსაზღვრავდა მოსწავლის შემდგომ ბედს. ტესტი ტარდებოდა ექვსი ძირითადი საგნის მიხედვით: თურქული, მათემატიკა, მეცნიერება და ტექნოლოგია, ათათურქის პრინციპები და თურქული რევოლუციის ისტორია, ინგლისური, რელიგია და ეთიკა. აღნიშნული ტესტის მიხედვით ხდებოდა მოსწავლეთა დახარისხება ცოდნის მიხედვით და შემდეგ უკვე ამ მონაცემების მიხედვით დგებოდა სკოლების რეიტინგი. საჯარო სკოლებში ადგილები შეიზღუდა, რის მიზეზადაც ისევ ევროპული სტანდარტები დასახელდა (მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანაფარდობა სკოლებში, საკლასო ოთახების რაოდენობა და ა.შ.), სამაგიეროდ მთავრობამ წინა პლანზე წამოწია ალტერნატიული საგანმანათლებლო დაწესებულებები: პროფესიული განათლების ცენტრები და იმამ-ჰატიბის სკოლები. შესაბამისად ტესტის შედეგებით განათლების ეროვნული სამინისტრო განსაზღვრავდა თუ რომელ სკოლაში გააგრძელებდა სწავლა ესა თუ ის მოსწავლე. რეფორმამ რელიგიური სკოლები განათლების სისტემაში ერთ-ერთი ალტერნატივიდან ცენტრალურ სისტემამდე აიყვანა. ახალი კანონითგადამავალი ტესტის ჩაბარება აუცილებელი გახდა ყველა სასწავლო დაწესებულებაში იმამ-ჰატიბის სკოლების გარდა. შესაბამისად მოსწავლეები რომლებიც ვერ ჩააბარებდნენ გამოცდებს ძალაუნებურად აღმოჩნდებოდნენ რელიგიურ სასწავლებელში.

2013 წ. აგვისტოში 1,112,000 მოსწავლე აბარებდა მაღალ კლასებში გადამავალ გამოცდებს, სადაც სულ 363,000 ადგილი იყო. მათთვის ვინც ტესტი ვერ ჩააბარა იყო რამდენიმე ალტერნატივა:

1. პროფესიული სკოლები
2. იმამ-ჰატიბის სკოლები
3. მულტი-პროგრამული საშუალო სკოლები (მაგრამ ეს უკანასკნელი ყველა რეგიონში არ არის წარმოდგენილი)

შედეგად 40,000-მდე მოსწავლე ავტომატურად აღმოჩნდა იმამ-ჰატიბის სკოლებში, მათ შორის საკმაოდ ბევრი იყვნენ ალავიტები და სომხები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდმა არ გაამართლა და 2017 წლიდან გადამავალი ტესტის შედეგები აღარ იქნება განმსაზღვრელი. ახალი წესით მაღალ კლასებში გადასვლისას მოსწავლემ საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობით უნდა იხელმძღვანელოს, ანუ მოსწავლეთა გადანაწილება მოხდება არა ტესტის შედეგებით, არამედ რაიონული გადანაწილებით. ასეთი პოლიტიკა, მთავრობის აზრით, საშუალებას მისცემს კვლავ დააბალანსოს წარჩინებულ მოსწავლეთა გადანაწილება სასწავლო დაწესებულებებში, რაც უნდა ითქვას სერიოზულად დაირღვა მერვე კლასის სავალდებულო ტესტის პირობებში. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე მიგრაციის საშიშროება, თუმცა ექპერტების განცხადებით, სასურველ სკოლაში მოსახვედრად საცხოვრებელი მისამართის ცვლილებები მხოლოდ მინიმალური რაოდენობით არის მოსალოდნელი და ეს

არავითარ გავლენას არ მოახდენს მიმდინარე პროცესებზე. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ სავალდებულო ტესტირება საბოლოოდ არ გაუქმებულა და მის შედეგებს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც რეიტინგით ზედა 10%-ში მოხვდებიან, ასეთ შემთხვევაში განათლების ეროვნული სამინისტრო გადაამისამართებს მათ სპეციალური პროგრამის სკოლებში.

2012 წ. მიღებული კანონის მიხედვით შესაძლებელი გახდა საშუალო სკოლების იმამ-ჰატიბის სკოლებად გადაკეთება. თურქეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ დიდი მოთხოვნის გამო მიიღეს, მაგრამ რეალურად პროცესი პირიქით მიმდინარეობს. აუცილებელი გახდა აგრეთვე ეთნიკურად თურქი დირექტორი არამუსლიმურ სკოლებში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2018 წლის მონაცემებით იმამ ჰატიბის სკოლები თურქეთში 10, 000-ზე მეტია, მაშინ როდესაც 2012 წლამდე მათი რაოდენობა 1500-ს არ აღემატებოდა.

AKP-ს მმართველობის დროს გაძლიერდა დიანეთის ინსტიტუტი. (ეს ინსტიტუტი თავდაპირველად შეიქმნა როგორც სახელმწიფო ბერკეტი რელიგიაზე ზეწოლისათვის. AKP-ს დროს იგი პირიქით სახელმწიფო სახსრებით ეწევა რელიგიის პროპაგანდას). 2019წ. დიანეთის ბიუჯეტი 2.1 მილიარდ აშშ. დოლარით არის განსაზღვრული. შედარებისათვის ეს 2,9-ჯერ მეტია ვიდრე საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი და 3,4-ჯერ აღემატება ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტს.

რეფორმამ აგრეთვე მნიშვნელოვნად გაზარდა საჯარო სკოლებში რელიგიური მასალის რაოდენობა. ხელისუფლებამ ამ კურსს „რელიგიური კულტურა და მორალური ღირებულებები“ დაარქვა, რათა მისთვის უფრო ფართო ხასიათი მიეცა, მაგრამ რეალურად ისწავლება მხოლოდ სუნიტური ისლამი, რაც მთლიანად უარყოფს ქვეყანაში რელიგიური უმცირესობების უფლებებს. სავალდებულო გახდა ოსმალური ენის სწავლება დაწყებითი კლასებიდან ზევით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე 2017 წელს სასწავლო გეგმიდან ევოლუციის ამოღება. განათლების მინისტრმა ეს მასალის სირთულით ახსნა და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტის პროგრამაში შევიდოდა, ხოლო სკოლის მასალაში დარჩებოდა გენეტიკური მუტაცია და ადაპტაცია, ასევე დიდი ყურადღება დაეთმობა მუსლიმ მეცნიერებს, როგორიცაა მაგალითად ავიცენა და მათ წვლილს დარგის განვითარებაში. ყველაზე დასამახსოვრებელი კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმ დროს ვიცე პრემიერ მინისტრს - ნუმანქურთულმუშს ეკუთვნის, რომელმაც ევოლუციის თეორიას მოძველებული უწოდა, ამასთან მან განაცხადა რომ არ არსებობს თეორიის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები. ევოლუციის თეორიას ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავს ახლო აღმოსავლეთის მუსლიმ კლერიკალებს შორის, რადგან იგი ეწინააღმდეგება საღვთო წერილში აღწერილ სამყაროს შექმნის ისტორიას.

სანაცვლოდ სასწავლო გეგმაში დაამატეს ჯიჰადის კონცეფცია ისლამის სხვა პრინციპებთან ერთად: ლოცვა, მარხვა, მექას მოლოცვა და ა.შ. განათლების ეროვნული სამინისტროს განცხადებით ამის ერთადერთი მიზანი არის აღნიშნული საკითხების სწორად სწავლება. მსოფლიო ისლამს ტერორიზმთან აიგივებს, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ ისლამი მშვიდობისმოყვარე რელიგიაა, ხოლო ჯიჰადი არ არის ძალადობრივი. ჩვენ ამ ყველაფერს სწორი ფორმით ვასწავლით, განაცხადა ისმეთ ილმაზმა - თურქეთის განათლების მინისტრმა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ცვლილებები მკვეთრად პროისლამურ ხასიათს ატარებს. იმის მიუხედავად, რომ რეფორმები სტრუქტურულად ევროპულ სტანდარტებს პასუხობს, რეალურად ისინი არ არის მიმართული ისეთი პრობლემების აღმოსაფხვრელად როგორიცაა საჯარო სკოლების და პედაგოგთა სიმცირე, არსებული მასწავლებლების მომზადების ხარისხი, საერთო განათლების დონის ამაღლება და ა.შ. არსებული რეფორმა მხოლოდ თურქეთის არსებული მთავრობის იდეოლოგიაზე მორგებული თაობის აღზრდას ითვალისწინებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alaranta, Toni, “TurkeyUnderThe AKP; A Critical Evaluation From The Perspective of Turkey’s EU Negotiations”, FIIA Working Paper 84 (2015), 4-25
2. Buyruk, Halil, “Current Developments in School Education in Turkey: education ‘reforms’ and teacher trade union responses”, Forum, Vol. 57 No2 (2015), 147-166
3. Fernandes, Raquel dos Santos and Carvalhais, Isabel Estrada, “Understanding Erdogan’s Leadership In The “New Turkey”, JANUS.NET e-journal of International Relations Vol. 9 No 1 (May-October 2018), 88-102, Accessed October 14, 2018 https://doi.org/10.26619/1647- 7251.9.1.6
4. Matusiak, Marek, “The Great Leap; Turkey UnderErdoğan”, Point of Wiew 51 (2015),5-53
5. Coşkun, İpek, “Between Reform and Restoration: The Turkish Education System, An Interview with İpekCoşkun”, The New Turkey, October 30 (2017), Accessed November 17, 2018 https://thenewturkey.org/between-reform-and-restoration-the-turkish-education-system-an-interview-with-ipek-coskun/
6. Coşkun, İpek, “What Changed With the New High School Transition Model in Turkey?”, The New Turkey, November 17 (2017), Accessed November 17, 2018 https://thenewturkey.org/what-changed-with-the-new-high-school-transition-model-in-turkey
7. Emin, MüberraNur, “Quests for a New System in transitioning to Secondary Education in Turkey”, The New Turkey, October 9 (2017), Accessed November 17, 2018 https://thenewturkey.org/quests-for-a-new-system-in-transitioning-to-secondary-education-in-turkey
8. Shaheen, Kareem and Hatunoğlu, Gözde, “'They want a devout generation': how education in Turkey is changing”, The Guardian, September 20 (2017), Accessed November 17, 2018 https://www.theguardian.com/world/2017/sep/20/devout-generation-education-turkey-changing
9. Yinanç, Barçın**, “**Turkish education system changes must focus on quality: Education Reform Initiative head”, Hurriyet Daily News, September 25 (2017), Accessed November 17, 2018 http://www.hurriyetdailynews.com/turkish-education-system-changes-must-focus-on-quality-education-reform-initiative-head-118345
10. “Turkey sees strengthening education system with reforms, innovation essential for digital future”, Daily Sabah, October 3 (2018), Accessed November 17, 2018 https://www.dailysabah.com/politics/2018/10/04/turkey-sees-strengthening-education-system-with-reforms-innovation-essential-for-digital-future
11. “Homework ban next in Turkey's education reforms”, Daily Sabah, June 21 (2018) Accessed November 17, 2018 https://www.dailysabah.com/education/2018/06/21/homework-ban-next-in-turkeys-education-reforms

ჯაბა მესხიშვილი

იაპონია-რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულება და კურილიის კუნძულების პრობლემა

,,ჩვენ 70 წელია ვცდილობთ გადავჭრათ ტერიტორიული პრობლემები იაპონიასთან, 70 წელია ამ მიზნის მისაღწევად ვსაუბრობთ, მოდი ხელი მოვაწეროთ სამშვიდობო ხელშეკრულებას ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, მაგრამ ახლა არა, არამედ წლის ბოლოს'' განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2018 წლის 12 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციის ქალაქ ვლადივოსტოკში გამართულ აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ ფორუმზე.[1]

რუსეთის ფედერაციას კურილიის კუნძულები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქვს ანექსირებული. მეორე მსოფლიო ომის მიწურულს საბჭოთა არმიამ მოახდინა ამ კუნძულების ოკუპაცია, ხოლო როდესაც დასრულდა ომი საბჭოთა მთავრობამ ჯარი აღარ გაიყვანა და საბჭოთა კავშირის ტერიოტორიებად გამოაცხდეს. მას შემდეგ ეს კუნძულები დღემდე სადაო საკითხად რჩებოდა, ჯერ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის, ხოლო შემდეგ უკვე იაპონიამ დავა განაგრძო რუსეთის ფედერაციასთან, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს კუნძულები რუსეთის ფედერაციის საზღვრებში მოექცა. სწორედ ეს კუნძულები არის მთავარი მიზეზი, რის გამოც დღემდე რუსეთის ფედერაციასა და იაპონიას არ აქვთ გაფორმებული სამშვიდო ხელშეკრულება.

სადაო კუნძულები ტერიტორიულად მდებარეობს იაპონიის ჩრდილოეთით მდებარე კუნძულ ჰოკაიდოს მეზობლად და აღმოსავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, ხოლო დასავლეთით ოხოტის ზღვა და კამჩატკის ნახევარკუნძული. იგი შედგება 4 კუნძულისგან, კუნაშირი, ეტოროფუ (რუსულად ცნობილია როგორც იტურუპი), შიკოტანი და ჰაბომაი. აქედან უკანასკნელი 2 კუნძული მეტად მცირეა და სადაო ტერიოტორიების მხოლოდ 7 % პროცენტს შეადგენს.[2]

მე-19 საუკუნიდან დაიწყო ორივე ქვეყანამ კურილიის კუნძულების მიმართულებით აქტიური გაფართოება. მე-17 საუკუნის დასაწყისიდან 1854 წლამდე იაპონია ატარებდა თვით იზოლოციურ პოლიტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰოლანდიელების გარდა თითქმის არ ჰქონიათ ურთიერთობა სხვა დასავლურ სახელმწიფოებთან. ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1854 წლამდე, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ აიძულა იაპონიის მაშინდელი ხელისუფლება გაეხსნა ქვეყანა სხვა სახელმწიფოებისთვის. იმ დროინდელი იაპონია განვითარების მხრივ ჩამორჩებოდა მის თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებს და არ წარმოადგენდა დასავლეთის ძლიერი სახელმწიფოებისთვის ძნელად დასამორჩილებელ ქვეყანას. ამიტომ ჯერ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ხოლო შემდეგ ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და სხვა ევროპულმა ქვეყნებმა ერთმანეთის მიყოლებით გააფორმეს იაპონიასთან ,,მეგობრული ხელშეკრულებები'', რომლის შინაარსიც არაპარიტეტული და იაპონიასათვის ზარალის მომტანი იყო.

[1] ''Vladimir Putin offers Kuril Islands peace deal to Japan's Abe'', last modified 12/09/2018, https://www.dw.com/en/vladimir-putin-offers-kuril-islands-peace-deal-to-japans-abe/a-45459525

[2] ''Kuril Islands dispute between Russia and Japan'', last modified 29/04/2013, https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11664434



სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა რუსეთის იმპერიასა და იაპონიის შორის გაფორმებული შიმოდას ხელშეკრულება (1855 წელი), რომლის ერთ-ერთი პუნქტი ორ სახელმწიფოს შორის საზღვრებსაც ეხება. რუსეთის იმპერიამაც მსგავსად სხვა დასავლური ბობოლა სახელმწიფოებისა, იაპონიას თავს მოახვია მისთვის სასარგებლო შინაარსის მქონე არაპარიტეტული ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერიამ შიმოდას ხელშეკრულებით კუნძულები ეტოროფუ, კუნაშირი, შიკოტანი და ჰაბომაო იაპონიის საკუთრებად ცნო. ამ კუნძულების ფლობაზე იაპონიის უფლებები იმდენად უპირატესი იყო, რომ რუსეთის იმპერიამაც ვერ დახუჭა თვალი რეალობაზე და მის ტერიტორიად ცნო. ორ ქვეყანას შორის საზღვარი დადგინდა კუნძულ ეტოროფუსთან, რომლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები იაპონიამ რუსეთის იმპერიის ნაწილად ცნო.[3]

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონია და საბჭოთა კავშირი საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ. ომის დასრულების პერიოდში საბჭოთა კავშირის ჯარებმა კურილიის კუნძულები ოკუპირება მოახდინეს. ოკუპირების პერიოდში 17 000 იაპონელი სახლობდა ეტოროფუს, კუნაშირისა და შიკოტანის კუნძულებზე, ოკუპაციის შემდეგ იაპონელთა ნაწილმა დატოვა საცხოვრებელი და იაპონიას შეაფარა თავი, ხოლო 1949 წელს საბჭოთა მხარემ ჯერ კიდევ შემორჩენილი ყველა იაპონელი გაასახლა ტერიტორიებიდან და სრულად დაიწყო ათვისება. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება აღნიშნული ტერიტორების გარშემო იაპონიასა და სსრკ-ს (მოგვიანებით კი რუსეთის ფედერაცია) შორის დავა და დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

1951 წელს ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოში ხელი მოეწერა ე.წ. ,,სან-ფრანცისკო სამშვიდობო ხელშეკრულებას'' იაპონიასა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის, სადაც დადასტურებული იყო იაპონიის უფლებები კურილიის კუნძულებზე. ამ პერიოდში ცივი ომი უკვე აქტიურ ფაზაში იყო შესული, ამიტომ საბჭოთა მხარემ უარი განაცხადა მასზე ხელი მოეწერა, შესაბამისად არც კურილის კუნძულების სადაო ტერიტორიები დაუბრუნა იაპონიას.

1956 წელს საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები, მაგრამ კურილიის კუნძულებზე დავის გამო, ვერ გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რადგან აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტი, მხოლოდ შიკოტანის და ჰაბომაის კუნძულების დაბრუნებას გულისხმობდა.

[3] ''Kuril Islands dispute between Russia and Japan'', https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11664434

2004 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა იაპონიას შესთავაზა კუნძულების შიკოტანის და ჰაბომაის დაბრუნება ტერიტორიული დავების მოგვარების და სამშვიდობო ხელშეკრულების სანაცვლოდ, თუმცა იაპონურმა მხარემ ეს შეთავაზება არ მიიღო. უარის თქმის მთავარი მიზეზი სწორედ სადაო ტერიორიები იყო. შეთავაზებული კუნძულები სადაო ტერიტორიის მხოლოდ 7% მოიცავდა. ერთი შეხედვით თითქოს შთამბეჭდავად ჟღერს 4 სადაო კუნძულიდან 2 კუნძული დაბრუნება, მაგრამ მეორე მხრივ სადაო კუნძულების ტერიტორიის მეათედსაც არ წარმოადგენდა. გარდა ამისა ჰაბომაის კუნძული რეალურად საცხოვრებლად ნაკლებად გამოდგება, რადგან კლდოვანი რელიეფით არის დაფარული.[4]

რუსეთის იმპერიიდან მოყოლებული, მისი ყველა სამართალმემკვიდრე ცდილობს მისი ტერიტორიების გაფართოებას, მეზობელი ქვეყნების სრული ან ნაწილობრივი ანექსიის საშუალებით,. ზოგჯერ ეს მხოლოდ ტერიტორია, ხოლო ზოგჯერ ამ ტერიტორიებს სხვა პრაქტიკული და ეკონომიკური დანიშნულებაც. კურილიის კუნძულებს მნიშვნელობას სწორედ ეს ორი უკანსკნელი საკითხი განსაზღვრავს.

სტრატეგიული მნიშვნელობა: აღმოსავლეთ რუსეთის მთავარ ქალაქ ვლადივასტოკიდან წყნარ ოკეანეში მოსახვედრად არის ორი მიმართულება; 1. გემებმა უნდა გადაჭრან იაპონიის ზღვა, შემდეგ გაიარონ სამხრეთ კორეასა და იაპონიას შორის, გადაკვეთინ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა, შემდეგ ოკინავას კუნძულების (იაპონიის კუნძულები, რომელზაეც ამერიკის შეერთბული შტატების სამხედრო ბაზები განლაგებული) შორის გაძრომით, ან ტაივანს შემოარონ და ტაივანსა და ფილიპინებს შორის გავლით მოხვდნენ წყნარ ოკეანეში. 2. კუნძულ სახალინსა (რუსეთი) და კუნძულ ჰოკაიდოს (იაპონია) შორის გავლით და კურილიის კუნძულების გადაჭრით არის შესაძლებელი წყნარ ოკეანეში გასვლა. მეორე მარშუტი გაცილებით მოკლეა და უსაფრთხო, რადგან არ საჭიროებს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიულ წყლებში გავლას.

ეკონომიკური მნიშვნელობა: კურილიის კუნძულის მიმდებარე ტერიტორია მდიდარია თევზის რეწვისთვის საჭირო ადგილებით, სწორედ ამ ადგილებში თევზაობით რუსეთი აწარმოებს ხიზილალას. მართალია იაპონიასა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებობს შეთანხმება, რომლითაც იაპონელ მეთევზეებს საშუალებას აძლევს ითევზავონ აღნიშნულ წყლებში, მაგრამ თევზაობისთვის ძალიან მცირე კვოტა აქვთ გამოყოფილი. მაგალითად 2018 წლის მონაცემებით თევზაობას ექვემდებარებოდა 65 ათასი ტონა თევზი, რომელშიც იაპონიის წილი მხოლოდ 2180 ტონას შეადგენს. იაპონური მხარისთვის ამ ტერიტორიებში თევზაობა არ არის უფასო და ამისათვის 2018 წელს 191 მილიონ აშშ დოლარი გადაიხადა. თევზის რეწვის გარდა კუნძულ ეტორუფუზე მოიპოვება ისეთი იშვიათი ქიმიური ელემენტი, როგორიც არის რენიუმი. ასევე არის ვარაუდები რომ კუნძულ ეტოროფუს მიდამოებში შესაძლოა იყო გაზით და ნავთობით მდიდარი საბადოები.[5]

2018 წლის 12 სექტემბრს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის შეთავაზება მოულოდნელი აღმოჩნდა იაპონიის პრემიერ მინისტრ შინძო აბესთვის, ამიტომ მან ყოველგვარი კომენტარის გარეშე დატოვა პუტინის შეთავაზება. მმართველი პარტიის ,,იაპონიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის'' ერთ-ერთი ლიდერმა შიგერუ იშიბამ კრიტიკულად შეფასა პუტინის შემოთავაზება და მიიჩნია, რომ არც კი ღირდა ამ საკითხის სერიოზული განხილვა, რადგან ,,რუსეთს რაც არ უნდა მსუყე ეკონომიკური წინადადებები შესთავაზო, იგი მაინც არ დათმობს სადაო ტერიტორიებს''. [6]

როგორც „ტროლინგად'' და განცხადება განცხადებისთვის შეაფასა პუტინის შეთავაზება რუსეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კუნევმა. ის ფიქრობდა რომ

---

[4] ''Kuril islands dispute between Russia and Japan'', https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11664434

[5] ''Russia, Japan set 2018 fishing quotas in Kuril Islands zone'', last modified 23/11/2018, https://www.undercurrentnews.com/2017/11/23/russia-japan-set-2018-fishing-quotas-in-kuril-islands-zone/

[6] ''Japan ignores Putin's offer for unconditional peace treaty'', last modified 14/09/2018, http://www.asahi.com/ajw/articles/AJ201809140027.html

პუტინმა ძალიან კარგად ხვდება, იაპონიის პრემიერ-მინისტრი შინძო აბე ამგვარ შეთავაზებას არ დათანხმდებოდა, რადგან ეს მისთვის პოლიტიკური ჰარაკირის ტოლფასი იქნებოდა.[7]

13 სექტემბერს იაპონიამ ოფიციალური განცხადებით უარყო პუტინის შემოთავაზება და განაცხადა, რომ ვიდრე ტერიტორიული დავა არ მოგვარდება არ მოაწერენ ხელს მსგავს შინაარსის ხელშეკრულებას.[8]

პუტინის შემოთავაზებიდან 2 თვის თავზე სინგაპურში, აზიურ ქვეყნების ლიდერების კონგრესი გაიმართა. რომლის ფარგლებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და იაპონიის პრემიერ მინისტრი შინძო ერთმანეთს შეხვდნენ და კიდევ ერთხელ განიხილეს რუსეთ-იაპონიას სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. ორი ქვეყნის ლიდერი შეთანხმდა, რომ დააჩქარებდნენ ამ კუთხით მოლაპარაკების პროცესს. რუსეთის პრეზიდენტის სპიკერის დმიტრი პესკოვის განცხადებით, აღნიშნული ხელშეკრულება დაეყდრნობოდა საბჭოთა კავშირის 1956 წლის სამშვიდო ხელშეკრულების ტექსტს.[9]

მისმა განცხადება იაპონიაში გააჩინა მოლოდინები, რომ რუსეთი აპირებდა იაპონიისთვის, შიკოტანის და ჰაბომაის კუნძულების დაბრუნებას, რადგან 1956 წლის ხელშეკრულების ტექსტი აღნიშნული კუნძულების დაბრუნებასაც ითვალისწინებდა, ამიტომ აღნიშნული საკითხის გარშემო დისკუსია გაიშალა, თუმცა რამდენიმე დღეში დმიტრი პესკოვმა განმარტა, რომ მოლაპარაკება მართალია დაუფუძნება 1956 წლის ტექსტს, მაგრამ არ გულისხმობს შიკოტანის და ჰაბომაის კუნძულების იაპონიისთვის ავტომატურ დაბრუნებას. რადგან კუნძულების საკითხი სხვა შეთანხმების საფუძველი შეიძლება გახდეს. პესკოვს მაინც მოუწია პასუხის გაცემა, კუნძულების გადაცემის შემთხვევაში იქ ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსების შემთხვევაში რუსეთი რა პოზიციას დაიკავებდა. პესკოვმა განაცხადა რომ ასეთ შემთხვევაში ამერიკული იქ ბაზები არ განთავსდება.[10]

2018 წლის 1 დეკემბერს, არგენტინის დედაქალ ბუენოს აირესში გამართულ დიდი ოცეულის ქვეყნების კონგრესის მიმდინარეობისას, ვლადიმერ პუტინის და შინძო აბეს პირისპირ შეხვედრა შედგა. ამ შეხვედრაზე გადაწყდა რომ გაგრძელდებოდა მოლაპარაკება სამშვიდობო ხელშეკრულებაზე და განსახილველი საკითხების ერთ-ერთ პუნქტად კი სადაო ტერიტორიები არის მითითებული. მოლაპარაკების ჩარჩო-ხელშეკრულების შემუშავება საგარეო საქმეთა მინისტრებს სერგეი ლავროვს და კონო ტაროს დაევალა, შეხვედრისას ასევე გადაწყდა რომ 2019 წლის იანვარში, ქვეყნების ლიდერები ვლადიმერ პუტინი და შინძო აბე კვლავ შეხვდებიან.[11]

იაპონური გაზეთის ,,ჯიჯი შიმბუნის'' პოლიტიკური საკითხების მიმომხილველი იძუმი ჰიროში მიიჩნევს, რომ შესაძლოა იაპონიასა და რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება 2019 წლის ზაფხულამდე გაფორმდეს, რადგან ივნისში იაპონიაში ტარდება ზედა და ქვედა პალატების არჩევნები და მმართველი პარტია ამ საკითხს არჩევნებში გამარჯვებისთვის გამოიყენებს.[12]

2019 წლის იანვარი ახლოვდება, საინტერესოა როგორ განვითარდება მოვლენები. ვფიქრობ, ვიდრე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და რეალური მმართველი ვლადიმერ პუტინი იქნება,

---

[7] ''Vladimir Putin offers Kuril Islands peace deal to Japan's Abe'', https://www.dw.com/en/vladimir-putin-offers-kuril-islands-peace-deal-to-japans-abe/a-45459525

[8] '' Putin Offers Japan 'Peace Treaty Without Any Pre-Conditions'', last modified 14/09/2018, https://thediplomat.com/2018/09/putin-offers-japan-peace-treaty-without-any-pre-conditions/

[9] ''Japan-Russia peace talks to focus on 2 of 4 disputed islands'', last modified 15/11/2018, http://www.asahi.com/ajw/articles/AJ201811150039.html

[10] '' 北方領土 ２島返還の既定路線を否定 露「妥協が必要」'', last modified 18/11/2018, https://mainichi.jp/articles/20181119/k00/00m/030/119000c

[11] '' 外相トップで平和条約交渉へ 首脳会談で合意'', last modified 2/12/2018 https://mainichi.jp/articles/20181202/k00/00e/030/185000c#cxrecs_s

[12] '' 日ロ解散" で「７・２８同日選」説'', last modified 2/12/2018 https://www.jiji.com/jc/v4?id=201812tnc060001

რუსეთის სადაო ტერიტორიებს არ დაუბრუნებს იაპონიას. მას შემდეგ რაც რუსეთი პრეზიდენტი გახდა, იგი აგრძელებს რუსულ ,,ტრადიციას'' და ცდილობს მეზობელი ქვეყნების ხარჯზე გააფართავოს რუსეთის ფედერაციის საზღვრები. აქედან გამომდინარე ძნელად სავარაუდოა იაპონიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების გამო დათმოს შიკოტანის და ჰაბომაის კუნძულები. საინტერესოა რას ისახავს რუსეთის პრეზიდენტი ასეთი შეთავაზების გამორმების შეთავაზებით.

არსებობს მოსაზრება პუტინის ეს შემოთავაზება შეიძლება უკავშირდებოდეს იაპონიის გადაწყვეტილებას, რომ მკვეთრად გაზარდოს ამერიკული წარმოების საჰაერო თავდაცვითი და ბალისტიკური რაკეტების გადამჭრელი სისტემების შეძენა და ქვეყნის ჩრდილოეთით განლაგება.[13] ასეთი სისტემების განლაგება კი რუსეთის ფედერაციისთვის არაა სახარბიელო მდგომარეობა. ვფიქრობ ამ სისტემების საცვლოდ პუტინის ამგვარი შეთავაზების გაკეთება ძნელად სავარაუდოა, რადგან შიკოტანის და ჰაბომაი ჰოკაიდო მჭიდროდ ესაზღვრება და ამით რუსეთთან საზღვარი არ თითქმის არ მოკლდება, ხოლო 2 კუნძულის დაბრუნების სანაცვლოდ ჩრდილოეთ კორეიიდან მომდინარე მუდმივი საფრთხის ფონზე, იაპონია უარს ვერ იტყვის მისთვის სასიცოხლო თავდაცვითი სისტემების შეძენაზე.

შეიძლება ეს უკავშირდება რუსეთის ფინანსურ პრობლემებს. უკრაინასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაწესებული სანქციებისგან მიღებული ზარალის შესამცირებლად რუსეთი ეძებს დამატებით ფინანსურ რესურსებს. ერთ-ერთ ასეთ წყაროდ შესაძლოა იაპონიას განიხილავდეს. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ რუსეთში ჩინეთის მზარდ ექსპანსიას რუსეთის მთავრობა უკვე ვეღარ აკონტროლებს და იაპონიასთან დაახლოებით ეცდება მდგომარეობის დაბალანსებას.[14]

ფაქტია, რომ რუსეთს არ ჩვევია მიერთებული ტერიტორიების ნებაყოფლობითი დაბრუნება, მაგრამ ისიც ფაქტია რომ რუსეთმა თვითონ წამოწია იაპონიისთვის ორი კუნძულის დაბრუნების საკითხი. ალბათ ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს, არის თუ არა რეალური პუტინის შეთავაზება და რას იგი ისახავდა მიზნად. ეს პუტინის მხრიდან მეზობლისთვის გაკეთებული თავაზიანი ჟესტია თუ სხვა ძრახვები დაფარულია.

[13] '' Russia's Putin tells Japan's Abe: 'Let's sign peace deal this year'', last modified 12/09/2018, https://asia.nikkei.com/Politics/International-Relations/Russia-s-Putin-tells-Japan-s-Abe-Let-s-sign-peace-deal-this-year

[14] '' Russia and Japan Could Finally End WWII'', last modified 20/11/2018, https://www.bloomberg.com/opinion/articles/2018-11-20/russia-and-japan-could-finally-reach-deal-to-end-island-dispute